დევნილები აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრას ითხოვენ A4

ისრაელმა პალესტინა დაიპყრო A5

ძაღლები კვალმა შოუსთან ვერ მიიყვანა A7

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 21 ივნისი, 2002 წელი. №19

ფასი 50 თეთრი

# დღეს თბილისის საკრებულოსთვის გადამწყვეტი ბრძოლა გაიმართება

## რეალობა, ვერსიები, პროგნოზი



"ნაციონალური მოძრაობის" სარჩელის განხილვა საოლქო სასამართლოში



ალეკო კარტაშიანის ფოტო

თამარ მჭედლიშვილი

**საოლქო სასამართლოში "სახალხოელებისა" და "ეროვნულ-დემოკრატების" სარჩელის განხილვას, შესაძლოა, არჩევნების შედეგების საბოლოო გაუქმება მოჰყვეს. თუ მოვლენები ამგვარი სცენარით განვითარდა და ამ ორმა პარტიამ საოლქოში პროცესი მოიგო, მაშინ ქვეყანაში პოლიტიკური დაპირისპირება უკვე კრიტიკულ ზღვარს მიუახლოვდება.**

**ვითარებას ისიც ძაბავს, რომ პარტიათა ნაწილი უკვე აშკარად იშვერს ხელს ხელისუფლებისაკენ და პრეზიდენტ შევარდნაძეს, რეანიმირებულ "მოქალაქეთა კავშირსა" და მის მომავალ თავმჯდომარეს - ავთო ჯორბენაძეს პროცესების კულუარებიდან მართვაში ადანაშაულებს. ხელისუფლების სცენარი, რომელსაც "ნაციონალები" და "გაერთიანებული დემოკრატები" ახმოვანებენ, ასე ჟღერს: საოლქო სასამართლო დააკმაყოფილებს ორი პარტიის სასარჩელო განცხადებებს, პრეზიდენტი არჩევნებს შემოდგომით დანიშნავს და მასში ხელისუფლება მთავარ ფსონს "მოქალაქეთა კავშირზე" ჩამოვა.**

გუშინ საოლქო სასამართლოში ამ სცენარის რეალური კონტურები თითქმის გამოიკვეთა. სასამართლო კოლეგიამ უპრობლემოდ დააკმაყოფილა "ნაციონალური მოძრაობა – დემოკრატიული ფრონტის" სარჩელი ამომრჩეველთა სიების გადახედვისა და საარჩევნო ბიულეტენების გახსნის თაობაზე. საგულისხმოა ისიც, რომ, პროცესის დაწყებამდე, "ნაციონალებს" სასარჩელო განცხადებაში არჩევნების შედეგების გაუქმების მოთხოვნაც ჰქონდათ, მაგრამ ბოლო წუთს ამ მოთხოვნაზე უარი თქვეს.

მოგვიანებით სააკაშვილის გუნდის ერთ-ერთმა აქტიურმა წევრმა ვანო მერაბიშვილმა "ნაციონალების" გადაწყვეტილება ასე ახსნა:

**"სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა მას მერე, რაც გაირკვა, რომ სააკაშვილი საკრებულოს თავმჯდომარე გახდებოდა. ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება არჩევნების ჩაშლის თაობაზე. ამისათვის გამოყენებული იქნება ნებისმიერი საშუალება. სასამართლოზე აშკარა ზეწოლას ახდენენ პრეზიდენტი შევარდნაძე და სახელმწიფო მინისტრი. პრეზიდენტისაგან უშუალოდ მოდის დირექტივა, რომ არჩევნების შედეგები გაბათილდეს. ჩვენ ვიცით, რომ რეალურად გაცილებით უკეთესი შედეგი გვაქვს, მაგრამ არ გვინდა, შედეგები გაუქმდეს და განახლებულმა "მოქალაქეთა კავშირმა," ჯორბენაძის თამადობით, სექტემბერში გაყალბებით მოიგოს არჩევნები. ჩვენი მიზანია, გამოვლინდეს მთავარი გამყალბებლები და მათი შემკვეთები. შევარდნაძეს კი არჩევნების ჩაშლა სურს. ჩვენი სარჩელის დაკმაყოფილებით ამ გეგმას ჩვენივე ხელით განახორციელებდა. მას ამის საშუალება არ მივეცით. რაც შეეხება ეროვნულ-დემოკრატების პროცესს, ხელისუფლებას ძალიან გაუჭირდება მისი სარჩელის დაკმაყოფილება, რადგან სარიშვილმა არაერთხელ განაცხადა, რომ კარგი ურთიერთობები აქვს ჯორბენაძესთან. ხელისუფლების ერთადერთი ალიბი ჩვენი სარჩელის დაკმაყოფილება იქნებოდა."**

ვანო მერაბიშვილი კვლავ ცალსახად აცხადებს, რომ მათი მთავარი მოკავშირე დღეს ლეიბორისტული პარტიაა. სხვათა შორის, ამასთან დაკავშირებით განსხვავებული აზრი აქვთ "გაერთიანებულ დემოკრატებს."

გაგრძელება A2 გვერდზე

# შევარდნაძეს, რეფორმების გარდა, სხვა ალტერნატივა არ აქვს

## ქართული პოლიტიკა დროს ჩამორჩება

ეკა კვესიტაძე
ვაშინგტონიდან

*სტარატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ცენტრი, ბრუკინგისა და ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტებთან ერთად, ყველაზე მნიშვნელოვანი კველევითი ცენრტია (ტჰინკ-ტანკ) ვაშინგტონში, რომელსაც უშუალო გავლენა აქვს ამერიკის ადმინისტრაციის პოლიტიკაზე.*

*ზეინო ბარანი ვაშინგტონის სტრატეგიის და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ცენტრში კავკასიის პროგრამის დირექტორია. არის კავკასიის, თურქეთის, რუსეთისა და კასპიის რეგიონის ექსპერტი.*

*1998 წელს ბარანმა სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ცენტრში საქართველოს ფორუმი დააარსა, რომელიც, ჯერჯერობით, ერთადერთია ვაშინგტონში.*

**- ბუშისა და პუტინის შეხვედრამდე თქვენ აცხადებდით, რომ თუ საქართველოსა და რუსეთს შორის სიტუაცია არ მოგვარდება, მაშინ რუსეთ-ამერიკის ურთიერთობაც რაღაც დონეზე გაიყინება. ის, რომ სამიტის შემდეგ ორი პრეზიდენტის საერთო განცხადებაში საქართველოზე განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა, ძალიან მნიშვნელოვანი იყო, თუმცა ცვლილებები რუსეთის რეალურ პოლიტიკაში არ ჩანს.**

- მე ვფიქრობ, რომ ჯერ ძალიან ადრეა, ასეთ ცვლილებებზე ვილაპარაკოთ. გარდა ამისა, სამიტის შემდეგ ბუში ძალიან დაკავებულია ინდოეთ-პაკისტანის პრობლემით. მაგრამ ის, რომ აფხაზეთის პრობლემა უშულოდ იყო შეტანილი ბუშისა და პუტინის საერთო განცხადებაში, უკვე დიდი მიღწევაა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ჯორჯ სოროსი: გამოსავალი ერთია – თავისუფალი, დემოკრატიული არჩევნები

ეკა ხოფერია "ღამის კურიერის" პირდაპირ ეთერში ესაუბრება ბუდაპეშტში მყოფ ჯორჯ სოროსს (20 ივნისი)

**- ბატონო სოროს,დიდი მადლობა ჩვენთან ერთად ყოფნისათვის, და პირველი შეკითხვა: მოგვიყევით დღევანდელი შეხვედრის შესახებ. რა კრიტერიუმებით შეფასდა თითოეული პოლიტიკოსი დღევანდელ შეხვედრაზე?**

- "ღია საზოგადოების" პრიზი გადაეცათ იმ სახელმწიფო მოღვაწეებს, ვინც დაიკავა შეურიგებელი, პრინციპული პოზიცია ღია და თავისუფალი საზოგადოების იდეალების დაცვის საქმეში.

ეს პრიზები წარსულში გადაეცათ ჩეხეთის რესპუბლიკისა და უნგრეთის პრეზიდენტებს. მაგრამ წლევანდელი გამარჯვებულნი ცოტათი განსხვავდებიან მათი წინამორბედებისგან, რამდენადაც, ისინი წელს არ დაჯილდოვებულან იმ თანამდებობებზე ყოფნისათვის, რომლებზეც მოუწიათ მუშაობამ. ისინი დაჯილდოვდნენ დაკავებული თანამდებობებიდან გადადგომისათვის.

დაჯილდოვებულთაგან ერთი არის საკუთარი ქვეყნის პარლამენტის გადამდგარი სპიკერი ჟვანია, მეორე კი, იუსტიციის გადამდგარი მინისტრი – სააკაშვილი.

ეს იყო მათი პრინციპულობის გამოხატულება. სწორედ ეს ნაბიჯები დაუფასდათ მათ ამ პრიზის მინიჭებისას.

ვფიქრობთ, ადამიანთა უმეტესობა შეეცდებოდა ამ თანამდებობების შენარჩუნებას. განსაკუთრებით, ასე იქცევიან კორუმპირებული პოლიტიკოსები. ეს პიროვნებები ღირსეულად მოიქცნენ. თანამდებობიდან ნებაყოფლობითი გადადგომა მათთვის პრინციპის საქმე იყო.

გაგრძელება A3 გვერდზე

საქართველოს კონსტიტუციაში აფხაზეთისთვის ადგილს ეძებენ A4

ალიევი დარწმუნებულია, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვებს A5

პანიკა თეთრ სახლში A5

"გაზპრომის" ქართული გზა A6

"ეი-ი-ესი" ჭერჭერობით საქართველოში რჩება A6

ბრალმდებელი პატიმარი ყოფილი უფროსის წინააღმდეგ A7

### ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 21° |
| ქუთაისი | 25° |
| ბათუმი | 24° |
| სოხუმი | 26° |
| ფოთი | 25° |
| თელავი | 20° |
| ზუგდიდი | 27° |
| გორი | 20° |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.2200 |
| ევრო | 2.0770 |
| ფუნტი სტერლინგი | 3.2314 |
| რუბლი | 0.0707 |

# აფხაზური დიასპორის სამშვიდობო გეგმამ თბილისი დააინტერესა

ზაზა წულაძე

*"24 საათის" მიერ ექსკლუზიურად მოპოვებულ, აფხაზური დიასპორის მიერ მომზადებულ ახალ სამშვიდობო გეგმას, რომელიც საქართველოში ვიზიტისას აფხაზური დიასპორის ლიდერმა, ინალ კაზანმა კონფიდენციალურად გადასცა საქართველოს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს, თბილისში დიდი ინტერესითა და არაერთგვაროვანი რეაქციით შეხვდნენ. ახალ აფხაზურ ინიციატივას (რომელიც "24 საათმა" პირველმა, 19 ივნისის ნომერში შემოგთავაზათ) გაცნობილი ქართული პოზიციაც და ოპოზიციაც აცხადებს, რომ, ამ გეგმაზე დაყრდნობით, ერთობლივი მუშაობა, შეიძლება, უფრო პერსპექტიული გამოდგეს.*

ვითვალისწინებთ რა ფართო საზოგადოების დიდ ინტერესს, კიდევ ერთხელ გთავაზობთ აფხაზური დიასპორის სამშვიდობო გეგმის (ამ დოკუმენტის ოფიციალური სახელია "აფხაზური დიასპორის სამშვიდობო მოწესრიგების წინადადებები") ძირითად პოსტულატებს:

გაგრძელება A4 გვერდზე

# „ფრთხილად უნდა ვიყოთ, როგორც არასდროს!„

## ასლან აბაშიძის პრესკონფერენცია მოსკოვში

რუსიკო ნიკურაძე
*საქ. კორ. მოსკოვში*

**აჭარის ლიდერმა რუს ჟურნალისტებს შესთავაზა სპეციალური ჯგუფის შექმნა "იტარ-ტასის" სააგენტოს ბაზაზე, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების ობიექტურად გასაშუქებლად.**

ყოფილი გერცენის ქუჩაზე, "ტასის" ძველი შენობის წინ, რუსეთის ხელისუფლებისნომრიან შავ "ჯიპში" მჯდომი "სპეციალური მცველის გარეგნობის" მქონე ახალგაზრდა მაშინ გადმოვიდა მანქანიდან და სააგენტოს კარებში ჩადგა, როცა ასლან აბაშიძის "სვიტა" ასევე რუსეთის ხელისუფლების "ზილით" მოსრიალდა. თქმა არ უნდა, აჭარის ლიდერს მოსკოვში საგანგებოდ იცავენ და საგანგებოდაც ექცევიან - მოსკოვში მისი თანმხლები პირები "მეტროპოლში" ცხოვრობენ, თვითონ საგარეო საქმეთა სამინისტროს მიღებათა სახლში.

პრესკონფერენციას რუსეთის წამყვანი გაზეთები და ტელეარხები ესწრებოდნენ. აბაშიძემ, მოკლე შესავლის შემდეგ, მათ შეკითხვებს

გაგრძელება A8 გვერდზე

# საშიშროება?!

თამარ ხორბალაძე

ივნისის დასაწყისში პოლიტიკურ ძალთა მოსინჯვა, "დემოკრატიული ფორმით", უკვე შედგა.

2 ივნისს სახელისუფლებო ძალები არჩევნების გზით უმცირესობაში მოექცნენ.

"ლეიბორისტებმა" და "ნაციონალებმა", პროგნოზების საწინააღმდეგოდ, გარიგება თუ მორიგება მოახერხეს.

საკრებულოს თავმჯდომარეობა სააკაშვილმა, ფაქტობრივად, გაინაღდა.

გაგრძელება A2 გვერდზე

# ვის გადაუჭრა გზა სოსო ორჯონიკიძემ?



სოსო ორჯონიკიძის დაცხრილული ავტომანქანა

ИТАР-ТАСС

რუსიკო ნიკურაძე
*საქ. კორ. მოსკოვში*

20 ივნისს, მოსკოვის დროით 10.01 სთ-ზე, მოსკოვის ვიცე-მერის მანქანა რუბლიოვსკის ტრასისა და მინეევსკის ქუჩის გადაკვეთაზე დაუდგენელმა ბანდიტებმა დაცხრილეს. ორჯონიკიძე აგარაკიდან სამუშაოზე ბრუნდებოდა. მილიციის ნომრიანმა BMV525 –მა ვიცე-მერის დაჯავშნულ მანქანას სავალი გზა მკვეთრად მოუჭრა. ორჯონიკიძის მცველმა მძღოლს მანქანა გააჩერებინა და გადავიდა. სწორედ ამ დროს გახსნეს ცეცხლი ბანდიტებმა. მცველმა საპასუხო გასროლით დაჭრა ერთ-ერთი თავდამსხმელი, თავადაც მძიმედ დაიჭრა.

თავდასხმიდან ცოტა ხნის შემდეგ მილიციამ მიმდებარე ქუჩაზე აღმოაჩინა დამწვარი "ბმვ" და უცნობი ახალგაზრდა კაცის გვამი, რომელიც, როგორც დადგინდა, ქილერებმა მანქანიდან გადააგდეს. წინასწარი მონაცემებით, შესაძლოა, ქილერის გვარი ჯაბრაილოვია. საბუთების მიხედვით იგი სოფელ ატაგის მკვიდრი იყო.

ტერაქტის დროს შემთხვევით დაშავდა მოსკოვის ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი, რომელიც იმ დროს გამვლელ სამარშრუტო ტაქსში იჯდა. რუსეთის გენერალურმა პროკურატურამ აღძრა სისხლის სამართლის საქმე 30-ე და 105-ე მუხლით – "ორ პირზე თავდასხმა მკვლელობის მიზნით".

უკანასკნელი ვერსიით ვიცე-მერ ორჯონკიძეზე თავდასხმა მის პროფესიულ მოღვაწეობას ეხება..

იოსებ ორჯონიკიძე მოსკოვის სავალუტო სახსრების რეგულირებას კურირებს. ალბათ ამიტომ, უკვე მეორედ, კინაღამ ტრაგედია დატრიალდა ორჯონიკიძეების ოჯახში.

სამიოდე დღის წინათ, კრემლის დარბაზში ბათუმის თეატრის კონცერტზე მოსულ მოსკოვის ვიცე-მერს, ქართველები გადარჩენას ულოცავდნენ - სოსო ორჯონიკიძე შარშანწინდელი თავდასხმის შემდეგ ასე საჯაროდ პირველად გაერია ხალხში. ორჯონიკიძემ დღემდე სამი ურთულესი ოპერაცია გადაიტანა. ჩვენი ინფორმაციით, მოსკოვის მე-

გაგრძელება A3 გვერდზე

A2 პოლიტიკა A3 პოლიტიკა A4 პოლიტიკა A5 უცხოეთი A6 ეკონომიკა A7 სამართალი A8 პოლიტიკა

B1 ფეხბურთი B4 ტოტალიზატორი B5 ექსკლუზივი B6 კულტურა B7 სტილი B8 სხვადასხვა

# დღეს თბილისის საკრებულოსთვის გადამწყვეტი ბრძოლა გაიმართება

## რეალობა, ვერსიები, პროგნოზი

პირველი გვერდიდან

დავით ტყეშელაშვილი: **"ძალიან შეშფოთებული ვართ იმით, რა ინფორმაციებიც მოგვდის. სიმართლე გითხრათ, გუშინდელი პროცესის დაწყებამდე უკვე გაგვაჩნდა ინფორმაცია, თუ რა გადაწყვეტილების მიღებას აპირებდა სასამართლო. გუშინ პარტიაში ამის თაობაზე საკმაოდ ხანგრძლივი საუბარი გვქონდა. ძალიან შეშფოთებულები ვართ. არ ვიცი, რას ფიქრობს ხელისუფლება. საოლქო სასამართლო მხოლოდ ინსტრუმენტია მის ხელში. სამწუხაროდ, პოლიტიკური პარტიები, ნებსით თუ უნებლიედ, ყველაფერს აკეთებენ, რომ ხელი შეუწყონ ჟორბენაძის მიერ დაგეგმილ პროცესებს. თუ თბილისის არჩევნების შედეგები გაუქმდება, ქვეყანაში უმძიმესი პროცესები დაიწყება. სახელმწიფო კანცელარია და პირადად ავთო ჟორბენაძე დაინტერესებულები არიან, რომ არჩევნები შემოდგომისთვის გადაიდოს, რათა მკვდარი "მოქალაქეთა კავშირისათვის" მკვდარი სულების ხმები მოაგროვოს. არ მინდა დეტალებზე საუბარი, მაგრამ ჩვენამდე მოდის გარკვეული ინფორმაციები ხელისუფლებასთან ლეიბორისტების მჭიდრო კონტაქტების თაობაზე. დოკუმენტურად ვერ დავადასტურებ ამ ინფორმაციას, მაგრამ გავრცელდა ხმები შალვა ნათელაშვილის ლევან მამალაძესთან, ასევე ავთო ჟორბენაძესთან შეხვედრის თაობაზე."**

"ახალი მემარჯვენეების" ლიდერი დავით გამყრელიძე კი აცხადებს:

**ბუნებრივია, თბილისის საკრებულოს სხდომა არ უნდა ჩატარდეს მანამ, სანამ არ გადაითვლება ბიულეტენები. არჩევნების შედეგები არ არის სწორად ასახული. ჩვენი ინტერესიცაა, საბოლოოდ გაირკვეს, ვის რამდენი ხმა აქვს მიღებული. ჩვენ ყველამ უნდა ვადევნოთ თვალი გადათვლის პროცესს და თუ აღმოჩნდა სერიოზული დარღვევები, მაშინ არჩევნების შედეგები უნდა გაუქმდეს. თუმცა, ამ პროცესში სასამართლოს ჩარევა არასწორად მეჩვენება. ადმინისტრირებისა და სასამართლო წესით არჩევნების შედეგების გაუქმება ჩემთვის მიუღებელია. რაც შეეხება ჟორბენაძეს და ლეიბორისტებს, თუ მათ შორის რაიმე შეთანხმება არსებობს, არა მგონია, იგი თბილისის საკრებულოს უკავშირდებოდეს. ძნელი სათქმელია, როგორ განვითარდება მოვლენები. ვნახოთ. საერთოდ, შემოდგომა ყოველთვის მაღალი პოლიტიკური აქტიურობით გამოირჩევა, თუმცა მე წინ აღვუდგები ნებისმიერ პოლიტიკურ ძალას, რომელიც ამა თუ იმ მოვლენას ხალხის ქუჩაში გამოსაყვანად გამოიყენებს. ვერც ხელახალ არჩევნებში ვხედავ რაიმე ცუდს. შესაძლოა, მაშინ უფრო მოწესრიგებული და ზომიერი არჩევნები ჩატარდეს".**

რაც შეეხება **"სახალხოელებს"**, ისინი "აბსურდულს" უწოდებენ ხელისუფლებასთან თანამშრომლობის ბრალდებას და დღეს ბოლომდე ბრძოლას აპირებენ. მათი მთავარი მოთხოვნა არჩევნების შედეგების გაუქმებაა. ჩვენი ინფორმაციით, პროცესს მათი მხარდამჭერების საკმაოდ დიდი არმიაც დაესწრება. **"სულ არ მაღელვებს, რომ ჟორბენაძის დაკვეთის შესრულებაში მადანაშაულებენ. ვერც იმას დავეთანხმები, რომ ჩვენი ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა. ჩვენ პროცესს მოვიგებთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, უკვე სტრასბურგს მივმართავთ",** – ამბობს "სახალხოელი" პაატა კიკვაძე.

ცენტრალური საარჩევნო კომისია კი კვლავ იცდის. მართალია, გუშინ მას სასამართლომ ბიულეტენების გადათვლის წესის შემუშავება დაავალა, მაგრამ დირექტივა დირექტივად დარჩება, თუკი დღეს საოლქო სასამართლო არჩევნების გაუქმების გადაწყვეტილებას მიიღებს.

ცესკოსგან განსხვავებით, საკმაოდ მშვიდად არიან რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიის წარმომადგენლები. მათ სასამართლო პროცესი მოიგეს. კოლეგიამ არ დააკმაყოფილა რუსთაველი "ლეიბორისტებისა" და "ედეპელების" სარჩელი ქალაქის მერისა და საკრებულოს არჩევნების შედეგების რევიზიის თაობაზე.

# საშიშროება?!

პირველი გვერდიდან

"განახლებულ" პარლამენტსა და პრეზიდენტს შორის ურთიერთობა უკიდურესად დათბა.

კრიმინალური სიტუაცია კი უკიდურესად დაიძაბა.

არჩევნების შემდეგ, ვაზიანის სამხედრო ბაზიდან იარაღის დაკარგვის ფაქტი გახმაურდა.

მალევე, საქართველოში პირველად, ნატახტართან, ანუ თბილისთან ახლოს, დააკავეს ავტომანქანა, რომელსაც იარაღი მოჰქონდა და მას უშიშროების თანამშრომელი მართავდა.

იმავე დღეს პარტიზანთა ლიდერმა შენგელიამ იარაღის შემოტანა თავად დაიბრალა.

თბილისში ჩამოსული "პარტიზანი" სამართალდამცველებს უკანონო იარაღის შემოტანისთვის არ დაუკავებიათ. მეტიც – არც დაუკითხავთ.

პირველად სამართალდამცავებისგან გაისმა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სამეგრელოში მიმავალ იარაღს ნატახტართან ვერ უნდა "ჩაევლო".

ამასობაში პოლიციის ფორმაში ჩაცმულმა თუ გადაცმულმა ადამიანებმა კიდევ ერთი უცხოელი ბიზნესმენი გაიტაცეს, რამაც საქართველოს საერთაშორისო იმიჯი კიდევ ერთხელ შეარყია და "გადამჭრელი ზომების მიღების აუცილებლობა ქვეყანაში" კიდევ ერთხელ დააყენა დღის წესრიგში.

ამ ფონზე, გუშინ საქართველოს საოლქო სასამართლომ "ნაციონალებს" სარჩელი დაუკმაყოფილა და მიიღო საქართველოსთვის უპრეცედენტო გადაწყვეტილება – თბილისის საკრებულოს არჩევნების ბიულეტენები ხელახლა გადათვლება. ამან პოლიტიკოსებში შექმნა მოლოდინი იმისა, რომ დღევანდელ სასამართლო პროცესზე, რომელზეც პარტიათა ნაწილი თბილისში არჩევნების შედეგების გაუქმებას მოითხოვს, ამ სარჩელსაც დააკმაყოფილებენ.

"ნაციონალური მოძრაობა", რომელიც ბიულეტენების გადათვლის მოტივად შედეგების გადახედვას კი არა, გამყალბებელის დადგენის სურვილს ასახელებდა, არჩევნების შედეგების გაუქმების სანაცვლოდ, ხელისუფლებას მასობრივი გამოსვლებითა და დემონსტრაციებით გუშინვე დაემუქრა. დავითაშვილმა, სპეციალურად გამართულ ბრიფინგზე, სახელმწიფო მინისტრსა და პრეზიდენტს სასამართლო ხელისუფლებაზე წინასაარჩევნო ზეწოლა გაუხსენა.

პარალელურად, კანცელარიის დერეფნებში გავრცელდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ იარაღი, რომელიც ნატახტართან დააკავეს, რეალურად თბილისისკენ მოდიოდა. ითქვა ისიც, რომ ეს არ უნდა იყოს ერთადერთი პარტია იარაღისა და შესაძლოა, აზრს არ არის მოკლებული ეჭვი, მოსალოდნელი შეიარაღებული გადატრიალების შესახებ.

ჩამოთვლილი, ხშირ შემთხვევაში ერთმანეთთან დაუკავშირებელი ფაქტები, დღეს საერთო სურათს და საერთო სცენარს ქმნიან.

ამ სცენარის წაკითხვისას, ჩნდება მინიმუმ ერთი (ჯერჯერობით) უპასუხო, კითხვა:

ხომ არ ხდება საქართველოში მასობრივი გამოსვლების განზრახ პროვოცირება, რათა მოტივაცია შეექმნას სერიოზულ და უპრეცედენტო რეპრესიებს?

## გარიგება შედგა... არ შედგა

შალვა ნათელაშვილსა და კანცელარიას შორის მიმდინარე მოლაპარაკებების შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას, გუშინ სასამართლოს მიერ ლეიბორისტთა სარჩელის დაუკმაყოფილებლობა მოჰყვა.

ამ გადაწყვეტილებამ, ერთი მხრივ, აბსოლუტურად უარყო მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ნათელაშვილმა თბილისში მოპოვებული გამარჯვება რუსთავის არჩევნების შედეგების გაუქმებასა და მომავალ არჩევნებში გამარჯვების შეპირებაზე გაცვალა; მეორე მხრივ, საკმაოდ საინტერესოა "ლეიბორისტთა" ლიდერის მიერ "24 საათთან" საუბარში გაკეთებული განცხადება იმის თაობაზე, რომ "სახალხოს" სარჩელის ბედი მას აბსოლუტურად არ აინტერესებს.

თუ გავითვალისწინებთ, რომ "სახალხო" თავის სარჩელში შედეგების გაუქმებას მოითხოვს, ცხადი ხდება, რომ მისი დაკმაყოფილება ნათელაშვილს მიღწეულ წარმატებასაც გაუბათილებს.

ასეთი ფაქტისადმი გულგრილობა კი, თავისთავად, იმის პირდაპირ დასტურად შეიძლება ჩაითვალოს, რომ გარიგება მაინც შედგა. ანუ იმის დასტურად, რომ კანცელარიამ შესძლო მერაბ ტყეშელაშვილის დაუზარალებლად, მასთან დაუპირისპირებლად შეეთავაზებინა ნათელაშვილისათვის წინადადება, რომელზეც ამ უკანასკნელმა უარი ვერ თქვა. თუმცა საბოლოო დასკვნის გაკეთება მაინც მას შემდეგ გახდება შესაძლებელი, თუ სასამართლო ლეიბორისტებს თბილისში გამარჯვებას რეალურად გააუქმებს. ასეთ შემთხვევაში გამოჩენილი ურეაქციობა და ჩვეულ საპროტესტო ფორმებზე უარის თქმა, უკვე ნამდვილად იქნება ყველა ეჭვის რეალურობის საბუთი.

## შალვა ნათელაშვილი: "ჩემს ოპონენტებს შიზოიდური ფსიქოპათია დაემართათ"

"გაერთიანებული დემოკრატების" გუშინდელ ბრალდებას, ლეიბორისტებისა და სახელმწიფო მინისტრის ალიანსის თაობაზე, შალვა ნათელაშვილმა აბსურდული უწოდა. "24 საათთან" საუბარში მან განაცხადა, რომ ჟორბენაძე 1999 წლიდან, მისი პარლამენტში მოღვაწეობის შემდეგ, საერთოდ არ უნახავს, ხოლო რაც შეეხება ბოლო დროს გავრცელებულ ხმებს, ლეიბორისტების ლიდერის ლევან მამალაძესთან შეხვედრის შესახებ, ნათელაშვილის თქმით, ეს ინფორმაცია სააკაშვილის ჯგუფის მიერაა გავრცელებული: **"მე შევხვდი ლევან მამალაძეს – აკადემიკოსს, ექიმს. იგი სამგორის რაიონში იყრიდა კენჭს და, ამის გამო, დახმარება მთხოვა, რაზეც უარი ვუთხარი, ვინაიდან სხვა კანდიდატს ვუჭერდი მხარს. ჩემს ყბადაღებულ ოპონენტებს შიზოიდური ფსიქოპათია დაემართათ და ამის გამო აერიათ ერთმანეთში ორი პიროვნება."** – აღნიშნა მან და იქვე დასძინა, - **"ის ცილისწამება და ტალახი, რაც ჩვენკენ ისროლეს ოპონენტებმა, საოლქო სასამართლოს დღევანდელი გდაწყვეტილებით** (საოლქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა რამდენიმე სამოქალაქო პირის სარჩელი რუსთავში 9 ივნისს გამართული ადგილობრივი არჩევნების შედეგების გადახედვის შესახებ. ლ.კ.) **გაბათილებულია. რუსთავში, ფაქტობრივად, ჟვანია-სააკაშვილის ჯგუფმა, ხათუნა გოგორიშვილმა, ლევან მამალაძემ და მერაბ ტყეშელაშვილმა ერთად გაგვიყალბეს არჩევნები, ისევე, როგორც 1999 წელს. მე ვამბობ, რომ ეს ერთი გუნდია, თუმცა, სამწუხაროდ, ბევრს სჯერა "ოჯახში" ატეხილი შინაომების. რაც შეეხება "სახალხოელების" მოსალოდნელ სასამართლო პროცესს, იგი სრულიად არ მაღელვებს."**

# გამარჯვებულებს – ხელფასი სამი წლით, უდისციპლინოებს – ჯარიმა მთელი ცხოვრების განმავლობაში

ვერიკო თევზაძე

თავდაცვის სამინისტროს კადრების მთავარი სამმართველოს უფროსმა დიმიტრი ლეჟავამ და მთავარი ოპერატიული სამმართველოს უფროსმა ლევან ნიკოლეიშვილმა მასმედიას გააცნეს ინფორმაცია, სამხედრო მოსამსახურეთათვის დაწესებული საკონტრაქტო სისტემის შესახებ.

წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის პირველი ფაზა სამეთაურო-საშტაბო სწავლებას მოიცავს, საკონტრაქტო სისტემაზე გადასვლა პროგრამის მეორე ნაწილია.



პრესკონფერენცია თავდაცვის სამინისტროში
ლევან ხერხეულიძის ფოტო

გაერთიანებულ სამხედრო აკადემიაში საკონტრაქტო პროფესიული სამსახურისთვის კანდიდატებს შეარჩევენ 24 ივნისიდან 5 ივლისის ჩათვლით. კონკურსში მონაწილეობის უფლება ეძლევათ როგორც საქართველოს მოქალაქეებს, ასევე ჩვენს ქეყანაში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირებს. მათ მოხდილი უნდა ჰქონდეთ სავალდებულო სამხედრო სამსახური ან რეზერვში უნდა ირიცხებოდნენ. ასაკობრივი ცენზი 30 წლამდეა დაწესებული.

თავდაპირველად კონკურსანტები ერთთვიან შემოწმებას გაივლიან. პირველი შესარჩევი ტური 20 ივლისიდან 20 აგვისტომდე ჩატარდება. საველე პირობებში მყოფ სამხედრო მოსამსახურეებს გამოცდიან ფიზიკური და ფსიქოლოგიური შესაძლებლობების მიხედვით. ერთთვიან გამოცდას ქართული მხარე ჩაატარებს. საკონკურსო კომისიაში მონაწილეობას მიიღებენ როგორც სხვადასხვა სამხედრო დანაყოფების, ასევე საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. პირველ ტურში გამარჯვებულთათვის მოეწყობა სამთვიანი საკონკურსო წვრთნები(რაც 64 მილიონ დოლარამდე დაჯდება). უკვე ამ ეტაპზე ამერიკული მხარეც ჩაერთვება.

კონკურსში გამარჯვებულები მუდმივი დისლოკაციის ადგილებში გადაიგზავნებიან (ისინი დისლოცირებულნი იქნებიან კოჯრის, საჩხერის და ვაზიანის სამხედრო ბაზებზე). მათთან გაფორმდება სამწლიანი ხელშეკრულებები. სამხედრო მოსამსახურეთა თვიური ხელფასი დიფერენცირებული იქნება 400-დან 700 ლარის ფარგლებში.

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, შესარჩევი კონკურსის ეტაპობრივად ჩატარების შედეგად, სულ ოთხი ბატალიონი დაკომპლექტდება. თითო ბატალიონში 500 კაცი ჩაირიცხება.

ოფიცრები ღია კონკურსის წესით არ შეირჩევიან. ბატალიონი დაკომპლექტდება შეიარაღებული ძალების კადრის ოფიცრებით. მათი ასაკობრივი ცენზი 35 წლამდეა.

დიმიტრი ლეჟავას განმარტებით, საკონტრაქტო პროფესიულ სამსახურში ჩარიცხულთა ყოფითი პირობები დღევანდელ ჯარში მოსამსახურეთაგან ბევრად განსხვავებული იქნება. სამხედროებს ექნებათ სამჯერადი კვება, დღეში ერთხელ შხაპის მიღებისა და ტანსაცმლის ორჯერ გამოცვლის საშუალება.

თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ როგორც საკონკურსო სწავლებისას, ასევე კონტრაქტის გაფორმების შემდეგ მთავარი იქნება სამხედროების მიერ დისციპლინის მკაცრად დაცვა. იმ შემთხვევაში, თუ პირი უდისციპლინობის ან სხვა რაიმე დანაშაულებრივი ქმედების გამო კონტრაქტს დაარღვევს, იგი დაჯარიმდება. ჯარიმის თანხა სამხედრო მოსამსახურეთათვის საკონკურსო წვრთნებისას გაწეული დანახარჯების მიხედვით გამოიანგარიშება და ერთი ადამიანისათვის, დაახლოებით, 25 ათას დოლარს უტოლდება. გამოდის, რომ დაჯარიმებულმა სამხედრომ ეს თანხა მთელი ცხოვრების განმავლობაში უნდა იხადოს.

# მოქალაქეთა კავშირი ყრილობისთვის ემზადება

გიორგი ასანიშვილი

*მოქალაქეთა კავშირის ყრილობა 29 ივნისს გაიმართება. პარტიის ყველა რაიონულ ორგანიზაციას უკვე განესაზღვრა 40-კაციანი წარმომადგენლობითი კვოტა და, აქედან გამომდინარე, ყრილობის მუშაობაში დაახლოებით 1000 დელეგატი მიიღებს მონაწილეობას.*

ფრაქცია "ალიანსი - ახალი საქართველოსთვის" წევრის, საგარეო ურთიერთობათა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის ზვიად მუკბანიანის თქმით, ყრილობის მოსამზადებლად ინტენსიურად მუშაობს საორგანიზაციო ჯგუფი სახელმწიფო მინისტრის, ავთანდილ ჟორბენაძის, ხელმძღვანელობით. ჯგუფში ჩართულნი არიან სმკ-ს სამხარეო ორგანიზაციათა წარმომადგენლები, ახლახან შექმნილი და საპარლამენტო კოალიციაში შემავალი სამივე ფრაქციის – "თანადგომის", "მოქალაქეთა კავშირისა", "ალიანსის" – წევრები.

ყრილობის ჩატარების ადგილი ჯერ არ არის დადგენილი; "მოქალაქეთა" ფორუმი ან ფილარმონიაში ჩატარდება, ან ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში.

სამაგიეროდ, თითქმის გადაწყვეტილია, რომ ყრილობაზე პარტიის თავმჯდომარედ აირჩევენ ავთანდილ ჟორბენაძეს, ხოლო გენერალურ მდივნად კი პარლამენტარ გელა კვარაცხელიას. რაც შეეხება მოქალაქეთა კავშირის მომავალ სტრუქტურასა და ორგანიზაციულ მოწყობას, ზვიად მუკბანიანის თქმით, ამჟამად, რამდენიმე ვარიანტზე მიმდინარეობს მუშაობა და, საბოლოო არჩევანის გაკეთების შემდეგ, იგი პარტიის წესდებაში აისახება.

# ელენე თევდორაძეს ახალი კონკურენტი გამოუჩნდა

თამარ ხორბალაძე

ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის ადგილის მაძიებელთა რიცხვს კიდევ ერთი პარლამენტარი ქალბატონი შეემატა. ელენე თევდორაძისა და ფიქრია ჩიხრაძის კვალდაკვალ, ამ პოსტზე "ტრადიციონალისტთა" ფრაქციის წევრის, ნატო ჩხეიძის კანდიდატურაც დასახელდა.

განსაკუთრებით საინტერესო ის გახლავთ, რომ კანდიდატურის წარმდგენია ფრაქცია "აღორძინება". ამ იდეის გახმოვანება პირველად ჯემალ გოგიტიძემ იკისრა. ასე რომ, სანდრო ბრეგაძის სავარაუდო პრეტენზია, ადამიანის უფლებათა საპარლამენტო დამცველის პოსტზე, პრეტენზიადვე დარჩა.

დღემდე საპარლამენტო კომიტეტების თავმჯდომარეების პოსტების გადანაწილებაში "ტრადიციონალისტები" მონაწილეობას დემონსტრაციულად არ იღებდნენ. მათთვის საკმაოდ მოულოდნელმა ამ ინიციატივამ, ისინი "პრინციპული" არჩევანის წინაშე დააყენა.

"აღორძინების" ეს ნაბიჯი ბევრმა სწორედ "ტრადიციონალისტთა" ჭეშმარიტი პოლიტიკური ორიენტაციის გარკვევის საბოლოო მცდელობად აღიქვა.

როგორიც არ უნდა იყოს ინიციატივის ჭეშმარიტი მოტივი, ფაქტია, რომ მან ძალიან სერიოზულად შეამცირა ელენე თევდორაძის შანსები.

მოვლენათა განვითარების პროგნოზირება დღეს პარლამენტში აშკარად უჭირთ, თუმცა ერთის თქმა უკვე თამამად შეიძლება – ადამიანის უფლებათა დაცვა საქართველოში ცალსახად ქალთა პრეროგატივად რჩება.

გამომცემელი: რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი) , ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი), დამატებები: დედაქალაქი-დავით მაღრაძე, ლიტერატურა-მალხაზ ხარბედია, სამყარო-ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი-ნიკოლოზ რურუა, სტილი-ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა-ზაზა ფაჩუაშვილი. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი), დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიტო შალუტაშვილი, საშა შათირიშვილი, თენგიზ ქირია. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, მზია შომახია,ჯუანშერ ტიკარაძე. რეკლამა-ზურაბ ჭაოშვილი.

# ჯორჯ სოროსი: გამოსავალი ერთია - თავისუფალი, დემოკრატიული არჩევნები

*დაბადებით უნგრელი ჯორჯ სოროსი, რომელიც ნაცისტურ ოკუპაციას და კომუნისტურ რეჟიმს ინგლისში ემიგრაციით გადაურჩა, ლონდონის ეკონომიკური სკოლის დამთავრებიდან ცოტა ხნის შემდეგ, აშშ-ში მოღვაწეობის წყალობით, მსოფლიო რანგის ფინანსისტი და ინვესტორი გახდა.*

*სოროსი, როგორც ფილანტროპი, აქტიურ მოღვაწეობას ეწევა 1979 წლიდან. დღეს იგი "ღია საზოგადოების ინსტიტუტის" ხელმძღვანელი და დიდი ფილანტროპიული ქსელის მმართველია, რომელიც 50-ზე მეტ ქვეყანას მოიცავს.*

*ეს ფონდები ძირითადად განლაგებულია ცენტრალურ, აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, აგრეთვე, აფრიკაში, ლათინურ ამერიკაში, აზიასა და აშშ-ში.*

*ეს ორგანიზაციები დაკავებულნი არიან ღია, დემოკრატიული საზოგადოებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურისა და ინსტიტუტების შენებით.*

*ჯორჯ სოროსი არის ოქსფორდის, იელის, ბოლონიის, ნიუ-იორკის უნივერსიტეტებისა და აკადემიური დაწესებულებების რამდენიმე საპატიო ხარისხის მფლობელი. მის აზრსა და შეხედულებებს ანგარიშს უწევს ყოველი დემოკრატიული ქვეყნის ხელისუფლება.*



პირველი გვერდიდან

**- მივუბრუნდეთ სიტუაციას საკუთრივ საქართველოში. იმ ინფორმაციის მიხედვით, რომელიც ვრცელდება სხვადასხვა წყაროების საშუალებით, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები ამცირებენ, რიგ შემთხვევაში კი წყვეტენ საერთაშორისო დაფინანსებას, რომელიც იყო მანამდე გამოყოფილი საქართველოსთვის. თქვენი აზრით, რა არის ამის მიზეზი?**

- ვფიქრობ, რომ საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები უნდობლად არიან განწყობილი ამ ქვეყნის მიმართ და ზოგიერთ შემთხვევაში თავს იკავებენ დახმარების გამოყოფაზე, ვინაიდან თქვენს მთავრობაში არსებობს კორუფციის ძალიან მაღალი დონე და თანაც, თქვენი ხელისუფლება არ ასრულებს იმ მოთხოვნებს და პირობებს, რომელთაც მას საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები უყენებენ.

**- როგორ ფიქრობთ, რა სცენარით შეიძლება განვითარდეს საქართველოში პოლიტიკური სიტუაცია? ფიქრობთ თუ არა, რომ საქართველოში შეიძლება გათამაშდეს ე.წ. "პუტინის სცენარი"?**

- ვთვლი, რომ საქართველოს მომავალი ძალიან გაურკვეველია. არა მგონია, რომ ე.წ. "პუტინის სცენარი" გამოსავალი იქნება საქართველოსათვის, მხოლოდ იმიტომ, რომ ის იყო "გამოსავალი" რუსეთისათვის.

არჩევნები ახლოვდება და, ვფიქრობ, უმნიშვნელოვანესია, რომ ხალხმა აქტიურად მიიღოს მონაწილეობა. ეს განაპირობებს დემოკრატიულ მომავალს საქართველოსათვის. მთელი მსოფლიო ყურადღებით ადევნებს თვალს მოვლენათა განვითარებას, რომელთაც ადგილი ექნებათ საქართველოში.

**- ბატონო სოროს, თქვენ საუბრობთ კორუფციის მაღალ დონეზე საქართველოს მთავრობაში, რაც რიგ შემთხვევაში საერთაშორისო დაფინანსების შეწყვეტის მიზეზი გახდა. თქვენ ასევე იყავით სპონსორი, უფრო სწორად აფინანსებდით ანტიკორუფციულ საბჭოს საქართველოში. რამდენად კმაყოფილი ხართ მთავრობისა და საქართველოს პრეზიდენტის მიერ კორუფციასთან ბრძოლის შედეგებით?**

- ვფიქრობ, საქართველოს ჰქონდა კარგად მოფიქრებული, კარგად ორგანიზებული ანტიკორუფციული პროგრამა, რომლისადმი მხარდაჭერა გამოხატა პრეზიდენტმა შევარდნაძემ.

სამწუხაროდ, ეს პროგრამა არ განხორციელებულა. ეს ჯერ კიდევ შესაძლებელია. მაგრამ, ჩემის აზრით, საქართველოში არსებობენ ძალიან ძლიერი ძალები, რომლებიც წინააღმდეგობას უწევენ ამ პროგრამის რეალურად განხორციელებას.

**- ამ შემთხვევაში რა არის თქვენი რჩევა, თქვენი მთავარი რეკომენდაცია, რას ურჩევთ საქართველოს მთავრობას?**

- მე რამდენჯერმე მქონდა ვიზიტი პრეზიდენტ შევარდნაძესთან. ჩვენი უკანასკნელი შეხვედრისას მან ხელი მოაწერა საპრეზიდენტო დადგენილებას არსებულ პრობლემათა გადასაჭრელად, მაგრამ ჩემი რწმენით ეს დადგენილებაც არ განხორციელებულა. ამ მომენტისათვის გამოსავალს წარმოადგენს თავისუფალი, დემოკრატიული არჩევნები, რომელიც ჩატარდება საერთაშორისო დამკვირვებელთა მონიტორინგით და რომელიც იქნება ხალხის ნების გამომხატველი. მხოლოდ ამის შედეგად გეყოლებათ ისეთი მთავრობა, რომელსაც ექნება სისტემური ცვლილებების განხორციელების უნარი.

**- მისტერ სოროს, დიდი მადლობა ჩვენთან ყოფნისათვის.**







# შევარდნაძეს, რეფორმების გარდა, სხვა ალტერნატივა არ აქვს

## ქართული პოლიტიკა დროს ჩამორჩება

პირველი გვერდიდან

ამ ეტაპზე აფხაზეთის საკითხი ძალინ აქტუალურია, მუშაობა ამ პრობლემაზე უკვე მიმიდინარეობს და მას შემდეგ, რაც ახალი ელჩი ჩამოვა, ის უფრო ინტენსიური გახდება.

რუსეთი ჯერ კიდევ არაკომფორტულად გრძნობს თავს წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის და აფხაზეთში სამშვიდობოების პრობლემის გამო; ამას მოგვარება სჭირდება. უნდა დაველოდოთ, კონკრეტულ მომენტში, როცა რაიმე პრობლემა გაჩნდება, როგორი იქნება მისი რეაქცია და მხოლოდ ამის შემდეგ შეგვიძლია კონკრეტულ ცვლილებებზე ვიმსჯელოთ.

მაგრამ ვაშინგტონში ფიქრობენ, რომ პუტინი ძალიან რაციონალურად და კონსტრუქციულადაა განწყობილი საქართველოს მიმართ.

**- მართალია, პუტინმა არაერთხელ დააფიქსირა, რომ ის პრო-დასავლურ კურსს ატარებს და ამ მიმართულებით მისი პოლიტიკური ნაბიჯები საკმაოდ რაციონალური ჩანს, მაგრამ პუტინის პოლიტიკა სრულ დისონანსშია რუსეთის პოლიტიკური ისტებლიშმენტისა და გენერალიტეტის განწყობასთან, რომელიც გაცილები უფრო რეაქციულია და არ სურს საქართველოზე გავლენის ბერკეტები დაკარგოს.**

- ეს მართლაც ძალინ დიდი პრობლემაა, არჩევნები ახლოვდება და, აშკარაა, პუტინს მოუწევს გარკვეულ კომპრომისებზე წასვლა. ჩეჩნეთი და საქართველო კი ის საკითხია, რომელიც რუსეთში ძალიან ბევრს აღელვებს. ამიტომ უაღრესად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ამერიკის ადმინისტრაცია ყოველთვის აკონტროლებს სიტუაციას.

**- შეუძლია თუ არა ოფიციალურ ვაშინგტონს, გარკვეული ფორმით, ზეწოლა მოხდინოს მოსკოვზე, რომ რუსეთმა, იგივე აფხაზეთის პრობლემის მოსაგვარებლად, კონკრეტული ნაბიჯები გადადგას?**

- საქართველო ამერიკისათვის მთავარი პრიორიტეტი არ გახლავთ. როცა ბუში დილით იღვიძებს, ის პირველად ტერორიზმზე, პაკისტან-ინდოეთისა და ახლო აღმოსავლეთის პრობლემებზე ფიქრობს .

მაგრამ, როცა საქართველოს საკითხი მწვავედ დგება, მაგალითად, როცა რუსეთს უნდა ერთობლივი პატრულირება პანკისის ხეობაში ან კოდორის ხეობაში სიტუაცია იძაბება, ამერიკის ადმინისტრაცია რუსეთის ხელისუფლებას რადიკალური ნაბიჯის გადადგმის საშუალებას არ აძლევს და ვფიქრობ, ეს დიდი მიღწევაა.

გარდა ამისა, როცა ამერიკისა და რუსეთის მოლაპარაკებები იწყება, აფხაზეთი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემის სტატუსს იძენს. საკმაოდ დიდი მიღწევაა ისიც, რომ რუსეთმა, როგორც იქნა, მიიღო გაეროს რეკომენდაცია აფხაზეთთან დაკავშირებით, რაც კონფლიქტის მოსაგვარებლად ახალ შესაძლებლობებს ქმნის. თუ რუსეთი მართლაც სერიოზულად არის განწყობილი ამ პრობლემის მოგვარებისთვის, მაშინ მართლაც მნიშვნელოვან ძვრებს უნდა ველოდოთ.

იმის გარანტია, რომ რუსეთს მართლაც უნდა აფხაზეთის პრობლემის მოგვარება, ბუნებრივია, არ არსებობს, მაგრამ არსებობს საკმარისი მიზეზი საიმისოდ, რომ პუტინი ასე მოიქცეს.

**- საქართველოში ამერიკის დახმარებამ და წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის დაწყებამ დიდი იმედი დაბადა. შევარდნაძეც მიიჩნევს, რომ მაშინ, როცა მოსახლეობის ნდობა დაკარგა და მისი პოლიტიკური კარიერა არცთუ საუკეთესო ფაზაში შევიდა, ეს პროგრამა მისი მთავარი დასაყრდენი გახდება.**

- მოლოდინი ამ პროგრამასთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა, გადაჭარბებულია. ეს პროგრამა საქართველოს დაეხმარება, რომ უფრო პროფესიული, კარგად მომზადებული ჯარი ჰყავდეს. მაგრამ, ბუნებრივია, ის ვერ გახდება პანაცეა ყველა სხვა პრობლემის მოსაგვარებლად. საქართველოს მთავარი პრობლემა კი კანონისადმი დაუმორჩილებლობა და კორუფციაა.

თარგამაძისა და სხვა ოდიოზური მინისტრების გადადგომამ არსებითად ვერაფერი შეცვალა, რადგან სიტუაციის შეცვლა მხოლოდ რეფორმებს შეუძლია.

ამერიკული დახმარება საქართველოში მხოლოდ მაშინ იმუშავებს, როცა რეფორმები ყველა სფეროში დაიწყება - დაწყებული განათლების სისტემიდან, დამთავრებული ბიუჯეტის რეფორმით. სხვა შემთხვევაში, ფული, რომელსაც ამერიკა საქართველოს აძლევს, დაკარგული იქნება.

გარკვეული ხნის შემდეგ, როცა ეს პროგრამა დამთავრდება და ხელშესახები არაფერი იქნება, ბუნებრივია, ეს კიდევ ერთი, ძალინ სერიოზული სიგნალი გახდება ვაშინგტონისთვის, რომ საქართველოსთვის გაწეული დახმარება მნიშვნელოვნად შეამციროს. რადგან უკვე ძალიან ბევრი ფული გაიფლანგა უშედეგოდ.

პრეზიდენტ შევარდნაძეს ყველა დონეზე, მათ შორის ძალიან მაღალ დონეზე, შეხვედრების დროს მუდმივად უწევს იმის მოსმენა, რომ აუცილებელია რეფორმები ყველა სფეროში. მიუხედავად ამისა, ამ მიმართულებით თითქმის არაფერი გაკეთებულა.

**- ხომ არ ნიშნავს ეს, რომ შევარდნაძემ, როგორც ქვეყნის პრეზიდენტმა, ვაშინგტონის ნდობა საბოლოოდ დაკარგა.**

- ეს მთლად ასე არ არის. შევარდანაძეს ჯერ კიდევ აქვს მხარდაჭერა, რადგან არავის სჭირდება, იგი ისე დასუსტდეს, რომ პრეზიდენტობის ვადის ამოწურვამდე ქვეყნის მართვა ველარ შეძლოს. ის, ჯერჯერობით, ისევ რჩება ქვეყნის ერთიანობის გარანტად.

თედო ჯაფარიძის დანიშვნა უშიშროების საბჭოს მდივნად, მისი მხრიდან ძალიან საგულისხმო ნაბიჯი იყო, თუმცა ჩვენ იმასაც კარგად ვაცნობიერებთ, რომ მის გარემოცვაში მეტი გავლენა და ძალა სხვა, კორუმპირებულ და მდიდარ ჩინოვნიკებს აქვთ.

**- ვაშინგტონიდან თბილისში დაბრუნებულმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ ვაშინგტონის გავლენიან წრეებში მას სრული მხარდაჭერა აღუთქვეს.**

- სააკაშვილს ზოგჯერ გადაჭარბება უყვარს. რა თქმა უნდა, ჩვენ მას განვიხილავთ, როგორც სერიოზულ ძალას, რომელსაც მოსახლეობაში დიდი მხარდაჭერა აქვს. მაგრამ ჩვენი მიზანია, ამ პოლიტიკოსსა და პრეზიდენტს შორის არ გამწვავდეს დაძაბულობა, რომელიც უკვე არსებობს.

ჩვენ ვკითხეთ სააკაშვილს, რას ნიშნავს ლოზუნგი – "თბილისი შევარდნაძის გარეშე"; ხომ არ ნიშნავს ეს მოწოდებას, რომ პრეზიდენტმა თავისი პოსტი დროზე ადრე დატოვოს.

სააკაშვილის პასუხი იყო, რომ ამ ლოზუნგის ერთადერთი მიზანია, ხალხი 2005 წლისთვის, შევარდნაძის წასვლისთვის მოამზადოს.

ჩვენც ასევე ვფიქრობთ. ის ფაქტი, რომ ხელისუფლება მიზანმიმართულ კამპანიას აწარმოებს და ჟვანიასა და სააკაშვილს ფაშისტებს ადარებს, სრულიად დამანგრეველია.

შევარდნაძე ძალინ ემოციურად იქცევა და ასეთივე პოლიტიკურ ნაბიჯებსაც დგამს. პოლიტიკა საქართველოში პირად სიმპატია-ანტიპატიაზეა აგებული. შევარდნაძეს ვერ უპატიებია ჟვანიასა და სააკაშვილისთვის, რომ მასთან აღარ არიან და "უღალატეს". საქართველოში, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ შეურყეველია კავკასიური ფორმულა – არ უღალატო შენს მეგობარს. პოლიტიკაში ამგვარი კატეგორიებით აზროვნება კი ძალიან წამგებიანია. აშკარაა, რომ ქართული პოლიტიკა დროს ჩამორჩება.

ამაზე საუბარი ჩვენ აუცილებლად გვექნება შევარდნაძესთან. თუმცა, საგარეო პოლიტიკისაგან განსხვავებით, მას ძალინ უჭირს შეასრულოს რეკომენდაციები, რომელიც უშუალოდ შიდა პოლიტიკას ეხება.

ფაქტი ერთია, რომ დაპირისპირება საქართველოსთვის დამღუპველია. შევარდნაძემ და ოპოზიციაში გადასულმა პოლიტიკოსებმა აუცილებლად უნდა გამონახონ საერთო ენა და კონსტრუქციული დიალოგი დაიწყონ.

თუ მომავალ საპარლამენტო არჩევნებში სააკაშვილმა და ჟვანიამ გაიმარჯვეს და მათთვის თვითმიზანი გახდა, რომ პრეზიდენტის ყველა ინიციატივა და კანონპროექტი დაბლოკონ, ესეც დამღუპველი იქნება ქვეყნისთვის და უაღრესად დაასუსტებს მას.

**- შევარდნაძე ბოლო პერიოდში მიზანმიმართულად ცდილობს ხელისუფლებამ გრანტები გააკონტროლოს. მან ამის მიზეზად ის დაასახელა, რომ არასამთავრობოების უკან ტერორისტული ორგანიზაციები იმალებიან. თუმცა, შევარდნაძის ეს ინიციატივა ყველამ აღიქვა ისე, რომ მას ამით არასამთავრობო სექტორის გაკონტროლება და სამოქალაქო საზოგადოების დასუსტება სურს.**

- ზოგიერთი არასამთავრობოს უკან, შესაძლოა, მართლაც იდგეს ტერორისტული ორგანიზაცია, მაგრამ ამის გაშიფვრა ნებისმიერი ქვეყნის უშიშროების სამსახურს შეუძლია. ასე რომ, ეს ნამდვილად არ შეიძლება იყოს არგუმენტი.

შევარდნაძის ამ ინიციატივას, ჯერჯერობით, ვაშინგტონში სერიოზულად არ განიხილავენ, რადგან არავინ ფიქრობს, რომ შევარდნაძე ასეთი რადიკალური ნაბიჯის გადადგმას შეძლებს. მაგრამკ თუ მაინც გადადგა, ეს ძალიან ცუდი იქნება შევარდნაძისთვის, ისევე როგორც მთლიანად საქართველოსთვის.

**პრეზიდენტი დიდ იმედებს ამყარებს ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენზე, რადგან ამ პროექტის ამუშავება ამერიკის სტრატეგიული ინტერესშიც შედის.**

- პირველი ნავთობი და გაზი საქართველოში 2005 წლამდე არ გაივლის. გარდა ამისა, პროექტში ჩადებული ინვესტიციების რაოდენობა მხოლოდ ქვეყანაში არსებულ სიტუაციაზე იქნება დამოკიდებული. თუ არ იქნება სტაბილურობა, არ იქნება ინვესტიციებიც, ეს ბუნებრივია. გარდა ამისა, 2005 წლამდე საკმარისი დროა, ხალხისთვის კი მხოლოდ მომავლის გეგმები არაფერს ნიშნავს. ასე რომ, შევარდნაძეს, რეფორმების გარდა, სხვა ალტერნატივა არ აქვს.

**- და ბოლოს, რამდენიმე თვის წინ ვაშინგტონში შეხვედრები გამართა "ახალი მემარჯვენეების" ლიდერმა. საქართველოში გაჩნდა მოსაზრება, რომ ვაშინგტონში დამყარებული კონტაქტების გზით, "ახალი მემარჯვენეები" პროდასავლურ ფრონტზე შევარდნაძისთვის ჟვანია-სააკაშვილის ჩანაცვლებას ცდილობენ.**

- მე უშუალოდ არ შევხვედრივარ დავით გამყრელიძეს, თუმცა ადრე ვესაუბრე ლევან გაჩეჩილაძეს. აქ მათ აღიქვამენ, როგორც მდიდარ ბიზნესმენებს, რომლებიც პოლიტიკურ ტექნოლოგიებს, ჯერჯერობით, ვერ ფლობენ.

# ვის გადაუჭრა გზა სოსო ორჯონიკიძემ?

პირველი გვერდიდან

რიაში მოწვეული პროფესიონალების გუნდი შარშანწინ, მერიის გვერდით, ორჯონიკიძეზე მომხდარი პირველი თავდასხმის საკუთარ გამოძიებას ეწევა. რუსული პრესისათვის მიცემულ ინტერვიუში სოსო ორჯონიკიძე ამბობდა, რომ მასაც აქვს საკუთარი მოსაზრებები და ოდესღაც გაახმოვანებს.

იოსებ ორჯონიკიძე მოსკოვის ხელისუფლებაში ამ პოსტზე 1992 წლიდანაა. რუსული წყაროები ამტკიცებენ, რომ ინაუგურაციის შემდეგ ვლადიმირ პუტინმა ლუჟკოვს ორჯონიკიძის გათავისუფლება მოსთხოვა, მაგრამ უარი მიიღო. ორჯონიკიძე დარჩა, როგორც საერთაშორისო ბიზნესის და მოსკოვში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის შეუცვლელი სპეციალისტი. ამის გამო სერიოზული პრობლემები გაუჩნდა ადმინისტრაციულ დონეებზე, ქალაქში ხელისუფლების გადანაწილების მსურველებთან. მოსკოვში მაშინ ჩვენი კოლეგები ამტკიცებდნენ, რომ მოსკოვის ხელისუფლების მაღალ ჩინებთან სამართალდამცავ ორგანოებს შეკითხვები გაუჩნდათ. ლაპარაკი იყო ორჯონიკიძესა და მის კოლეგებზე - მერიიდან-ოლეგ ტოლკაჩოვზე და ვლადიმირ მალიშკოვზე. იური ლუჟკოვმა თავისი გუნდი, პუტინის მოთხოვნის მიუხედავად, არ დაანგრია, მხოლოდ "კოსმეტიკური რემონტით" შემოიფარგლა. ორჯონიკიძე, მართალია, ჩამოალაბორანტეს, მაგრამ საგარეო კავშირების სფერო მაინც მის ხელში დარჩა. უბრალოდ, სტრუქტურა გამოიცვალა, ვიცე-პრემიერად დარჩა და გააგრძელა მოსკოვსა და საზღვარგარეთ ინვესტიციური პროექტების, სავალუტო ფონდის, სატენდერო ცენტრის, სასტუმროს, ტურისტული და მოსკოვის სათამაშო სახლების ბიზნესის კონტროლი.

ორჯონიკიძე რუსეთის სპორტული ბოულინგის ფედერაციის მეთაურადაც დარჩა და, როგორც ამბობენ, რუსი ბოულინგისტებიც მისი უკმაყოფილონი იყვნენ ფულადი შესატანების არამიზნობრივად ხარჯვის გამო. ასეა თუ ისე , დღეს ორჯონიკიძე რუსეთის ბოულინგში ნომინალური ფიგურაა, მაგრამ მოსკოვის ბოულინგ-ცენტრები მისი მფარველობითაა აშენებული.

უფრო მეტი ბურუსითაა მოცული გრანდიოზული "მოსკვა-სიტის" კომპლექსის მშენებლობა - საერთაშორისო ბიზნეს ცენტრის ტენდერი. ასე რომ, ორჯონიკიძის მოშორების მსურველნი ამ სისტემაშიც შეიძლება აღმოჩნდნენ.

მოსკოვში ვარაუდობენ, რომ ვიცე-მერზე პირველი თავდახმა, მოსკოვის ცენტრში, ლეონტიევის შესახვევში, დაკავშირებული იყო სწორედ ამ საქმიანი ცენტრის მშენებლობასთან. თანაც ბატონი სოსო ბანკ" მოსკვა-სიტის" დირექტორთა საბჭოს წევრიცაა.

შარშანწინ მოსკოვში გაიმართა ტენდერი სასტუმრო "ინსტურისტის" აღებასა და მის ადგილზე ახალი ხუთვარსკვალვიანი სასტუმროს მშენებლობაზე. ტენდერის ორგანიზატორია მოსკოვის საერთაშორისო სატენდერო ცენტრი ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით. "ინტურისტის" რეკონსტრუქცია ამჟამად მოსკოვის ცენტრში მიმდინარეობს. თუმცა, როგორც მოსკოვში კარგად ინფორმირებული ადამიანები ამტკიცებენ, ფრანგებმა პროექტში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს. რატომ წავიდნენ ფრანგი ინვესტორები, გაუგებარია. ცხადია ერთი, რომ მოსკოვის კრიმინალური სამყარო ქალაქის სასტუმრო ბიზნესს სერიოზულად აკონტროლებს და დაინტერესებულია ამ სფეროს გადანაწილებით.

დღეს მომხდარი მოვლენის გაანალიზების დროს, სპეციალისტებს ისევ გაახსენდათ ორჯონიკიძის მეგობარი და პარტნიორი უმარ ჯაბრაილოვი - ვიცე-მერის ნდობით აღჭურვილი ჩეჩენი, სასტუმრო "რედისონ-სლავიანსკაიას" სისტემაში, რომელსაც მოსკოვში ხუმრობით "რედისონ-ჩეჩენსკაიასაც" უწოდებენ. 1996 წელს სასტუმროს გენერალურ დირექტორს უმარ ჯაბრაილოვს კონფლიქტი ჰქონდა ფირმა "ამერიკომ"-ის ხელმძღვანელ პოლ თეითუმთან, რომელიც ასევე ამ სასტუმროს თანამფლობელი იყო. თეითუმმა ჯაბრაილოვთან და ორჯონიკიძესთან სასამართლოში დაიწყო საქმის გარჩევა. შედეგად იმავე წელს ამერიკელი თეითუმი მეტრო "კიევსკაიასთან" მიწისქვეშა გადასასვლელში მოკლეს.

დღევანდელ ტერაქტში ჩეჩნური კვალის გამოჩენა, მოსკოვის სამართალდამცავი ორგანოების წინასწარი ვარაუდით, ისევ ორჯონიკიძის მოღვაწეობას უკავშირდება. დღეს გაიხსენეს მეორე კავკასიელიც - აგარაგიმ ჯაფაროვი, ლუდის ქარხანა "კნიაზ რიურიკის" გენდირექტორი, რომელთანაც ასევე კონფლიქტი ჰქონდა ორჯონიკიძეს.

დღეს სოსო ორჯონიკიძის ხელში გადის მოსკოვის მრავალმილიონიანი პროექტები. ასევე "ფორმულა-1"-ის ავტოდრომის მშენებლობაც, რომელიც 100 მლნ დოლარადაა შეფასებული.

ორჯონიკიძის სიცოცხლისათვის ყველაზე დიდი რისკის ფაქტორი მაინც მოსკოვის კრიმინალიზებული სასტუმროებისა და კაზინოების ბიზნესს უკავშირდება.

ორჯონიკიძეზე მეორე თავდასხმამ დაამტკიცა, რომ ვიცე-მერის შეშინება ნამდვილად არ უნდოდათ, როგორც ამას ამტკიცებდნენ პირველი ტერაქტის დროს.

მოსკოვის მერიაში მისულმა ჟურნალისტებმა დღეს იგი მომღიმარე იხილეს. საერთოდ, რუს ჟურნალისტებთან ორჯონიკიძე გულგახსნილია , ქართველ ჟურნალისტებთან შეხვედრისას საქართველოს დღევანდელობაზე საუბარს შეგნებულად არიდებს თავს. დღეს კი, საერთოდ, კომენტარებისაგან თავი შეიკავა.

1999 წელს ვეჩერნაია მოსკვასთვის მიცემულ ინტერვიუში ორჯონიკიძე ამბობს, რომ **"რუსეთში უცხოური ინვესტიციების 60 პროცენტი მოსკოვზე მოდის და რომ მოსკოვში მუშაობს დღეს საკუთარი კაპიტალით ჩამოსული 35 ათასი უცხოური კამპანია-350 ათასი ადამიანი შორი საზღვარგარეთიდან".**

ასე რომ, ძნელი დასადგენია ორჯონიკიძის შემკვეთთა ეროვნება და ინტერესები. ფაქტია, რომ ორჯონიკიძემ ვიღაცას გზა გადაუჭრა. ფაქტია, რომ 20 ივნისის ტერაქტი, როგორც პირველი თავდასხმა, მაღალპროფესიულად იყო დაგეგმილი.

სოსო ორჯონიკიძე დღესაც შემთხვევით გადარჩა.

# დევნილები აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრას ითხოვენ

ლიკა კობალაძე

**"საქართველოს კონსტიტუციაში განისაზღვროს აფხაზეთის სტატუსი და შესრულდეს პარლამენტის 2002 წლის 20 მარტის დადგენილება, კონფლიქტის ზონიდან რუსეთის სამშვიდობო ძალების უპირობო გაყვანასთან დაკავშირებით,"-** ამ მოთხოვნებით გუშინ, დილის 11 საათისთვის, პარლამენტთან ასეულობით დევნილი შეიკრიბა და საპროტესტო აქცია გამართა. **"მთავრობა ჩვენს სახლებში დაბრუნებაზე სრულიად არ ზრუნავს, მხოლოდ გვატყუებს"; "დაგვაბრუნონ ჩვენს სახლებში, სულ ერთია, ვინ იქნება ეს - შევარდნაძე თუ ნადარეიშვილი,"** – აღშფოთებას ვერ მალავდნენ დევნილები და, მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ქვეყანაში მდგომარეობის უკიდურესი დაძაბვით იმუქრებოდნენ. საპროტესტო აქციას აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

მიტინგზე დევნილთა მხარდასაჭერად მისულმა "ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთმა ლიდერმა კობა დავითაშვილმა "24 საათთან" საუბარში განაცხადა: **"ნაციონალური მოძრაობა" და მასში გაერთიანებული პოლიტიკური ძალები მხარს ვუჭერთ აქციის მონაწილეებს. მათი მოთხოვნა, რა თქმა უნდა, სამართლიანია. აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკებს თანასწორი სტატუსი უნდა ჰქონდეთ, შემდეგ კი კონსტიტუციით განისაზღვროს დანარჩენ უფლებამოსილებათა გამიჯვნა, რომლის თაობაზეც ყველა მხარესთან უნდა გაიმართოს მოლაპარაკებები. აქ შეკრებილი ადამიანები**



აქცია პარლამენტთან
იური ლობოდინის ფოტო

**პარლამენტის მიერ სამი თვის წინ მიღებული დადგენილების შესრულებას მართებულად ითხოვენ."**

გუშინ პარლამენტმა, კვორუმის არ არსებობის გამო, აღნიშნული საკითხის განხილვა ვერ შეძლო და მეორე დღისთვის გადაიტანა, რასაც დევნილთა სამართლიანი აღშფოთება მოჰყვა. დაახლოებით ორის ნახევრისთვის, მიტინგის ორგანიზატორებმა დღის წესრიგი ამოწურულად გამოაცხადეს და აქციის მონაწილეებს დაშლისკენ მოუწოდეს, იმ საბაბით, რომ პარლამენტის თავმჯდომარე მათ დაჰპირდა, **ხვალ კვორუმი იქნება პარლამენტში და საკითხი დადებითად გადაწყდებაო.** წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი საქართველოს მასშტაბით მასობრივი დესტაბილიზაციით დაიმუქრნენ და განაცხადეს: **"რაც მოხდება, საკუთარ თავს დააბრალონ პარლამენტმაც და ხელისუფლებამაც."**

"ეროვნულ ძალთა გაერთიანების" ხელმძღვანელისა და აქციის ერთერთი ორგანიზატორის ზვიად ძიძიგურის თქმით, **"თუკი ხვალ პარლამენტი ამ საკითხს დადებითად არ გადაწყვეტს, "მეომართა კავშირი" და დევნილთა ორგანიზაციების წარმომადგენლები პარლამენტის წინ შიმშილობის აქციებს დაიწყებენ. იმედია, ხელისუფლება მიხვდება, რომ ეს მისი სკამისთვის რეალური საშიშროებაა და ამას ანგარიშს გაუწევს. თუ აჭარის სტატუსია დაფიქსირებული საქართველოს კონსტიტუციაში, რატომ არ შეიძლება იგივე ჩანაწერი აფხაზეთის მიმართაც გაკეთდეს? უნდა დასრულდეს საქართველოს ტერიტორიაზე მუდმივად რუსეთის ინტერესების გათვალისწინება და ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ამას წერტილი უნდა დაესვას! ხელისუფლება ჩვენ უნდა ვაიძულოთ, თორემ ისინი რუსეთის საწინააღმდეგო ნაბიჯს ვერ დგამენ. რუსეთის დუმამ მიიღო დადგენილება, რომ ყველას, ვისაც ყოფილი საბჭოთა კავშირის პასპორტი აქვს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ტერიტორიაზე, ავტომატურად ეძლევა რუსეთის მოქალაქეობა; ერთადერთი სწორი გზაა, როდესაც მოსახლეობა პოლიტიკურ ძალთა საკმაოდ სოლიდურ ნაწილს გვერდით უდგება და ცდილობს აფხაზეთის სტატუსის საკითხის გადაწყვეტას. ამ პრობლემების მოუგვარებლობა, შესაძლებელია, საქართველოს პრეზიდენტის იმპიჩმენტის საბაბადაც გამოდგეს, ვინაიდან იგი არ ასრულებს კონსტიტუციის მოთხოვნებს."**

# აფხაზური დიასპორის სამშვიდობო გეგმამ თბილისი დააინტერესა

პირველი გვერდიდან

**1. ტერიტორიული მთლიანობა და სტატუსი**

სამშვიდობო გეგმის მიხედვით, აფხაზური სახელმწიფო შედის საქართველოს ფედერაციის შემადგენლობაში; ახალ ფედერაციულ სახელმწიფოს დაერქმევა ქართულ-აფხაზური სახელმწიფო. ამ სახელმწიფოში მცხოვრებნი იქნებიან ქართულ-აფხაზური სახელმწიფოს მოქალაქეები; თბილისი აფხაზეთზე შეზღუდულ ძალაუფლებას ინარჩუნებს. აფხაზეთს ექნება განსაკუთრებული უფლებები და პრივილეგიები. ახალი ფედერაციული სახელმწიფოს ვიცე-პრეზიდენტი ყოველთვის უნდა იყოს ეთნიკური აფხაზი და მას აფხაზეთის მოსახლეობა აირჩევს. ახალი სახელმწიფოს ოფიციალური ენები იქნება აფხაზური, ქართული, რუსული და ინგლისური.

**2. აფხაზეთის ხელისუფლება**

აფხაზეთს ეყოლება პრეზიდენტი და ორპალატიანი კონგრესი (პარლამენტი). პრეზიდენტი აუცილებლად უნდა იყოს ეთნიკური აფხაზი, მას ხუთი წლის ვადით აირჩევს აფხაზეთის მოსახლეობა. აფხაზეთის პრეზიდენტს უფლება ექნება ვეტო დაადოს საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, რომლებიც აფხაზეთს ეხება. კონგრესის (პარლამენტი) ზედა პალატას აირჩევენ აფხაზეთში მცხოვრები ძირითადი ეთნიკური ჯგუფები (აფხაზები, ქართველები, ბერძნები, რუსები, სომხები). აფხაზებს აქვთ გაფართოებული არჩევის უფლება და უმრავლესობა ხუთი წლის ვადით არჩეულ ზედა პალატაში. კონგრესის ქვედა პალატას სამი წლის ვადით აირჩევს აფხაზეთის მთელი მოსახლეობა (ერთი მოქალაქე – ერთი ხმა). აქ უმრავლესობა ქართველებს ექნებათ. კანონები მიღებულად ჩაითვლება, თუ მას ორივე პალატა მოიწონებს.

**3. ეკონომიკური პოლიტიკა**

აფხაზეთის ვალუტა იქნება ქართული ლარი; აფხაზეთის ეკონომიკა მთლიანად ადგილობრივი ხელისუფლების იურისდიქციის ქვეშ დარჩება, რომელიც დაიწყებს პრივატიზაციის პროცესს. ბანკები კერძო მესაკუთრეების ხელში გადავა. გადასახადებს ადგილობრივი საგადასახადო აკრეფს, მათი განაწილება თბილისსა და სოხუმს შორის კი წინასწარი შეთანხმების მიხედვით მოხდება.

**4. აფხაზეთის შეიარაღებული ძალები**

აფხაზეთში ამჟამინდელ შეირაღებული ძალების რეფორმირებით შეიქმნება გასამხედროებული მილიცია და მას "აფხაზეთის უსაფრთხოების ძალები" ("აუძ") დაერქმევა. ამ ფორმირების განყოფილება გალის რაიონში ქართველებით დაკომპლექტდება. გეგმის მიხედვით, "აუძ"-ი განთავსდება საქართველო-აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვარზე, საზღვაო პორტებში, აეროპორტებში, დაიცავს სარკინიგზო და საავტომობილო მაგისტრალებს.

**5. კომპეტენციების გამიჯვნა თბილისსა და სოხუმს შორის**

აფხაზეთის ხელისუფლების კომპეტენციაში რჩება: აფხაზეთის პოლიტიკური და ეკონომიკური კონტროლი და ადგილობრივი გასამხედროებული მილიცია – "აუძ"-ი. საქართველოს ხელისუფლებას კომპეტენციაში - საერთაშორისო პოლიტიკა. ერთობლივი კომპეტენციის ფარგლებში მოექცევა საგადასახადო პოლიტიკა, სტრატეგიული ობიექტები და გზები, სასამართლო ხელისუფლება, საერთაშორისო ვაჭრობა, საბაჟო სამსახური, განათლება, ჯანდაცვა-სოციალური უზრუნველყოფა, საერთაშორისო დახმარება და კულტურა. სამხედრო თანამშრომლობა - მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვინმე ქართულ-აფხაზურ სახელმწიფოს ომს გამოუცხადებს.

**6. ლტოლვილების დაბრუნება**

დიასპორის აზრით, ქართველი ლტოლვილები უნდა დაბრუნდნენ ეტაპობრივად, 10-15 წლის მანძილზე მხოლოდ გალის რაიონში და შემდეგ უნდა მოხდეს მათი განსახლება აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე. გეგმაში ასევე საუბარია, რომ აფხაზური დიასპორის (მოჰაჯირები) დასაბრუნებლად (დაახლოებით, 500-600 ათასი ადამიანი) მოხდეს კანონმდებლობის დახვეწა, რათა მათ ორმაგი მოქალაქეობის უფლება მიეცეთ.

**7. რეფერენდუმი**

კონფლიქტის მოგვარების მერე, 25-წლიანი თანაცხოვრების შემდეგ, აფხაზეთის ტერიტორიაზე გაიმართება რეფერენდუმი, სადაც აფხაზეთის მოსახლეობამ უნდა უპასუხოს შეკითხვას, სურს თუ არა საქართველოს ფედერაციაში აფხაზეთის დარჩენა.

ამ დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებებისა და წინადადებების კომენტარისთვის მივმართეთ სახელმწიფო მოღვაწეებსა და პოლიტიკოსებს.

**შალვა ფიჩხაძე,** სახელმწიფო კანცელარიის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი:

**"იმ შეურიგებელ პოზიციასთან შედარებით, რომელიც ამ ათი წლის მანძილზე არძინბას კლანს უკავია, რა თქმა უნდა, აფხაზური დიასპორის ეს წინადადებები გაცილებით მიმზიდველად გამოიყურება. განსაკუთრებით, როცა საუბარია ერთიან ფულად-საკრედიტო პოლიტიკაზე, რომ ერთადერთი საგადამხდელო საშუალება აფხაზეთში იქნება ქართული ლარი, ასევე - ერთობლივი კომპეტენციის სფეროებზე. მთავარი კი, რა თქმა უნდა, ამ დოკუმენტში არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღიარება აფხაზების მხრიდან. აქ არის უამრავი ჩვენთვის კატეგორიულად მიუღებელი პუნქტიც. იმავე რეფერენდუმისა და დევნილთა დაბრუნების მათეული ხედვა. საერთოდ, ეს გეგმა სუსტად მომზადებული და აშკარად დასახვეწია. მეორე მომენტია, რომ თუ ჩვენ მივიღეთ ეს მძიმე და მიუღებელი პირობები, სად არის გარანტია, რომ აფხაზები კვლავ არ წამოიწყებენ მორიგ ავანტურას? ამის მიუხედავად, დიასპორასთან მოლაპარაკებები ძალიან მნიშვნელოვანია. მახსენდება რამდენიმე წლის წინ საქართველოს პრეზიდენტის შეხვედრები თურქეთის დედაქალაქ ანკარაში, აფხაზური დიასპორის წარმომადგენლებთან. ბუნებრივია, მათ შორის განსხვავებული აზრიც არის, თუმცა, დიდი ნაწილი თანხმდება იმაზე, რომ აფხაზურ ეთნოსს დამოუკიდებლად არსებობისა და გადარჩენის უფრო მეტი შანსი აქვს იმ შემთხვევაში, თუ აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში იქნება".**



აფხაზური დიასპორა სამშვიდობო გეგმის წარდგენისას
ლევან ხერხეულიძის ფოტო

**არჩილ ჭითავა,** აფხაზეთის ქონების მართვის დეპარტამენტის თავჯდომარე:

**"ამ დოკუმენტში ჩანს, რომ მის შემდგენლებს უცდიათ, გაეთვალესწინებინათ აფხაზეთში დღეს არსებული შეხედულებები. მაგალითად, მე ნამდვილად ვიცი, რომ აფხაზეთში არსებობს აზრი, ქართველები ჯერ დაბრუნდნენ მხოლოდ გალის რაიონში და შემდეგ მოხდეს მათი ეტაპობრივი შეშვება სხვა რაიონებში. ამ აზრს აქვს არსებობის უფლება. აფხაზებს საშინლად ეშინიათ იმ დემოგრაფიული ვითარების შეცვლისა, რაც ომის შემდგომ იქ შეიქმნა. მეორე მომენტია, რომ მე არ მჯერა და დარწმუნებულიც ვარ - დიასპორის ჩართვა კონფლიქტის მოწესრიგებაში უპერსპექტივოა. იმავე კაზანებს არანაირი ავტორიტეტი აფხაზეთში არ აქვთ, მათ იქ, ელემენტარულად, არ უცხოვრიათ. მათ არ უნახავთ, როგორ ცხოვრობდნენ იქ აფხაზები და ქართველები. ეს არის ამერიკიდან, თურქეთიდან დანახული სურათი და ისეთივე უპერსპექტივოა, როგორც დღევანდელი ხედვა თბილისიდან ან მოსკოვიდან. მე, ნახევრად აფხაზი, გეუბნებით, რომ თუ შენ არ გიცხოვრია აფხაზთან ერთად, არ ყოფილხარ შეზრდილი, ვერასოდეს გაუგებ ამ ხალხს. სწორედ ამის შედეგია, რომ აქამდე გამართულმა არც ერთმა მოლაპარაკებამ შედეგი არ მოგვცა".**

**დავით ბერძენიშვილი,** თბილისის საკრებულოს წევრი, "ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთი ლიდერი:

"აფხაზური დიასპორის ინიციატივა ძალიან მნიშვნელოვანია. რაც შეეხება დოკუმენტს, მე, ჩემს მეგობრებთან ერთად, ბევრი მიმუშავია აფხაზურ პრობლემატიკაზე, უფრო სოლიდური დოკუმენტები შეგვიქმნია, როგორც კონცეპტუალური, ისე, საკუთრივ, იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისითაც. მიმაჩნია, რომ აფხაზური დიასპორის ეს წინადადებები პოზიტიურია საქართველოს სახელმწიფოს ერთიანობის შენარჩუნების თვალსაზრისით. პოზიტიურია, რომ ისინი აფხაზეთს ხედავენ, როგორც საქართველოს ფედერაციის სუბიექტს; ისინი უპირობოდ აღიარებენ დევნილების უკან დაბრუნების პრობლემას, მაგრამ საკუთრივ ამ დოკუმენტის ტექნოლოგიური უზრუნველყოფა ცოტა პრიმიტიულია. ჩვენ არასოდეს დავთანხმდებით იმას, რომ, გალის რაიონშიც კი, 10-15 წლის განმავლობაში მიმდინარეობდეს დევნილების დაბრუნება. ზედმეტად და უხეშად მეჩვენება დოკუმენტში იმის მითითება, რომ აფხაზეთის პრეზიდენტი უნდა იყოს ეთნიკური აფხაზი. გაცილებით კორექტული ფორმა მოვძებნეთ რამდენიმე წლის წინ, როცა აფხაზებს ერთიანი ქართულ-აფხაზური სახელმწიფოს შექმნის მოდელი შევთავაზეთ, სადაც აფხაზეთის ხელისუფლების პირველი პირი უნდა ფლობდეს აფხაზურ ენას. ეთნიკური აფხაზობა ათავისუფლებს მას აფხაზური ენის ცოდნისაგან, მათმა დიდმა უმრავლესობამ კი აფხაზური ენა არ იცის. მოძებნონ პრეზიდენტად ეთნიკური აფხაზი, რომელმაც აფხაზურიც იცის. ორპალატიანი კონგრესის იდეა მისაღები და განსახილველია, თუმცა, იქაც გარკვეული ეთნიკური კვოტები, არა მგონია, შეეფერებოდეს თანამედროვე პლურალისტური სახელმწიფოს საფუძვლებს. გაცილებით მოქნილი იურიდიული მექანიზმებიც არსებობს, რომ უკეთ იყოს დაცული აფხაზთა და ქართველთა ინტერესები, ვიდრე კაზანების დოკუმენტში გვთავაზობენ. მოჰაჯირებს რაც შეეხებათ, აფხაზებს რვა წელია, აქვთ საშუალება დაიწყონ ეს პროცესი, მაგრამ ამ მიმართულებით არანაირი წარმატება არ შეინიშნება. მოჰაჯირების ამ რაოდენობით დაბრუნება არარეალური და თავად აფხაზებისთვისაც მიუღებელია. თუმცა, მე თავისთავად სასურველად მიმაჩნია აფხაზი ეთნოსის გაძლიერება აფხაზეთის ტერიტორიაზე და, თუ რამდენიმე ათასი მოჰაჯირი დაბრუნდება იქ, ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. მაგრამ ეს პროპაგანდისტული ნაბიჯი არ უნდა იყოს და ცენტრალურ ხელისუფლებასთანაც უნდა შეთანხმდეს. ამ დოკუმენტს აქვს ბევრი მინუსი, აქ არის ბევრი პრიმიტიული მიდგომაც, მაგრამ მისასალმებელია აფხაზური დიასპორის გავლენიანი ფრთის ღია წინადადება, რომ აფხაზეთი უნდა იყოს საქართველოს სახელმწიფოში ფედერაციის სუბიექტი. აფხაზური დიასპორა არ არის პრორუსული, პირიქით, ამ თვალსაზრისით, იგი ჩვენი პარტნიორია. ერთი მხრივ, აფხაზურ-ადიღეური დიასპორის და, მეორე მხრივ, ქართული წარმომავლობის თურქეთის მოქალაქეების ჩართვა ქართულ-აფხაზურ დიალოგში, იქნება პოზიტიური, რადგან ორივე მხარე რუსული ფაქტორის მინიმიზაციის მომხრეა. ბუნებრივია, არძინბას კლანი ცუდად უყურებს კაზანების ინიციატივას, მაგრამ დიალოგის ფორმატის გაფართოებას მაინც უნდა მივაღწიოთ. ჩვენ ხელი უნდა შევუწყოთ აფხაზეთში პოლიტიკური პლურალიზმის ჩამოყალიბებას."

# საქართველოს კონსტიტუციაში აფხაზეთისთვის ადგილს „ეძებენ„

გიორგი ასანიშვილი

*თამაზ ნადარეიშვილი საქართველოს პარლამენტის მიერ ზუსტად სამი თვის წინ მიღებული გადაწყვეტილების შესრულებას მოითხოვს და აუცილებლად მიიჩნევს საკონსტიტუციო ცვლილების გახორციელებას, რომლის მიხედვითაც, ქვეყნის ძირითად კანონში არსებული ჩანაწერი "აფხაზეთი", "აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკით" უნდა შეიცვალოს. აქვე იგი აზუსტებს, რომ ამ შემთხვევაში საუბარი ეხება არა სტატუსს ან უფლებამოსილებების გამიჯვნას, არამედ, აჭარის ანალოგიურად, აფხაზეთის ავტონომიური წარმონაქმნის არსებობის დადასტურებას.*

**"ამჯერად ჩვენ მხოლოდ იმის დაფიქსირებას ვითხოვთ, თუ რას წარმოადგენს აფხაზეთი, რათა მტერმაც და მოყვარემაც იცოდეს, რომ ის საქართველოს განუყოფელი ნაწილია. სხვა თუ არაფერი, როდესაც ბავშვი იბადება, სახელს ხომ არქმევენ? მეტრიკას ცარიელს ხომ არ უტოვებენ და შიგნით ხომ რაღაცას უწერენ?"** – აცხადებს ნადარეიშვილი.

ამასთან, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის თავმჯდომარეს მიუღებლად მიაჩნია საზღვარგარეთ არსებული აფხაზური დიასპორის ცნობილი წარმომადგენლის, ინალ კაზანის მიერ ქართული მხარისთვის შეთავაზებული ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების გეგმა, რომელიც, რიგ სხვა პუნქტებთან ერთად, საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის 25 წლით ყოფნას და ამის შემდეგ რეფერენდუმის ჩატარებას ითვალისწინებს (ამ გეგმის თაობაზე გაზეთმა "24 საათმა" უკვე მოგაწოდათ დაწვრილებითი ინფორმაცია). ნადარეიშვილს არც იმის იმედი აქვს, რომ ინალ კაზანს პიროვნულად რამის მიღწევა შეუძლია.

**"კაზანი ცდილობს, იყოს შუამავალი ჩვენსა და სეპარატისტებს შორის, მაგრამ ეს უკანასკნელნი მას ახლოსაც არ იკარებენ. თბილისში რომ ჩამოვა და საქართველოს პრეზიდენტს შეხვდება, კაზანი მაშინვე ნიუ-იორკში მიფრინავს, ამან კი, საეჭვოა, რაიმე ხელშესახები შედეგი მოგვცეს,"** – აღნიშნავს ნადარეიშვილი.

მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტში გუშინ განსახილველი საკითხი აფხაზეთის თაობაზე რაიმე კარდინალური გადაწყვეტილების მიღებას არ ითვალისწინებდა და წინასწარი კონსულტაციების შემდეგ, ფრაქციებიც ერთხმად უჭერდნენ მხარს კონსტიტუციაში შესატანი ცვლილებების ზემოთ ნახსენებ ვარიანტს, დეპუტატებმა მაინც სიფრთხილე გამოიჩინეს და პრეზიდენტთან დამატებითი კონსულტაციების ჩატარება გადაწყვიტეს.

საქართველოს კონსტიტუციაში აფხაზეთისთვის ადგილის "მისაჩენად" მუშაობას პარლამენტარები დღეს განაახლებენ.

## ორი სიტყვით

### ევროკავშირი აშშ-ის წინააღმდეგ სავაჭრო სანქციებს აწესებს

ევროკავშირმა განაცხადა, რომ უკვე ოფიციალურად აუწყა მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციას აშშ-ს წინააღმდეგ სავაჭრო სანქციების დაწესების შესახებ. ევროკომისიის წარმომადგენლის განცხადებით, სანქციების შემოღება მომავალი თვიდან არის შესაძლებელი. ეს სანქციები აშშ-ს მიერ ფოლადის იმპორტზე გადასახადის გაზრდის საპასუხო ქმედებაა. აშშ-მ გადასახადი ფოლადზე და ფოლადის ნაკეთობებზე 33 პროცენტამდე გაზარდა, რაც, ევროკავშირის შეფასებით, თავისუფალი ვაჭრობის პრინციპებს ეწინააღმდეგება. ევროკავშირი აპირებს სანქციების დაწესებას ისეთ ამერიკულ საექსპორტო საქონელზე, როგორიცაა ხილის წვენები, საფეიქრო ნაწარმი, ფოლადი და ფოლადის ნაკეთობები. სანქციები მას შემდეგ შევა ძალაში, რაც ევროკავშირის წევრი-ქვეყნების მინისტრების მიერ იქნება დამტკიცებული. (BBC)

### ბრიტანელი ბანკირის მკვლელობა

საუდის არაბეთში, ხუთშაბათს, ბრიტანელი ბანკირი სიმონ ჯონ ვენესი საკუთარ მანქანაში ააფეთქეს. პოლიციელთა ვარაუდით, ასაფეთქებელი მოწყობილობა მანქანაში იყო ჩამონტაჟებული. მკვლელობის მიზეზი დაუდგენელია. ბოლო ორი წლის განმავლობაში ეს უცხოელის წინააღმდეგ განხორციელებული ტერაქტის პირველი შემთხვევა არ არის. (Reuters)

### ბელარუსი ირანთან დაახლოებას არ იშლის

მინსკში, ოთხშაბათს, სამდღიანი ოფიციალური ვიზიტით ჩავიდა ირანის პარლამენტის სპიკერი მეჰდი ქარუბი. ვიზიტი ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის გაფართოებას ისახავს მიზნად. ბელარუსი პარლამენტარების გარდა ირანელი სპიკერი, სავარაუდოდ, ბელარუსის პრეზიდენტს ალექსანდრ ლუკაშენკოსაც შეხვდება. ჩასვლისთანავე ქარუბი ბელარუსის ეროვნული ტელევიზიით სიტყვით გამოვიდა და განაცხადა, რომ გეგმავს კომპანია "ბელომოში" სტუმრობას, რომელიც სამხედრო დანიშნულების ოპტიკურ სისტემებს აწარმოებს. ირანელი სპიკერის ვიზიტი მიმდინარე წლის ბოლოს დაგეგმილ ირანის პრეზიდენტის, მოჰამედ ხატამის, ვიზიტთან არის დაკავშირებული.

ლუკაშენკო, რომელსაც დასავლეთი ხშირად აკრიტიკებს საკუთარ ქვეყანაში ავტორიტარული მართვის სისტემის ჩამოყალიბების გამო, ე.წ. "ბოროტების ღერძის" ქვეყნებთან – ირანი, ერაყი, ლიბია – დაახლოებას აგრძელებს. მათ მსოფლიო თანამეგობრობა ტერორიზმის სპონსორობაში ადანაშაულებს. 2002 წლის დასაწყისში აშშ ბელარუსს სანქციებით დაემუქრა, თუ იგი ტერორიზმის წაქეზებაში ეჭვმიტანილი ქვეყნებისა და ორგანიზაციებისთვის იარაღის მიწოდებას არ შეწყვეტდა. ოფიციალური მინსკი ამ ბრალდებებს უარყოფს. (MIGnews)

### ბელარუსში დემოკრატიაა?

აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა მიიღო გადაწყვეტილება, 2002 წლის განმავლობაში ბელარუსის მიმართ ჯექსონ-ვენიკის შესწორების მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

ჯექსონ-ვენიკის შესწორება საბაზრო ეკონომიკის არმქონე ქვეყნების მიმართ 1974 წელს იქნა მიღებული. შესწორების თანახმად, ამ ქვეყნებიდან იმპორტირებულ საქონელზე, საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებიდან შემოტანილ საქონელთან შედარებით, გაზრდილი საბაჟო ტარიფები და გადასახადები დაწესდა. ამ შესწორების გაუქმებას დიდი ხანია რუსეთი მოითხოვს და მას ცივი ომის გადმონაშთს უწოდებს. ექსპერტთა აზრით, შესწორების მოქმედება პოლიტიკური ხასიათისაა და ადამიანის უფლებების საკითხთან არის დაკავშირებული. შესწორების მოქმედების საკითხი აშშ-ს მიერ ყოველწლიურად განიხილება საბაზრო ეკონომიკის არმქონე ქვეყნებში დემოკრატიზაციის პროცესის პროგრესირების გათვალისწინებით.

ბელარუსის საგარეო საქმეთა სამინისტრომ აშშ-ს მოუწოდა, საბოლოოდ დაემშვიდობოს ცივი ომის პერიოდის ამ მემკვიდრეობას და სამუდამოდ გააუქმოს ბელარუსის მიმართ ჯექსონ-ვენიკის შესწორების მოქმედება. ("რია ნოვოსტი")

# ისრაელმა პალესტინა დაიპყრო

პალესტინელებმა საკუთარი სახელმწიფოს გამოცხადების მაგივრად, კუთვნილი ტერიტორიებიც დაკარგეს



არაფატის პოზიციები საბოლოოდ შეირყა

REUTERS

გიორგი ხელაშვილი

მაშინ, როდესაც შეერთებული შტატების პრეზიდენტი ისტორიული სიტყვით გამოსვლას გეგმავდა და პალესტინური სახელმწიფოსთვის გზის დალოცვას აპირებდა, თავად პალესტინელებმა მოჭრეს ის ტოტი, რომელზეც ისხდნენ.

17 და 18 ივნისს იერუსალიმში პალესტინელების მიერ მოწყობილი ორი ტერორისტული აქტის შემდეგ, პრეზიდენტმა ბუშმა თავისი გამოსვლა რამდენიმე დღით გადადო. მართლაც, უხერხული იქნებოდა პალესტინური სახელმწიფოს შექმნის მხარდაჭერა მაშინ, როდესაც პალესტინელი ტერორისტები მშვიდობიან ებრაელებს აფეთქებდნენ.

რაღა თქმა უნდა, ამ ტერაქტების შემდეგ ვაშინგტონში გაძლიერდება პრეზიდენტ ბუშის იმ მრჩეველთა პოზიციები, რომლებიც ისრაელს ემხრობიან და იასირ არაფატის წინააღმდეგ მკაცრი ზომების მიღებას მოითხოვენ.

ორი ტერორისტული აქტის შედეგად, ორ დღეში 26 ებრაელი დაიღუპა და კიდევ რამდენიმე ათეული დაიჭრა. პირველად, ავტობუსის აფეთქებას 20 ადამიანი შეეწირა, მეორედ კი იერუსალიმის ავტობუსის გაჩერებაზე ბომბის დეტონირებას 6 კაცი ემსხვერპლა. ორივე შემთხვევაში ბომბი თვითმკვლელმა პალესტინელმა ტერორისტმა ააფეთქა.

ამ აფეთქებებს ისრაელის მთავრობის დაუყოვნებელი და მკაცრი პასუხი მოჰყვა. სამხედრო შვეულმფრენებმა მაშინვე დაბომბეს პალესტინელ ლტოლვილთა ბანაკები. ისრაელის არმიის ტანკები და ბულდოზერები დაუყოვნებლივ შევიდნენ პალესტინელებით დასახლებულ იორდანეს დასავლეთ ნაპირის რამდენიმე ქალაქში და ტრადიციული დაპატიმრებები დაიწყეს. გუშინ დილით, ებრაული ჯავშანტექნიკა პალესტინის ადმინისტრაციის დედაქალაქ რამალაშიც გამოჩნდა.

ერთი შეხედვით, ისრაელის მთავრობის მოქმედებაში ახალი არაფერია, მაგრამ ებრაელთა სადამსჯელო ოპერაციები, ამჯერად, სულ სხვაგვარი იქნება. როგორც პრემიერ-მინისტრმა შარონმა განაცხადა, ისრაელის არმია პალესტინის ქალაქებში მანამ დარჩება, **"სანამ პალესტინელთა მხრიდან ტერორს ბოლო არ მოეღება"**. ეს კი, პრაქტიკულად, პალესტინის ავტონომიის სრულ ოკუპაციას ნიშნავს, რაც უკვე ათი წელია აღარ მომხდარა.

გუშინ ცხადი გახდა, რომ ისრაელის მთავრობა მუქარის შესრულებას აპირებს. ებრაელმა ჯარისკაცებმა პალესტინურ ქალაქ ჯენინში დროებითი საცხოვრებელი სახლები აღმართეს და წყლის რეზერვუარები დადგეს, რაც იმას ნიშნავს, რომ ქალაქის დატოვებას აღარ აპირებენ. პალესტინაში, როგორც ჩანს, ათასობით ებრაელი სამხედრო პირი გაიგზავნება. გარდა ამისა, ისრაელი პალესტინის ტერიტორიის დამატებით ნაწილებსაც დაიკავებს. პალესტინის ოკუპაციას უკვე შეერთებული შტატებიც ველარ აღუდგება წინ, რადგან პალესტინელების პოლიტიკური დაცვა შეუძლებელი ხდება.

ისრაელის არმიის გენერალმა შაულ მოფაზმა განაცხადა, რომ ისრაელი აღარ ცნობს ე. წ. "A" ზონას, რომელიც მთლიანად პალესტინელთა კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა. ეს კი ნიშნავს, რომ 1990-იან წლებში ებრაელებსა და პალესტინელებს შორის მიღწეული ყველა შეთანხმება, რომლებისთვისაც თავის დროზე ნობელის სამშვიდობო პრემიებიც კი გაიცა, უკვე დასამარებულია. პალესტინის ლიდერ არაფატის პოზიციები კი საბოლოოდ შეირყა.

არ არის გასაკვირი, რომ თავად იასირ არაფატმა მდგომარეობის გამოსწორების უკანასკნელ მცდელობას მიმართა და მოუწოდა პალესტინელებს, შეეჩერებინათ ყველანაირი ძალმომრეობა, რათა აღარ მიეცათ ებრაელებისათვის პალესტინის საბოლოო ოკუპაციის საბაბი. მაგრამ, როგორც ჩანს, არაფატმა დააგვიანა. "ალ-აქსას წამებულთა ბრიგადებმა", ორგანიზაციამ, რომელიც არაფატის პარტია "ალ-ფათჰთან" მჭიდროდაა დაკავშირებული, უკვე აღიარა ჩადენილ ტერაქტებზე პასუხისმგებლობა. ეს კი ირიბად ადასტურებს ტერორისტულ აქტებში არაფატის მონაწილეობას. ამიტომაც, შესაძლოა, უფრო გააქტიურდნენ ისრაელის მთავრობის ის წევრები, რომლებიც ქვეყნიდან არაფატის სამუდამო გაძევებას უკვე დიდი ხანია მოითხოვენ.

2000 წლის სექტემბრიდან, როდესაც კონფლიქტი ებრაელებსა და პალესტინელებს შორის 1990-იანი წლების შემდეგ ხელახლა გამწვავდა, უკვე 1400 პალესტინელი და 500-ზე მეტი ებრაელი დაიღუპა. ამ სტატისტიკის მიღმა კიდევ ათასობით დასახიჩრებული და სვეგამწარებული ადამიანი დგას.

ძნელია ითქვას, თუ რამდენ ხანს გასტანს ებრაელების მიერ პალესტინური ქალაქების ახლანდელი ოკუპაცია. საეჭვოა, რომ ისრაელი მუდმივ და სრულ ოკუპაციას დათანხმდეს, რადგან ამ შემთხვევაში 3 მილიონი პალესტინელის შენახვა მოუწევს, რაც საკმაოდ ძვირი "სიამოვნება" იქნება და, ალბათ, ვერც ტერორიზმს მოუღებს ბოლოს.

მეორე გამოსავალი ებრაული და პალესტინური დასახლებების ელექტრული ღობით გამიჯვნაა. პალესტინელებისათვის თავისებური რეზერვაციების შექმნა, ერთი მხრივ, მართლაც დაიცავს ისრაელს გამუდმებული ტერორისტული გამოხდომებისაგან, მაგრამ, მეორე მხრივ, ახალ პოლიტიკურ საზღვრებს გაავლებს, რომლებსაც არც ებრაელები ეთანხმებიან და არც პალესტინელები.

# საფრანგეთის პრეზიდენტმა მინისტრთა ახალი კაბინეტი დაამტკიცა

საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებში ტრიუმფალური გამარჯვების შემდეგ, პრეზიდენტ ჟაკ შირაკის ახალი მთავრობა სრული შემადგენლობით წარდგა ფრანგი ხალხის წინაშე. ფოტოზე აღბეჭდილნი არიან თავად პრეზიდენტი შირაკი, რომელსაც მარჯვნივ მხარს პრემიერ-მინისტრი ჟან-პიერ რაფარენი უმშვენებს. პირველ რიგში მარჯვნიდან მეორეა თავდაცვის მინისტრი - ქალბატონი მიშელ ალიოტ-მარი. მეორე რიგში მარცხნიდან მეოთხე დგას ადგილობრივი თავისუფლების დელეგირებული მინისტრი პატრიკ დევეჯიანი.



მთავრობა სრული შემადგენლობით

REUTERS

## კავკასიის ამბები

### ალიევი დარწმუნებულია, რომ 2003 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვებს

2003 წლის ოქტომბერში დაგეგმილ საპრეზიდენტო არჩევნებში აზერბაიჯანის ამჟამინდელი პრეზიდენტი, ჰეიდარ ალიევი, თავისი კანდიდატურის წამოყენებას აპირებს. პრეზიდენტმა ალიევმა განაცხადა, რომ მმართველმა პარტიამ "ახალი აზერბაიჯანი" და საზოგადოებრიობამ მომავალი არჩევნებისთვის მისი კანდიდატურა წამოაყენეს და იგი დათანხმდა. ალიევს სჯერა, რომ "აზერბაიჯანელი ხალხი კვლავ ნდობას გამოუცხადებს და პრეზიდენტად აირჩევს". 2003 წლის არჩევნებისთვის ალიევის კანდიდატურის ოფიციალურად წარდგენა მიმდინარე წლის დასაწყისში, "ახალი აზერბაიჯანის" მეორე ყრილობის დროს, მოხდა. (ინტერფაქსი)

### ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მშენებლობის დაწყება გადაიდო

"ბრიტიშ პეტროლეუმის" წარმომადგენელმა განაცხადა, რომ თურქული სამშენებლო კომპანია "ბოთასი" არ აპირებს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის თურქული მონაკვეთის მშენებლობის დაწყებას. ამისთვის საჭირო იქნება სპონსორების ჯგუფის ნებართვა.

ზოგიერთი ცნობით, "ბოთასი" სამშენებლო სამუშაოების დაწყებას გასულ ოთხშაბათს აპირებდა, მაგრამ სამუშაოების გახსნის ცერემონია გადაიდო.

კასპიის ახალი ამბების სააგენტოს ცნობით, მთავარი საექსპორტო ნავთობსადენის მშენებლობის სანქცია თვის ბოლოს გაიცემა, რის შემდეგაც თურქულ კომპანიას ოფიციალურად მიეცემა ნავთობსადენის მშენებლობის დაწყების უფლება.

### აზერბაიჯანელი პოლიტიკოსები ირანის „ტერიტორიულ პრეტენზიებს" გმობენ

აზერბაიჯანში უარყოფითი გამოხმაურება გამოიწვია ირანის პრეზიდენტ მოჰამად ხათამის განცხადებამ, რომ ჯერ კიდევ თურქმენჩაის შეთანხმებამდე ჩრდილოეთ აზერბაიჯანი ირანის ნაწილი იყო. ეს განცხადება ხათამიმ ირანიზმის კონგრესზე გააკეთა და აღნიშნა "ისტორიული სამართლიანობის აღდგენის აუცილებლობა."

ბაქოელმა ისტორიკოსებმა და პოლიტიკოსებმა ეს განცხადება ირანის მხრიდან ტერიტორიულ პრეტენზიად აღიქვეს. ხაზარის უნივერსიტეტის პროფესორმა ნასიბ ნასიბლიმ განაცხადა, რომ ხათამის ეს განცხადება "ირანსა და აზერბაიჯანს შორის კონფლიქტის გამოვლინებაა" და ირანის აგრესიული საგარეო პოლიტიკის საბუთად გამოდგება. აზერბაიჯანის ყოფილმა ელჩმა თეირანში, ალიარ საფარლიმ, ხათამის სიტყვები ასევე რეაქციული პოლიტიკის გამოვლინებად მიიჩნია. "ირანმა წაგვართვა სამხრეთ აზერბაიჯანი და ახლა იგივე უნდა უქნას ჩრდილოეთ აზერბაიჯანსაც. მაგრამ მოლების რეჟიმი ამას ვერ მოესწრება," – განაცხადა ყოფილმა ელჩმა.

მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში თურქმენჩაის შეთანხმებით ირანმა და რუსეთმა აზერბაიჯანი ორად გაიყვეს. აზერბაიჯანელი ისტორიკოსები აცხადებენ, რომ მანამდე აზერბაიჯანს ერთიანი სახელმწიფოებრიობა ჰქონდა, რომელიც ამ შეთანხმებით დაირღვა. ირანელებს კი მიაჩნიათ, რომ რუსეთმა ირანის კუთვნილი ტერიტორიები მიიტაცა. უკვე ათი წელია, რაც ირანის ჩრდილოეთში დღემდე მცხოვრები 15-20 მილიონამდე აზერბაიჯანელი ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებში სერიოზულ პრობლემებს ქმნის. ირანის პრეზიდენტის გაუფრთხილებელმა განცხადებამ ეს პრობლემები შეიძლება კიდევ უფრო გაამწვავოს.

### სომხეთის აეს-ის უსაფრთხოება ევროპამ აღიარა

რუსეთის საინფორმაციო სააგენტო ერევნიდან იტყობინება, რომ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის ექსპერტები ადგილზე დარწმუნდნენ სომხეთის ატომური ელექტროსადგურის უსაფრთხოებაში. სომხეთის პარლამენტის ჯანდაცვის, ეკოლოგიისა და სოციალური პრობლემების კომიტეტის თავმჯდომარის გაგიკ თათევოსიანის განცხადებით, ევროპელი ექსპერტები "თავად დარწმუნდნენ რადიოაქტიური ფონის არარსებობაში", რაც აზერბაიჯანულ მხარეს პრეტენზიების საფუძველს აცლის. თათევოსიანის განცხადებით, სომხეთის მეწამორის აესის დახურვის შესახებ საუბრის ხასიათი უფრო ეკონომიკური და პოლიტიკურია, ვიდრე ეკოლოგიური.

### პანიკა თეთრ სახლში

19 ივნისს, ღამით, ვაშინგტონში თეთრი სახლის მთელი პერსონალის ევაკუაცია განხორციელდა. განგაში სულ 10 წუთის განმავლობაში გრძელდებოდა და მას შემდეგ დაიწყო, რაც ვაშინგტონის თავზე საჰაერო სივრცეში ამოუცნობი თვითმფრინავი გამოჩნდა, რომელიც თეთრ სახლს 7 კილომეტრის მანძილზე მიუახლოვდა და სპეცსამსახურების მიერ რადიოგადამცემის მეშვეობით მიწოდებულ შეტყობინებებს არ პასუხობდა. თვითმფრინავი გამანადგურებლებმა დააკავეს და უახლოეს აეროდრომამდე მიიყვანეს. სპეცსამსახურების აზრით, პილოტს უბრალოდ გზა აებნა. განგაშის დროს თეთრ სახლში აშშ-ის პრეზიდენტი ჯორჯ ბუშიც იმყოფებოდა. (BBC)



# „გაზპრომის„ ქართული გზა

## ახალი ხელშეკრულება საქართველოს უგაზოდ დატოვებს?

გიორგი კალანდაძე

სამი წლის შემდეგ საქართველო ბუნებრივ აირს ორი მაგისტრალური გაზსადენით მიიღებს. საქართველოს თბო და ენერგომეურნეობას არჩევანი ექნება აზერბაიჯანულ და რუსულ გაზს შორის, რაც გაზმომარაგების ბიზნესში კონკურენციას წარმოშობს. შეუშლის თუ არა ხელს მოვლენების ამ სცენარით განვითარებას საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის ინიციატივა რუსულ კომპანია "გაზპრომთან" ერთობლივი სააქციო საზოგადოების "საქრუსგაზმრეწვის" შექმნის შესახებ?




გაზის კორპორაციას ოთხი არგუმენტი აქვს, რატომ უნდა დათანხმდეს ქართული მხარე "საქრუსგაზმრეწვის" ჩამოყალიბებას: 1. საქართველოში გაზი შეუფერხებლად შემოვა; 2. "გაზპრომის" გარდა, სხვა ინვესტორი არ გამოჩნდა, რომელიც მზადაა, საქართველოს მაგისტრალური გაზსადენების სარეაბილიტაციოდ 240 მილიონი დოლარი გამოყოს; 3. პერსპექტიულს ხდის რუსეთიდან საქართველოს გავლით ბუნებრივი გაზის მესამე ქვეყანაში ტრანსპორტირების ახალი პროექტების წამოწყებას და 4. "საქრუსგაზმრეწვი" ბიუჯეტში დიდი ოდენობით გადასახადებს შეიტანს.

ექსპერტი ნავთობისა და გაზის საკითხებში, ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი თემურ გოჩიტაშვილი აცხადებს, რომ ენერგეტიკული ქარტიის მიხედვით, რომელსაც საქართველო 1990-იან წლებში შეუერთდა, გაზსადენის მფლობელ კომპანიას არა აქვს უფლება, უარი უთხრას გაზის გატარებაზე მეორე ორგანიზაციას, თუკი ის მილსადენში საკუთარ გაზს არ ატარებს. "საქრუსგაზმრეწვის" 49- პროცენტიანი სააქციო პაკეტის მფლობელია კონცერნი "გაზპრომი", რომელიც მსოფლიოში ბუნებრივი აირის უმსხვილესი მომპოვებელი და მიმწოდებელია. რუსული კომპანია სომხეთს ყოველწლიურად, საქართველოს მაგისტრალური გაზსადენის გავლით, ორ მილიარდ კუბურ მეტრ გაზს აწვდის.

2005 წელს საქართველოს გავლით თურქეთში ბუნებრივი აირი სხვა გაზსადენის მეშვეობითაც მიეწოდება, როდესაც ამოქმედდება ბაქო-თბილისი-ერზერუმის მილსადენი. "ამ პროექტის ამუშავების პირველივე წელს საქართველოს უფლება ექნება, იყიდოს 500 მილიონ კუბურ მეტრამდე ბუნებრივი აირი სპეციალური ფასით - გადაიხადოს 55 დოლარი 1000 კუბურ მეტრ გაზში. 2006 წლიდან კი თბილისი გაზსადენში გატარებული გაზის ხუთ პროცენტს მიიღებს ტრანზიტის საფასურად", - აღნიშნავს ექსპერტი. ის ენერგეტიკული ქარტიის ზემოთნახსენებ დებულებაზე დაყრდნობით, შიშობს, "საქრუსგაზმრეწვის" ჩამოყალიბებითა და მისთვის საქართველოს მაგისტრალური გაზსადენების გადაცემით, შესაძლოა, თბილისს არ მიეცეს კუთვნილი გაზის უშუალო მომხმარებლებთან მიწოდების საშუალება. თანაც, შენიშნავს გოჩიტაშვილი, თუ საქართველო აზერბაიჯანულ გაზს არ აიღებს, შეღავათიანი რეჟიმი ავტომატურად გაუქმდება.

"ინფორმაცია "გაზპრომთან" მოლაპარაკებების მიმდინარეობის თაობაზე არ ხმაურდება", - აცხადებს თემურ გოჩიტაშვილი. ამდენად, ინფორმაციის ერთადერთ წყაროს გაზის საერთაშორისო კორპორაცია და ის სახელმწიფო სტრუქტურები წარმოადგენენ, რომლებიც მოლაპარაკების პროცესში, მეტ-ნაკლებად, მონაწილეობენ.

ოფიციალური წყაროებით, "გაზპრომთან" მოლაპარაკებისას წილების განაწილების ორი ვარიანტი განიხილებოდა: 1. ჩამოყალიბებულიყო ერთობლივი საწარმო, რომელშიც "გაზპრომი" შეისყიდდა გაზის კორპორაციის მიერ საწესდებო კაპიტალში შესატანი ქონების (მაგისტრალური გაზსადენების) 50 პროცენტს და ამაში გადაიხდიდა 80 მილიონ დოლარს; 2. ერთობლივ საწარმოში "გაზპრომი" შესულიყო დამფუძნებლად და მიეღო წილის 49 პროცენტი.

პირველი ვარიანტით, "გაზპრომმა" სომხეთში დააფუძნა ერთობლივი საწარმო. ქართულ მხარესთან ურთიერთობისას კი რუსული კონცერნი სხვა გზით წავიდა. თუმცა მოლაპარაკების წარმატებით დასრულებას წინ ორი წინააღმდეგობა ხვდება. ჯერ ერთი, შესაცვლელია ის საკანონმდებლო ნორმა, რომლითაც საქართველოში აკრძალულია მაგისტრალური გაზსადენების პრივატიზება, რასაც "გაზპრომის" მხარე უკვე მოითხოვს და მეორეც, "გაზპრომთან" კონტრაქტის გაფორმებით, შეუფერხებლად მოხდება, საქართველოს გავლით, რუსეთის გაზის იმპორტი თურქეთში, რამაც ,შესაძლოა, გავლენა იქონიოს შახ-დენიზის პროექტის განხორციელების პროცესზე. აზერბაიჯანის შახ-დენიზის საბადოდან გაზი, ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენის გავლით, თურქეთს უნდა მიეწოდოს. "საქრუსგაზმრეწვის" ჩამოყალიბებით კი თბილისს, შესაძლოა, უთანხმოება წარმოეშვას შახ-დენიზის პროექტში თავის პარტნიორ ქვეყნებთან და კომპანიებთან.

გაზის კორპორაციის ინფორმაციით, "გაზპრომმა" არსებული გაზსადენების გარდა, შესაძლოა, ახალი მაგისტრალური გაზსადენი გაიყვანოს. კორპორაციის ციფრებით, ამით რუსული კომპანია თურქეთში, ყოველწლიურად, ცხრა მილიარდი კუბური მეტრი ბუნებრივი აირის ტრანზიტს განახორციელებს.

# კონტროლის სამკუთხედი შეიკრა

## სულხან მოლაშვილს უკრაინელმა კოლეგამ ოქროს ვერძი აჩუქა

სოფიკო ოხანაშვილი

*დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების ფინანსური კონტროლის უმაღლესი ორგანოების ხელმძღვანელთა საბჭოს მესამე სესია საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ გახსნა. საქართველოში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საუბრისას, პრეზიდენტმა განსაკუთრებით გამოყო კონტროლის პალატის თავმჯდომარის სულხან მოლაშვილის დამსახურება.*

თბილისის სასტუმრო "შერატონმეტეხი პალასში" გუშინ დაწყებულ სესიას უმაღლესი მაკონტროლებელი ორგანოების საერთაშორისო და ევროპული ორგანიზაციების INTOSAI-სა და EUROSAI-ის პრეზიდენტები ენგ ნამ ლი და სერგეი სტეპაშინი დაესწრნენ. სესიის პირველი დღე სადღესასწაულო ხასიათს ატარებდა. განსაკუთრებით გამოირჩეოდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების ფინანსური კონტროლის უმაღლესი ორგანოების ხელმძღვანელთა საბჭოს პრეზიდენტი და უკრაინის საანგარიშო პალატის თავმჯდომარე ვალენტინ სიმონენკო. მისალმების, საქართველოს კონტროლის პალატის 10 წლის იუბილის მილოცვის და საჩუქრების გადაცემის შემდეგ (მან სულხან მოლაშვილს გადასცა ნახატი, საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს – უკრაინის საანგარიშო პალატის იუბილეზე გამოცემული მედალი), მან ქართველ კოლეგას საზეიმო ვითარებაში გადაულოცა ძალაუფლება. ამ მომენტისთვის უფრო მეტი სადღესასწაულო ელფერის მისაცემად, ვალენტინ სიმონენკომ ახლად დანიშნულ თავმჯდომარეს დემონსტრაციულად აჩუქა წარმატებისა და კეთილშობილების სიმბოლო-



*სულხან მოლაშვილი.*
იური ვოლოდინის ფოტო

სტატუეტი – ოქროს ვერძი. საზეიმო ცერემონიის შემდეგ, სიმონენკომ გამოთქვა იმედი, რომ ეს სესია კიდევ უფრო მეტად გააღრმავებს დსთ-ს ქვეყნების ურთიერთობას. მან საქართველოს კონტროლის პალატის საქმიანობაც შეაფასა: **"ჩვენ ვიცნობთ საქართველოს კონტროლის პალატის საქმიანობას და მხოლოდ ერთს გეტყვით, ასე გააგრძელეთ".**

საყოველთაო საზეიმო განწყობა გაიზიარა სულხან მოლაშვილმაც. მან მადლობა გადაუხადა სესიის წევრებს და სხვა სტუმრებს. ხაზგასმით აღნიშნა, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების ფინანსური კონტროლის უმაღლესი ორგანოების მნიშვნელობა კორუფციასთან ბრძოლის საკითხში. ასევე ისაუბრა ფულის გათეთრებისა და სხვა ფინანსური დარღვევების შესახებ.

EUROSAI-ის პრეზიდენტის, სერგეი სტეპაშინის თქმით, ფინანსური კონტროლის საკითხში ორმხრივი და პარალელური თანამშრომლობის გარეშე წარმოუდგენელია ფინანსური კონტროლის გაძლიერება. **"წარმატების და შედეგების მისაღწევად ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ურთიერთთანამშრომლობას, არამედ კონტროლის რევიზიული ორგანოების მუშაკების პროფესიულ მომზადებას და მათთვის შესაბამისი განათლების მიცემას. ასევე მნიშვნელოვანია ის ფაქტორიც, რომ ქვეყნები გადავიდნენ საერთაშორისო სტანდარტებზე და მოხდეს საერთაშორისო ინფორმაციული რესურსების ინტეგრაცია. ეს სესია ხელს შეუწყობს ფინანსური დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლასა და რევიზიული მუშაობის დახვეწას,"** – განაცხადა სერგეი სტეპაშინმა.

საქართველოს კონტროლის პალატის 10 წლის იუბილეს მილოცვას INTIOSAI-ის პრეზიდენტი ენგ ნამ ლიც შეუერთდა.

შესვენების შემდეგ სესია ახლად არჩეულმა თავმჯდომარემ სულხან მოლაშვილმა განაახლა. სესიის მონაწილეებმა შეადგინეს მუშა ჯგუფი, რომელიც დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების ფინანსური კონტროლის უმაღლესი ორგანოების ხელმძღვანელთა საბჭოს მესამე სესიაზე განსახილველ და ხელმოსაწერ დოკუმენტებზე იმუშავებს. ასევე ისაუბრეს, მეორე და მესამე სესიებს შორის პერიოდში, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების ფინანსური კონტროლის უმაღლესი ორგანოების ხელმძღვანელთა საბჭოს საქმიანობის შესახებ.

სესიის საერთო განწყობას დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების ფინანსური კონტროლის უმაღლესი ორგანოების სხვა ხელმძღვანელებიც შეუერთდნენ. სესიას სტუმრის სტატუსით საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე ესწრებოდა.

დღის წესრიგში უმნიშვნელო ცვლილება მოხდა: საქართველოში "აგრობიზნესბანკის" პრეზიდენტის პიტერ შოუს გატაცების გამო, საქართველოს პრეზიდენტთან დაგეგმილი შეხვედრა ვერ შედგა. გუშინდელი დღე რუსთაველის სახელობის თეატრში სპექტაკლის - "კავკასიური ცარცის წრის " ნახვით დასრულდა.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების ფინანსური კონტროლის უმაღლესი ორგანოების დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპების დეკლარაციის, ასევე, ქვეყნის პრეზიდენტებისა და საკანონმდებლო ორგანოებისადმი მიმართვების და მესამე სესიის პროტოკოლის ხელმოწერა დღეს შედგება.

# „ეი-ი-ესი„ ჭერჭერობით საქართველოში რჩება

გიორგი კალანდაძე

*კორპორაცია "ეი-ი-ესი" ერთი მილიარდი დოლარის აქტივებს ყიდის. კომპანიის ახალი ხელმძღვანელობის პროგნოზით, "ეი-ი-ესი", სავარაუდოდ, ბრაზილიასა და სამხრეთ ამერიკის სხვა სახელმწიფოებში განლაგებულ ენერგოგენერაციისა და გამანაწილებელ კომპანიებს შეელევა. "ეი-ი-ესის" ხელმძღვანელობა საქართველოში მისი შვილობილი კომპანიების საქმიანობით კმაყოფილია.*

შარშან, 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ უოლ-სტრიტზე განვითარებული მოვლენების მერე, მსოფლიოს ერთ-ერთი მსხვილი ენერგოკომპანიის ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუარესდა. კორპორაციას, რომელიც თამამად შედიოდა არასტაბილურ ბაზრებზე, 20,6 მილიარდი დოლარის ვალი დაედო. ბირჟაზე "ეი-ი-ესის" აქციების კურსი მნიშვნელოვნად შემცირდა. დღის წესრიგში დადგა ზარალიან კომპანიებთან გამომშვიდობების საკითხი. სხვა ქვეყნების მსგავსად, "ეი-ი-ესის" ხელმძღვანელობამ საქართველოში კორპორაციის შვილობილი კომპანიების ფინანსური მდგომარეობის შესასწავლადაც მოიცალა.

რამდენიმე თვის წინ, კორპორაციის აქციონერთა ერთ-ერთი კრების შემდეგ, "ეი-ი-ესის" საქართველოში დარჩენას საფრთხე შეექმნა. ქვეყნის მთავრობა სტრატეგიული ინვესტორის წინადადებებს დაჰყვა და რამდენიმე კანონში ცვლილებები შეიტანა. გარდა ამისა, გაიზარდა ელექტროენერგიის სამომხმარებლო ტარიფში "ეი-ი-ეს თელასის" წილი და ამერიკულ კორპორაციას გადაეცა რამდენიმე საპრივატიზაციო ობიექტი.

ორი დღის წინ ამერიკის ქალაქ არლინგტონში "ეი-ი-ესის" აქციონერთა კრება გაიმართა, სადაც თანამდებობიდან წასვლა მოუწია კორპორაციის პრეზიდენტს, დენის ბაკის. მის ნაცვლად ენერგოკომპანიის ხელმძღვანელად პოლ ჰანრაჰანი მივიდა. 1981 წელს დენის ბაკი კორპორაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი იყო, 1994 წლიდან კი "ეი-ი-ესს" სათავეში ჩაუდგა.

დენის ბაკი, დაახლოებით, ერთი თვის წინ თბილისში იმყოფებოდა, სადაც "ეი-ი-ესის" ქართული კომპანიების თანამშრომლებსა და საქართველოს პრეზიდენტს შეხვდა. მან ედუარდ შევარდნაძეს ის საკითხები წარუდგინა, რომელთა მოგვარებასაც "ეი-ი-ესი" ელის. მათ შორის უმთავრესი "ეი-ი-ეს თელასი"-სთვის "თელასის" აქტივების გადაცემა, კომპანიის მიმართ არსებული დავალიანების დაფარვა და მომავალი ზამთრისთვის მზადებაა.

აქტივების მხრივ, "ეი-ი-ეს თელასის" პრეტენზიები, უმთავრესად, თბილისის თბოელექტროცენტრალის იმ ქვესადგურების მისთვის გადაცემას ეხება, რომლებიც მოსახლეობასა და ცალკეულ ობიექტებს ემსახურება. "ეი-ი-ესში" აცხადებენ, რომ საქართველოს მთავრობასთან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, "ეი-ი-ესს" თბილისის გამანაწილებელი სისტემა, მათ შორის, ეს ქვესადგურებიც, მთლიანად უნდა გადასცემოდა. სულ, "ეი-ი-ეს თელასის" "გავლენის" გარეთ 50 ათასამდე, ანუ აბონენტთა საერთო რაოდენობის, დაახლოებით, 15 პროცენტი იმყოფება, მათ დაკარგვას კი კომპანია არ ეგუება.

კომპანიის მიმართ არსებულ დავალიანებებში, ძირითადად, საბითუმო ბაზრის მიერ "ეი-ი-ეს მტკვრისადმი" დაგროვილი 45 მილიონი ლარის დავალიანება იგულისხმება. კომპანიის ლობისტის, ირაკლი მელაშვილის თქმით, "დღეისთვის, ჩვენს მიერ გამომუშავებული თითქმის 50 მილიონი ლარის ღირებულების ელექტროენერგიის საფასურის მხოლოდ მიზერული ნაწილია დაფარული. თუ დავალიანების დაფარვის ეფექტური მექანიზმი არ შეიქმნა, ასეთ პირობებში ჩვენ ვერ ვიმუშავებთ".

"ჩვენი უპირველესი ამოცანა კორპორაციის ობლიგაციების კოტირების სექტემბრისდროინდელ მაჩვენებლამდე დაბრუნებაა", - აღნიშნა "ეი-ი-ესის" ახალმა ხელმძღვანელმა. მისი თქმით, "ეი-ი-ესი" აპირებს, შეაჩეროს კაპიტალური ინვესტიციების პროგრამები და პოზიციების გამყარებამდე შეწყვიტოს ახალ კომპანიათა შეძენის პრაქტიკა. ბოლო პერიოდში, კორპორაციამ დავალიანება რამდენადმე შეამცირა. ცოტა ხნით ადრე, "ეი-ი-ესმა" 1,64 მილიარდ დოლარად გაყიდა საკუთარი აქტივები ამერიკის შეერთებულ შტატებში.

რაც შეეხება საქართველოს, როგორც გუშინ "ეი-ი-ესის" მიერ გავრცელებულ განცხადებაშია მითითებული, კორპორაციამ დაასრულა საქართველოს ენერგოსექტორში თავისი ინვესტიციების დეტალური განხილვა და გამოიტანა დასკვნა, რომ მისი ქართული საწარმოების საქმიანობის მაჩვენებლებში დადებითი ძვრები აღინიშნება. შესაბამისად, "ეი-ი-ესმა" მიიღო გადაწყვეტილება საქართველოში დარჩენის შესახებ.

"ჩვენ ვაპირებთ თბილისის ენერგომომარაგების გაუმჯობესების საქმეში დღევანდლამდე მიღწეული წარმატებული შედეგების საფუძველზე განვაგრძოთ მუშაობა, - აღნიშნა კორპორაციის ვიცე-პრეზიდენტმა გარი ლევსლიმ, - იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ენერგოსექტორის რეფორმა შეჩერდება ან საპირისპირო მიმართულებით წარიმართება, მოგვიწევს მდგომარეობის გადასინჯვა".

### ბიზნესის ამბები

## შემცირებები „როიტერში„

მსოფლიოს ამ ერთ-ერთმა უმსხვილესმა საინფორმაციო სააგენტომ, რომელიც, ძირითადად, ეკონომიკურ და ბიზნეს-მოვლენებს აშუქებს, 650 თანამშრომელი დაითხოვა. ამ ნაბიჯის გადადგმა "როიტერს" 100 მილიონი გირვანქა სტერლინგის ეკონომიის გაწევის შესაძლებლობას მისცემს. გასული წლის დასაწყისიდან მოყოლებული ბრიტანულმა სააგენტომ შტატები 13 პროცენტით შეამცირა. დათხოვნა მმართველობით პერსონალს შეეხო ("ბი-ბი-სი").

## „ნოკიას„ გაყიდვები მცირდება

მსოფლიოში მობილური ტელეფონების უმსხვილესმა მწარმოებელმა კომპანია "ნოკიამ" მკვეთრად შეამცირა თავისი პროგნოზი უახლოეს პერიოდში პროდუქციის გაყიდვებთან დაკავშირებით. კომპანიის ოფისში აცხადებენ, რომ გაყიდვები მხოლოდ 10 პროცენტით და არა 15 პროცენტით გაიზრდება, როგორც ეს ადრე გამოცხადდა. თუმცა, ახალი მაჩვენებელი "ნოკიას" მოგებაზე გავლენას არ მოახდენს. კომპანიის ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ შეძლებს მსოფლიო ბაზრის 40 პროცენტის შენარჩუნებას ("ბი-ბი-სი").

## რკინიგზის გასწვრივ სატელეფონო კაბელი ჩაიდება

საქართველოს რკინიგზის ხაზის გასწვრივ ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალი ოქტომბერში ამოქმედდება, - აცნობეს „მედია-ნიუსს" შპს „საქართველოს რკინიგზაში".

ეს იქნება ამიერკავკასიის ოპტიკურ-ბოჭკოვანი საკაბელო სისტემის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი. მაგისტრალი აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს რკინიგზის ხაზის გასწვრივ ევროკავშირის მიერ გამოყოფილი გრანტით შენდება. გრანტის ოდენობა 15 მილიონი ევროა.

სპეციალისტთა აზრით, ეს საკომუნიკაციო ხაზი მოემსახურება არა მარტო რკინიგზას, რომელიც მაგისტრალს მხოლოდ 15-20 პროცენტით დატვირთავს, არამედ კაბელის დანარჩენი სიმძლავრე იჯარით გაიცემა როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კომპანიებზე.

მაგისტრალი ტრანს-აზია-ევროპის საკაბელო მაგისტრალის ერთ-ერთი ალტერნატივა გახდება. ტრანს-აზია-ევროპის ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის საქართველოს მონაკვეთი 2002 წლის ბოლოს ამოქმედდება.

რკინიგზის გასწვრივ ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის სიგრძე 540 კილომეტრია, თანამედროვე ტექნიკით აღიჭურვება 52 სარკინიგზო სადგურიც. საქართველოს ტერიტორიაზე ამ მაგისტრალის ძირითად მონაკვეთებზე სამუშაოები უკვე დამთავრებულია ("მედია-ნიუსი").

## ვინც არ მუშაობს, ის კარგად ჭამს

"ბი-ბი-სი" ბრიტანული გაზეთის "ინდეფენდენტის" პუბლიკაციაზე დაყრდნობით წერს იმ სირთულეებზე, რომელთაც ადგილი აქვს მსხვილი კომპანიების მმართველობით სტრუქტურებში. გაზეთის სარედაქციო სტატიაში ამის მაგალითად მოყვანილია მსხვილ ბრიტანულ კომპანია "ვოდაფონში" შექმნილი ვითარება. იმ დროს, როდესაც ბოლო ოთხი წლის განმავლობაში კომპანიის აქციები 75 პროცენტით გაუფასურდა, მისმა გენერალურმა დირექტორმა კრის გენტმა ხელფასის სახით მიიღო სამ მილიონ დოლარზე მეტი თანხა და ასევე, "ვოდაფონის" ორი მილიონი დოლარის ღირებულების აქციები. არადა, ამავე პერიოდში კომპანიამ განაცხადა, რომ ამ ხნის მანძილზე ზარალმა 15 მილიონი დოლარი შეადგინა.

ამდენად, აღნიშნავს გაზეთი, გასაგებია, რატომ კეთდება განცხადებები იმის შესახებ, რომ კომპანიების დირექტორებს კარგ ხელფასს მათი ცუდი მუშაობის გამო უხდიან.

## კრიზისი პერუში

პერუში გრძელდება ორი რეგიონული ენერგეტიკული კომპანიის პრივატიზების მოწინააღმდეგეთა ქუჩის აქციები. არეულობების გამო პოსტი დატოვა ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრმა.

მთავრობამ უკვე განაცხადა, რომ პრივატიზაცია გადაიდო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე, რომელიც მთავრობის ამ ნაბიჯის კანონიერებას დაადგენს ("ბი-ბი-სი").

ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ
2002 წლის 15-21 ივნისის მდგომარეობით




მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები

| | UK£ | US$ | €uro | ¥en |
|---|---|---|---|---|
| UK£ | | 0.671 | 0.6428 | 0.0054 |
| US$ | 1.4903 | | 0.9579 | 0.0081 |
| €uro | 1.5556 | 1.0439 | | 0.0084 |
| ¥en | 184.48 | 123.81 | 118.57 | |

2002 წლის 21 ივნისიდან უცხოური ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები:

| | | |
|---|---|---|
| ევრო | 1 | 2.1215 ლარი |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | 1 | 3.3019 ლარი |
| შვეიცარიული ფრანკი | 1 | 1.4440 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.2150 ლარი |
| თურქული ლირა | 1 000 000 | 1.4534 ლარი |
| იაპონური იენი | 10 | 0.1789 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0704 ლარი |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 000 | 0.4551 ლარი |
| სომხური დრამი | 100 | 0.3809 ლარი |
| უკრაინული გრივნა | 10 | 4.1570 ლარი |

# ძაღლები კვალმა შოუსთან ვერ მიიყვანა

სოფიკო ჩხაიძე

პიტერ შოუ, თურმე, გრძნობდა იმ რისკის სიდიდეს, რომელიც მის საქართველოში მოღვაწეობას ახლდა თან. ინგლისურ გაზეთ "ინდეპენდენტს" ამის თაობაზე "აგრობიზნესბანკის" გატაცებული დირექტორის ყოფილმა მეუღლემ აცნობა. მეირ შოუს თქმით, ის ხშირად ესაუბრებოდა ყოფილ ქმარს ტელეფონით და მისგან მსგავსი საფრთხის შესახებაც სმენია.

ბრიტანეთის მოქალაქის, "აგრობიზნესბანკის" მმართველის პიტერ შოუს ძებნა გრძელდება. გატაცებიდან ორი დღის შემდეგ გამოძიებამ წინ წაიწია. პოლიციამ გამტაცებელთა კიდევ ერთ მანქანას მიაგნო და, როგორც ამბობენ, მასში მნიშვნელოვანი ნივთმტკიცებები აღმოაჩინა.

სამართალდამცველთა მიერ გამალებული ძებნის წარმოება, უშუალოდ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების გარდა, ხელმძღვანელობის დაკარგვის შიშითაც არის განპირობებული. გუშინწინ საქართველოს პრეზიდენტი ძალოვან მინისტრებს დაემუქრა, რომ, თუ უცხოელის გატაცების საქმის გამოძიებას რამდენიმე დღეში წარმატებით არ დააგვირგვინებენ, მათი პასუხისმგებლობის საკითხს დააყენებს. სხვა საშუალებები ედუარდ შევარდნაძეს გატაცებულის მოსაძიებლად არ გააჩნია. თუმცა, მან საქართველოს იმიჯის გადარჩენის მიზნით, კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა და ევროკავშირის პრეზიდენტს რომანო პროდის წერილი გაუგზავნა. წერილში ის წუხილს გამოთქვამს მომხდარი ფაქტის გამო. მიუხედავად ედუარდ შევარდნაძის რწმენისა, რომ დასავლეთში ცდილობენ, გაგებით მოეკიდონ ამ პრეცედენტს, ევროკომისიის საგარეო საქმეთა კომისარი კრისტოფერ პატენი საქართველოს ხელისუფლებას სწრაფი მოქმედებისაკენ საკმაოდ მკაცრად მოუწოდებს. მართალია, პატენი იმედოვნებს, რომ საქართველოს ხელისუფლება მიიღებს გადაუდებელ და მკაცრ ზომებს პიტერ შოუს გამტაცებელთა წინააღმდეგ და მის უსაფრთხო გათავისუფლებას უზრუნველყოფს, მაგრამ, ამასთან დარწმუნებულია, რომ პიტერ შოუს გატაცება საქართველოში დაუცველობის მზარდ დონეზე მიანიშნებს. მისი განცხადებით, ბოლო თვეების მანძილზე ეს არ არის პირველი ამ სახის ინციდენტი. ეს კი მნიშვნელოვნად ლახავს საქართველოს რეპუტაციას საერთაშორისო ასპარეზზე. კრისტოფერ პატენი 2001 წლის დეკემბერში ევროკომისიის წარმომადგენლობის თანამშრომლის გიუნტერ ბოიხელის მკვლელობასაც იხსენებს და აფიქრებს ის ფაქტი, რომ დანაშაული ჯერაც გაუხსნელია.

კრისტოფერ პატენის შეფასების იდენტურია, ფაქტობრივად, ყველა უცხოური გაზეთის გამოხმაურე-



პიტერ შოუ

ბა პიტერ შოუს გატაცებაზე.

სამართალდამცველებს კი ხელთ ჯერ მხოლოდ მანქანები აქვთ. გამტაცებელთა მანქანა, რომელიც გუშინ დილმის მასივში აღმოაჩინეს, რამდენიმე დღის წინ არის მოპარული. აღმოჩენის ადგილზე უშიშროებისა და შს სამინისტროს კინოლოგიური სამსახურების მიერ გაწვრთნილი ძაღლები მიიყვანეს. ცხოველები კვალმა საცხოვრებელი კორპუსის მეოთხე სართულზე აიყვანა. იქ კვალი დაიკარგა, თუმცა, ყველაზე უცნაური ის არის, რომ სადარბაზოდან გამოსული ძაღლები იქვე მდგომ ერთ-ერთი მაღალჩინოსნის დაცვის წევრს მიადგნენ.

სამართალდამცველები, ცხადია, გამოძიების ინტერესების მოშველიებით, თავს იკავებენ ამ ფაქტის კომენტირებისგან. ასევე არაფერს ამბობენ ძაღლების მიერ მიკვლეული ბინის პატრონის შესახებ. ისიც კი არ არის ცნობილი, ბინაში ვინმე იმყოფებოდა თუ არა.

ზოგიერთი ინფორმაცია პიტერ შოუს ჯერ კიდევ თბილისში ყოფნაზე მიუთითებს, თუმცა, ეს არ იძლევა პანკისის მიმართულებით ძიების შეწყვეტის საფუძველს.

გუშინ უშიშროების სამინისტრომ, რომელიც, მართალია, გატაცებას არ იძიებს, მაგრამ პრეზიდენტის დავალებით, ჩართულია ძებნის პროცესში, გამოაქვეყნა ტელეფონის ნომერი და ყველას, ვისაც რაიმე ინფორმაცია გააჩნია პიტერ შოუსა ან მისი გამტაცებლების შესახებ, სთხოვა, ამ ნომრით დაუკავშირდეს მათ. ცხადია, მაშინ, როცა არ ქვეყნდება პოლიციის ხელთ არსებული გამტაცებლების ფოტორობოტები, ბევრი ინფორმატორის გამოჩენას უშიშროების სამინისტრო არ უნდა ელოდეს. მაგრამ მაინც, უშიშროების მინისტრის პრესმდივანი ნიკა ლალიაშვილი აცხადებს, რომ აბონენტის ანონიმურობა გარანტირებულია, ხოლო მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიმწოდებელს ფულად ჯილდოს გადასცემენ.

**უშიშროების სამინისტროს ცხელი ხაზის ნომერია: 30-56-33.**

*სასამართლო დარბაზი*

# ბრალმდებელი პატიმარი ყოფილი უფროსის წინააღმდეგ

ინგა ალავიძე

*თბილისის საოლქო სასამართლოში კულტურის ყოფილი მინისტრის ვალერი ასათიანის სარჩელის განხილვის ბოლო ეტაპი გაიმართა. ვალერი ასათიანი გადაცემა "60 წუთს" პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვის გამო უჩივის და მიყენებული მორალური ზარალის ასანაზღაურებლად 10 მილიონ აშშ დოლარს ითხოვს.*

მინისტრთა კაბინეტის ყოფილმა უფროსმა მისი ყოფილი თანაშემწის, ირაკლი კერესელიძის მიერ გადაცემისთვის მიცემული ინტერვიუს გამო მიმართა სასამართლოს.

შეგახსენებთ, რომ 1995 წლის ზაფხულში თბილისში საზარელი მკვლელობა მოხდა. ბიჭი ბახტაძე და გურამ ოთიაშვილი ჯერ სასტიკად აწამეს, შემდეგ მოკლეს, ბოლოს კი გვამები დაჩეხეს და დანაწევრებული ნაწილები სხვადასხვა ადგილას გადაყარეს.

გარდაბნის პოლიციამ გვამების ნაწილი ლოჭინის ხეობაში აღმოაჩინა, სხეულს მოშორებული თავები კი თავად მკვლელობაში ეჭვმიტანილმა პეტრე-პავლეს სასაფლაოს სამალავიდან ამოიღო. მკვლელობისთვის დააკავეს და გაასამართლეს 20 წლის ირაკლი კერესელიძე და მისი დედა ელენე ჩიკვაიძე, რომელიც გვამების დანაწევრება-გადაყრაში დაეხმარა შვილს. ირაკლი კერესელიძეს უზენაესმა სასამართლომ დახვრეტა მიუსაჯა, დანაშაულის დაფარვაში მხილებულ ელენე ჩიკვაიძეს კი - 7 წლით პატიმრობა. წელიწად-ნახევრის შემდეგ ირაკლი კერესელიძეს დახვრეტა 15-წლიანი პატიმრობით შეუცვალეს.

ექვსი წლის შემდეგ ირაკლი კერესელიძე ალაპარაკდა და ამ საზარელი მკვლელობის ავტორად ვალერი ასათიანი დაასახელა. ბრალმდებლად ქცეულმა პატიმარმა მისი ყოფილი უფროსი კორუფციაშიც, კერძოდ, მოკლული ბიჭი ბახტაძისათვის ნახევარ-მილიონიანი კრედიტის "ჩაწყობაშიც" დაადანაშაულა. ერთი სიტყვით, მისთვის წაყენებული



*სასამართლო განაჩენს ორ კვირაში გამოიტანს* ალეკო კარტაშიანის ფოტო

ბრალდებები, ტუსაღმა ძველ უფროსს, ვალერი ასათიანს გადაულოცა. აი, ასეთი გახლდათ გადაცემა "60 წუთისთვის" მიცემული ინტერვიუს შინაარსი, რაც კულტურის ყოფილმა მინისტრმა ღირსებისა და რეპუტაციის შელახვად მიიჩნია.

თბილისის საოლქო სასამართლო, ფაქტობრივად, კერესელიძის ბრალდებების რეალობას არკვევს. გუშინდელ პროცესზე სასამართლო კოლეგიამ მხარეების პაექრობა მოისმინა.

გადაცემა "60 წუთის" ავტორი აკაკი გოგიჩაიშვილი ვალერი ასათიანისგან მისთვის მიყენებული მორალური ზარალის ასანაზღაურებლად 10 მილიონ აშშ დოლარს ითხოვს.

რაც შეეხება კულტურის ყოფილ მინისტრს, იგი გადაცემა "60 წუთს," მატერიალური ანაზღაურების გარდა, საჯაროდ ბოდიშის მოხდასაც სთხოვს. იგივე მოთხოვნა აქვს მას ყოფილი თანამშრომლის მიმართაც.

ვალერი ასათიანისგან შეურაცხყოფილად მიიჩნევს თავს ირაკლი კერესელიძეც და მორალური ზარალი მასაც 10 მილიონ აშშ დოლარად აქვს შეფასებული.

გუშინდელ სასამართლო პროცესზე ირაკლი კერესელიძე კვლავ შეეცადა ვალერი ასათიანისადმი მის მიერ წაყენებული ბრალდებების დადასტურებას, თუმცა სასამართლო კოლეგიამ მას არ მოუსმინა. ასეთ სიტუაციაში ძნელია, თქვა, როდის იყო კერესელიძე მართალი, ექვსი წლის წინ, როცა აღიარა მკვლელობა და გვამების დანაწევრება-გადაყრის ისტორია თუ შემდეგ, როცა უარყო და ვალერი ასათიანი მკვლელ-მანიაკად გამოაცხადა.

თუმცა, ერთი რამ ფაქტია: "60 წუთისთვის" მიცემული ინტერვიუს შემდეგ ამ მკვლელობის თაობაზე ხელახლა ჩატარებულმა გამოძიებამ წინასწარი ძიების მიერ ღიად დატოვებულ ძალიან ბევრ და სერიოზულ კითხვას ამომწურავი პასუხი ვერ გასცა. მოახერხებს თუ არა საოლქო სასამართლო გაჩენილი ეჭვების გაბათილებას, ამას 3 ივლისს შევიტყობთ.

# იურისტის ვაშინგტონური რჩევები

ხათუნა ჯანგირაშვილი

*ამერიკის იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელი, "სამართლებრივი რეფორმების მედია ჯგუფის" ერთ-ერთი აქტიური წევრი ჯან კილპინსკი გუშინ უზენაეს სასამართლოს სტუმრობდა და ჟურნალისტებსა და მოსამართლეებს ვაშინგტონურ გამოცდილებას უზიარებდა.*

ვაშინგტონის "სასამართლოს, ადვოკატურისა და პრესის კომიტეტის" საქმიანობის განხილვისას ჯან კილპინსკი ქართული რეფორმირებული მართლმსაჯულებისა და სამართლებრივ სფეროში მომუშავე ჟურნალისტების მოღვაწეობასაც აფასებდა.

ამერიკის იურისტთა ასოციაციის წარმომადგენლის აზრით, მთავრობის ყველა ღონისძიებისა და სამართალაღსრულების გაშუქება, სასურველი კი არა, აუცილებელია. სასამართლო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაცია სასამართლოსა და ადვოკატურის წარმომადგენლებმა მაქსიმალურად ხელმისაწვდომი უნდა გახადონ. იურისტებმა და ჟურნალისტებმა თავიანთი ვალდებულება ისე უნდა შეასრულონ, რომ ხელი არ შეუშალონ სასამართლო პროცესის მსვლელობას.

**"ჟურნალისტურმა რეპორტაჟმა გადაჭარბებული გავლენა არ უნდა მოახდინოს საქმის მსვლელობაზე და, რაც მთავარია, ინფორმაცია უნდა იყოს ზუსტი და უტყუარი. ბრალდებულისთვის კონსტიტუციით გათვალისწინებული უდანაშაულობის პრეზუმფცია დაცული უნდა იყოს, სანამ მას სასამართლოს მიერ არ დაუმტკიცდება შესაბამისი ბრალი,"** – აცხადებს ჯან კილპინსკი, რომელსაც ქართული მართლმსაჯულების ძალაუფლება სუსტად ეჩვენება. მისი თქმით, ამერიკაში, სასამართლო პროცესზე მოსამართლეს აქვს ძალაუფლება, აკონტროლოს დარბაზში მყოფნი. თუ ვინმე წესრიგს დაარღვევს, მოსამართლეს არა მარტო შენიშვნის მიცემა და დარბაზიდან გაძევება, არამედ წესრიგის დამრღვევის დაპატიმრებაც შეუძლია.

"საქართველოში სასამართლოები ნაკლებად უფლებამოსილნი არიან. არადა, წესრიგის გარეშე შეუძლებელია სამართლიანი სასამართლო პროცესის ჩატარება", - ირწმუნება ქართული ხმაურიანი და თითქმის ბრძოლის ველად ქცეული სასამართლო პროცესების შემყურე ამერიკელი იურისტი. მას ქართველი ადვოკატების თავდასხმები აოცებს და თვლის, რომ მოსამართლის მიერ გამოტანილ ამა თუ იმ გადაწყვეტილებას ქართველი ადვოკატები პირად შეურაცხყოფად იღებენ და პროფესიული ეთიკის ნორმებს სცილდებიან, რითაც ძალიან განსხვავდებიან ამერიკელი ადვოკატებისაგან.

ამერიკელი იურისტი ქართულ "მედია ჯგუფს", რომელიც ექვსი თვის წინ შეიქმნა და რომელშიც ჟურნალისტები და მოსამართლეები არიან გაერთიანებული, საბჭოში ადვოკატების შეყვანასაც ურჩევს.

ჯან კილპინსკი "მედია ჯგუფის" მიერ შემუშავებული პროექტის თითქმის ყველა პუნქტს იწონებს და ქართულ რეფორმირებულ სასამართლოს ვაშინგტონური გამოცდილებით ამდიდრებს.

# ვაზიანის საქმის კიდევ ერთი შემსრულებელი

სამხედრო პროკურატურამ ვაზიანის საქმეს ახალი დეტალი შემატა. კანონდამცველებმა გუშინ დააკავეს სატანკო ბატალიონის ბრიგადის ასმეთაური ლევან პაპოშვილი. უფროსი ლეიტენანტი ჯერჯერობით ჰაუპტვახტში იმყოფება და იგი ეჭვმიტანილია ვაზიანის სამხედრო ბაზიდან დაკარგული იარაღის ქურდობაში.

ლევან პაპოშვილს დღეს სამხედრო პროკურატურა ბრალს წაუყენებს და სასამართლოსგან პატიმრობის სამთვიან სანქციას აიღებს.

ჯერჯერობით ეჭვმიტანილი პაპოშვილი გამოძიებამ უკვე დაკითხა და მან აღიარა დანაშაული.

სამხედრო ოფიცერი ლევან პაპოშვილი კარგა ხანია, რაც დეზერტირობისთვის იძებნება. რამდენიმე თვის წინ მან თვითნებურად მიატოვა ბატალიონი. არსებული ვერსიით, სწორედ ამ პერიოდში მოხდა ვაზიანიდან ტექნიკის გატანა.

# ვისია იარაღი?

გუშინ იარაღის უკანონოდ შეძენასა და ტრანსპორტირებაში ბრალდებულმა, უშიშროების მაიორმა სიმონ მჭედლიძემ წინასწარი გამოძიებისთვის მიცემული ჩვენება გადათქვა და სასამართლოს, რომელიც მისთვის აღმკვეთი ღონისძიების შეფარდებას იხილავდა, დაკავებული იარაღის ადრესატად დავით შენგელია დაუსახელა. მიუხედავად ამისა, ისანი-სამგორის სასამართლომ მას და მასთან ერთად დაკავებულ რუსეთის მოქალაქეს ლუდკოვს სამთვიანი პატიმრობა შეუფარდა. აღსანიშნავია, რომ აქამდე მჭედლიძე იარაღის მეპატრონედ ასახელებდა კანონიერ ქურდს შაქრო კალაშოვს, რომელთანაც სამსახურიდან თავისუფალ დროს მძღოლად მუშაობდა.

როგორც ცნობილია, ნატახტართან დიდძალი იარაღის დაკავებიდან მეორე დღესვე ქართველი პარტიზანული შენაერთის "ტყის ძმების" ლიდერმა დავით შენგელიამ განაცხადა, რომ იარაღი მას ეკუთვნის და აფხაზეთში საბრძოლველადაა განკუთვნილი. შენგელიას გუშინ სხვა თანამოძმენიც შეუერთდნენ და ერთად ითხოვენ იარაღის დაბრუნებას. მიუხედავად ამისა, გამოძიება სარწმუნოდ არ მიიჩნევს პარტიზანების მტკიცებას და იარაღის შემოტანის ჭეშმარიტ მიზეზებს და რეალურ ადრესატებს ადგენს, თუმცა, შენგელიას დაკითხვა, ისევე, როგორც შაქრო კალაშოვისა, დღის წესრიგში აქვს.

ამასობაში შენგელიასთან რაიმე კავშირის არსებობაზე უარს აცხადებს "მხედრიონის" ლიდერი ჯაბა იოსელიანი. ყოფილი თანამებრძოლისა და მეგობრის უარყოფას იოსელიანი მისი პიროვნების მიუღებლობით ხსნის.

**"ჩვენ, მხედრიონელები, ნაღდი, მართალი ხალხი ვართ. ჩვენთვის მთავარია ძმობა, ვაჟკაცობა, მეგობრობა. შენგელია კი ბოლო ხანებში აირია, ყველას და ყველაფერს მიედ-მოედება. პოლიტიკაში გაითქვიფა, ხელისუფლებაში და, რა ვიცი, სად არა. არადა, მაგისი და პარტიზანების საქმე ბრძოლაა. რას ერევა ამ ინტრიგებში, პარტიზანობა ხომ სახალხო მოძრაობაა"**,-- აცხადებს ჯაბა იოსელიანი, თუმცა იმასაც ამბობს, რომ მას და შენგელიას შორის ურთიერთობის გაწყვეტას იარაღის ფაქტთან არავითარი კავშირი არ აქვს – განხეთქილება გაცილებით ადრე მოხდა.

# აფეთქება ოჩამჩირეში - კრიმინალი პოლიტიკის რანგში?

გუშინ დილით ოჩამჩირეში თითქმის ერთდროულად მომხდარი ორი აფეთქებისთვის პასუხისმგებლობას მხარეები ერთმანეთს აბრალებენ. ქალაქის ადმინისტრაციის შენობაში და ქალაქის ცენტრში, საპარიკმახეროში მომხდარ აფეთქებებს, როგორც ამბობენ, მსხვერპლი მოჰყვა, თუმცა დაღუპულთა ზუსტ რაოდენობას ვერავინ ასახელებს.

ჭუბურხინჯში მიმდინარე ოთხმხრივი მოლაპარაკება აფეთქების შესახებ ინფორმაციის გავრცელებისთანავე ჩაიშალა. აფხაზური მხარე დარწმუნებულია, რომ ტერაქტი ქართველი პარტიზანების მოწყობილია. პარტიზანების ერთი ნაწილი აფეთქების მოწყობაში მონაწილეობას კატეგორიულად უარყოფს და ტერაქტისთვის პასუხისმგებლობას რუს სამშვიდობოებს აკისრებს.

მათი თქმით, პარტიზანებს პირველ აგვისტომდე მორატორიუმი აქვთ გამოცხადებული და პარტიზანული მოძრაობა შეჩერებულია. იგივე მებრძოლები არ გამორიცხავენ, რომ აფეთქებები, პროვოკაციის მიზნით, შესაძლოა, თავად აფხაზებმა გაახორციელეს, თუმცა აქცენტს მაინც რუს სამხედროებზე აკეთებენ.

„სულ მალე რუს ცისფერჩაფხუტიანებს მანდატი ეწურებათ და ასეთ დროს ისინი ყოველთვის მსგავს პროვოკაციებს სჩადიან“, — ამბობს პარტიზანთა ერთ-ერთი ლიდერი.

პარტიზანთა მეორე ნაწილი, კერძოდ, "ტყის ძმები", თავიანთი ლიდერის დავით შენგელიას ხელმძღვანელობით, თბილისში იმყოფებიან და მათი მტკიცებით, წართმეული იარაღის დაბრუნებას ითხოვენ. შესაბამისად, აფეთქებასთან მათი კავშირი, ფაქტობრივად, გამოირიცხება.

როგორც უკვე გაირკვა, ორივე აფეთქება საათის მექანიზმიანი ასაფეთქებელი მოწყობილობით განხორციელდა.

საქართველოს უშიშროების სამინისტრო არ გამორიცხავს, რომ აფეთქება სულაც კრიმინალურ კლანებს შორის პირადული ანგარიშსწორების გამოც განხორციელებულიყო.

# დაბრუნებულები ჩვენებებს აძლევენ

ხათუნა ჯანგირაშვილის

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში, საიდანაც რამდენიმე დღის წინ შერეული ჯარების რვა ჯარისკაცი გაიქცა, გუშინ საგანგებო რეჟიმი მოხსნეს და სამშვიდობოების კონტროლიც შეასუსტეს.

რუსეთის სამშვიდობო ძალების სარდლის, გენერალ-მაიორ პრიზემლინის იმედი, რომ საკვების საშოვნელად ნაწილიდან წასული და გზააბნეული ჯარისკაცები თავადვე დაბრუნდებოდნენ დისლოკაციის ადგილზე, არ გამართლდა. დაკარგული ორი ჯარისკაცი ნაწილში თავისით არ დაბრუნებულა. ისევე, როგორც წინა დღეს უშიშროების ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე დაკავებული ექვსი ჯარისკაცი, გუშინ ნაპოვნი ორი მშვიდობისმყოფელიც უგონოდ გალეშილები აიყვანეს. გენერალ-მაიორი პრიზემლინი გუშინაც თავგამოდებით ირწმუნებოდა, რომ დაკავებულმა ჯარისკაცებმა საგუშაგოდან წაღებული ორი ავტომატი, ყუმბარმტყორცნები, ათი ყუმბარა და 500 ვაზნა უკლებლივ დააბრუნეს.

სერჟანტებს – მიხეილ კურსკისა და ალექსანდრე ვოლოშკოვს, ისევე, როგორც მათ მეგობარ ექვს ჯარისკაცს, დაკავებისას წინააღმდეგობა არ გაუწევიათ.

ნაწილიდან გაქცეული თუ გზადაკარგული ჯარისკაცები გუშინ ცხინვალში ჩასულ ამიერკავკასიაში რუსეთის საჯარისო დაჯგუფების პროკურატურის წარმომადგენლებს ჩვენებებს აძლევდნენ. დაკითხვისას ისინი ამტკიცებდნენ, რომ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონის დატოვებას არ აპირებდნენ და იქვე, ახლომახლო დახეტიალობდნენ.

დაკარგული ჯარისკაცების პოვნისთანავე, სამხედროებმა კონფლიქტის ზონაში დისლოცირებული შერეული ძალების ათწლიანი მოღვაწეობის აღსანიშნავი ღონისძიებისთვის მზადება განაახლეს.

# რუსეთი მკვლელობებით ლიდერობს

მსოფლიოს ქვეყნებს შორის ჩატარებულმა სტატისტიკურმა გამოკვლევამ ცხადყო, რომ მკვლელობათა სიმრავლით რუსეთი სხვა ქვეყნებს შორის ლიდერია.

რუსეთის გენერალური პროკურატურის კრიმინალისტის, იური ლეკანოვის განცხადებით, 100 ათას მოსახლეზე 34 მკვლელობა ხდება, ამ მაჩვენებლის მიხედვით რუსეთმა, სამხრეთ აფრიკის შემდეგ, მეორე ადგილი დაიკავა.

ლეკანოვის მონაცემებით, გასულ წელს რუსეთში 33,5 ათასი მკვლელობა მოხდა. 7,7 ათასი ჯერ კიდევ გაუხსნელია.

აშშ-მ, რომელიც რამდენიმე წლის წინ რუსეთს არ ჩამორჩებოდა მკვლელობათა მაჩვენებლით, საგრძნობლად გააუმჯობესა კრიმინალური სიტუაცია. ამერიკაში 100 ათას მოსახლეზე 10 მკვლელობა ხდება.

# „ფრთხილად უნდა ვიყოთ, როგორც არასდროს!"

## ასლან აბაშიძის პრესკონფერენცია მოსკოვში

პირველი გვერდიდან

უპასუხა. შესავალში კი აღნიშნა, რომ მისი მოსკოვში ამჟამინდელი ვიზიტი სასიამოვნო ტალღაზეა აწყობილი, რადგანაც კრემლის საკონცერტო დარბაზში ბათუმის ბავშვთა ოპერის თეატრის ტრიუმფმა კარგ ხასიათზე დააყენა.

აბაშიძის თქმით, მას მერე, რაც შევარდნაძემ აფხაზური კონფლიქტის დარეგულირებაში სპეცწარმომადგენლობა შესთავაზა, მოსკოვში მეორედ ჩამოვიდა, რადგანაც **"ყველა საღად მოაზროვნე ადამიანი, პოლიტიკოსი თუ არაპოლიტიკოსი, აგრეთვე ჟურნალისტები, ანგარიშს უწევენ იმას, რომ რუსეთის აქტიური ჩარევის გარეშე ამ კონფლიქტის დარეგულირება საქართველოს არ შეუძლია".** აბაშიძემ შემდეგი არგუმენტი მოიტანა:

**"ჩვენ ვცხოვრობთ უზარმაზარ ქვეყანაში, სადაც ყველა უხილავი ძაფებით ერთმანეთზე ვართ გადაბმული და სსრკ-ს დაშლის მერეც, ეს კავშირები არსებობს".** აჭარის ლიდერი დარწმუნებულია, რომ სწორედ ამ მიზეზით, დღემდე არსებობს გარკვეული ნდობის ფაქტორი აფხაზეთის და რუსეთის ხელისუფლებას შორის.

**"მე საქართველოს პრეზიდენტს წარმოვადგენ და ვიცი, რა მომენტია ჩემთვის მთავარი ამ რთული მისიის შესასრულებლად",** - აღნიშნა აბაშიძემ.

**"იტარ-ტასი": რა აზრის ხართ საქართველოში რუსეთის სამხედრო ბაზების მომავალზე და საქართველოს ტერიტორიაზე როგორ აპირებენ ამერიკელები სამხედრო ბაზების გამოყენებას?**

-რუსეთის სამხედრო კონტიგენტი ჩვენთან რამდენიმე ათეული წელია დგას და, უკანასკნელი 80 წლის მანძილზე, აჭარაში რუსეთის სამხედროები არავის გაუნაწყენებია. ისინი საქართველოში, აჭარაში არასოდეს პოლიტიკური მიზნებით არ გამოუყენებიათ, ზოგიერთი პოლიტიკური ძალების მოთხოვნის მიუხედავად. რუსი სამხედროების აჭარაში ყოფნა, აფხაზეთში სამშვიდობო კონტიგენტის ყოფნის სიმბოლოცაა. რომ არა ეს კონტიგენტი, ძმათამკვლელ ომს ვერ ავიშორებდით მაშინ აგრესიულად განწყობილი იმ 7 ათასზე მეტი "სამხედროს" მხრიდან, რომლებიც, სამოქალაქო ომის წინ, ციხეებიდან გამოუშვეს. ათასი კაციც ქუთაისის ციხიდან გათავისუფლდა. სწორედ ამ ხალხმა ჩაიცვა ფორმა, აიღო იარაღი და დაატრიალა მთელი ეს უმსგავსობა. აჭარამ შეძლო ამ კონფლიქტის თავიდან აცილება, რითიც, პირველ რიგში, საქართველომ მოიგო. მეორე მხრივ, უცხო ქვეყნების კონტიგენტის ყოფნა ჩვენთან ახალი არ არის, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ ზოგიერთ პირს შეუძლია მათი პროვოცირება, ამიტომ ფრთხილად უნდა ვიყოთ, როგორც არასდროს1

**როგორ კომენტარს გაუკეთებთ იმ ფაქტს, რომ აფხაზეთში ათი ათასმა კაცმა უკვე მიიღო რუსეთის პასპორტი?**

- მე მგონი, არ ღირს იმის კომენტირება, რომ არა მარტო აფხაზეთის მოსახლეობას, არამედ საქართველოს დანარჩენი რეგიონების მცხოვრებლებსაც აქვთ რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობა, მათ შორის აჭარაშიც. არ მგონია, ეს ციფრი სწორი იყოს. ჩვენი მონაცემებით ეს ციფრი 80 ათასზე მეტია - არა მხოლოდ აფხაზები, არამედ ადრე აქ მცხოვრებნიც. როცა საქართველო-რუსეთს შორის ვითარება მწვავდება და ზოგიერთებს რაღაც- რაცეები უკვირთ, უნდა იცოდნენ, რომ რუსეთი ვალდებულია, გამოესარჩლოს საკუთარ თანამემამულეებს. თუ ამ ფაქტორს არ გავიაზრებთ, სერიოზულ კონფლიქტში ვიქნებით ჩათრეულნი.

**"24საათი": გუშინ საქართველოს საგარეო საქმეთა მისნიტრს მოუხდა აჭარაში რუსეთის პასპორტების დარიგებზე გავრცელებული ინფორმაციის უარყოფა. როგორია თქვენი კომენტარი, მართლა არიგებენ აჭარაში რუსეთის პასპორტებს?**

-რას ნიშნავს რუსეთის პასპორტების დარიგება აჭარაში? ჩემთვის გაუგებარია ასეთი ფორმულირება. მე ეს ინფორმაცია აჭარიდან ფაქსით მივიღე და საქმე ეხება აჭარაში რუსეთის ვიზების გაცემას, რაც მეტად რთული პრობლემაა ჩვენთვის, რადგანაც ჩვენს მაცხოვრებლებს ამისათვის ზედმეტი ხარჯების გადახდა უხდებათ - ადგილი აქვს გამოძალვას. ამიტომ მოსკოვში ერთ-ერთი ვიზიტისას თხოვნით მივმართე რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს, აჭარაში გამოაგზავნონ რუსეთის საკონსულო დეპარტამენტის სრულუფლებიანი წარმომადგენლები, რადგანაც, საქართველოს უარის გამო, ჩვენ დღეს არ შეგვიძლია ბათუმში რუსეთის საკონსულოს გახსნა, როცა რუსეთის სხვა რეგიონებში იგივე საქართველო თავისუფლად ხსნის თავის საკონსულოებს. ჩვენ ხალხზე ვზრუნავთ, ამ საკითხებს ვაწესრიგებთ და აჭარაში რუსეთის პასპორტების დარიგებაზე ლაპარაკი, უბრალოდ, აბსურდია.

**"კომერსანტი": კავკასიის ოთხეულმა რა უნდა გააკეთოს სოხუმ-თბილისს შორის ან საქართველო-რუსეთის კონფლიქტის დარეგულირებაში?**

-ჩვენ ამიერკავკასიის რესპუბლიკებში დღეს სხვადასხვა მიდგომებს ვაფიქსირებთ. რატომღაც საქართველოში რუსეთთან კონფრონტაციის გზა ავირჩიეთ. როცა დასავლეთთან მიმართებაში ჩვენი პოლიტიკის პრიორიტეტებს ვაყალიბებთ, როგორც წესი, პარალელურად ვაფუჭებთ ურთიერთობას რუსეთთან. ამ დროს სახელმწიფო საზღვარი კასპიიდან შავ ზღვამდე გადის და ერთად ცხოვრება მოგვიწევს კიდევ საუკუნეების მანძილზე. თუ საქართველოს სომხეთს შევადარებთ, აქ უფრო მოზომილ პოლიტიკას დავინახავთ. სომხეთმაც დასავლეთის ღირებულებებზე აიღო გეზი, მაგრამ, იმავდროულად, რუსეთთან ურთიერთობა არ გაუუარესებია, პირიქით, უფრო ეფექტური გახადა, ისევე, როგორც აშშ-სთან. ამაშია დღეს საქართველოსა და სომხეთის მიერ გატარებული პოლიტიკის მთავარი განსხვავება. გადაჭრიან თუ არა ერთად ამ საკითხებს? ასეთი ინსტრუმენტი და მაკოორდინირებელი ორგანო ჯერ არ გვაქვს, ამერკავკასიის პრობლემების შემსწავლელი რაიმე ორგანოს შექმნა კარგი იქნებოდა.

**ჟურნალი "ნოვოე ვრემია": რუსეთის ხელისუფლებას არაერთგზის განუცხადებია, რომ საქართველოს ტერიტორიას თავს აფარებენ ტერორისტული ორგანიზაციების წევრები, მათ შორის მოსკოვში საცხოვრებელი სახლების აფეთქების ორგანიზატორებიც. აპირებს საქართველო რუსეთისათვის მათ გადმოცემას?**

-საქართველოს ხელისუფლება არც უარყოფს ამას და გადაცემის ფაქტებსაც ჰქონია ადგილი. ამაში საიდუმლო არაფერია.

**რადიო "გოლოს როსიი": როგორ შეინარჩუნა აჭარამ რუსული ენა, რუსული კულტურა, რუსული სკოლები?**

-ამ საკითხს 1991 წლის გადასახედიდან რომ შევხედოთ, როცა საქართველოში ნაციონალიზმი ყვაოდა, მართლა გმირობა ჩავიდინეთ. როცა თბილისში რუსეთის ტელეარხები გათიშეს, ჩვენ მაშინ შევქმენით რუსულენოვანი ტელევიზია, გაზეთი, გადაცემები. ჩვენი ტელევიზია ახლა განვითარების ახალ საფეხურზე ავიდა - აჭარის ტელევიზია დღეს ფარავს მთელ ევროპას, ჩრდილოეთ ამერიკას, აფრიკას. ჩავატარეთ კონკურსი ლონდონში ჩვენი კორპუნქტის დიქტორის არჩევაზე. 80 კაციდან რვა კაცი შეირჩა და დღეს ისინი ინგლისურ, გერმანულ, იტალიურ, ესპანურ ენებზე ევროპის სხვადასხვა ქალაქებიდან გადმოსცემენ. ჩვენთან მოსახლეობის 30 პროცენტი რუსულენოვანია და ჩვენ ამას სიამოვნებით ვაკეთებთ. აჭარის ტელევიზიას დღეს ირანშიც უყურებენ.

**"ბი-ბი-სი": მოსკოვში ამჟამად რა სტატუსით ჩამოხვედით?**

-მე პრეზიდენტ შევარდნაძის სპეციალური წარმომადგენელი ვარ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირებაში. მოსკოვში იმ სტატუსით ჩამოვდივარ, რა საკითხების განხილვაც რუსეთის დედაქალაქში მიწევს. ბატონ ლუჟკოვთან შეხვედრაზე ამჟამად ბათუმ-მოსკოვს შორის სავაჭრო-ეკონომიკური პროექტები განვიხილეთ, უფრო სწორად, ავტონომიური რესპუბლიკისა და მოსკოვის ხელისუფლების საქმიანი კონტაქტები. ეს ხელშეკრულება რაღაც ახალი მომენტებითაც შეივსება. ამჟამად ოფიციალურად ვიყავი მიწვეული რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში, ჩემს დიდ კოლეგასთან ვალერი ლოშჩინინთან და სამინისტროს სხვა წარმომადგენლებთან. ვეძებთ აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების ახალ მექანიზმებს, ახალ გზებს. დღეს უკვე შეიქმნა იმის აუცილებლობა, გითხრათ, რომ მოლაპარაკების მეტი სიცხადისათვის, იმისათვის, რომ ჟურნალისტებმა ყველაფერი იცოდნენ, მოლაპარაკებების ჩარჩოებში მას-მედიაც ჩაერთოს. როცა პირველად ამის შესახებ ვითხოვე და პროცესის გამჭვირვალების საჭიროება გაჩნდა, თბილისიდან ნეგატიური გამოხმაურება მივიღე. ამას შედეგად მოჰყვა კოდორის ცნობილი მოვლენები. საქართველოს ხელისუფლებამ დარეგულირების პროცესში სიცხადის შეტანის მაგივრად, იქ შეიარაღებული ფორმირებები გადაისროლა. ამან დარეგულირების პროცესს საშინლად რთული ფონი შეუქმნა. ამიტომ საჭიროება მოითხოვს, მაგალითად, "იტარ-ტასის" ბაზაზე ჩამოყალიბდეს ჟურნალისტთა დიდი ჯგუფი, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების ობიექტურად გაშუქებისათვის. ასე არც ფაქტები დამახინჯდება და საზოგადოებას სრული წარმოდგენა შეექმნება ყველაზე და ყველაფერზე. ეს ჩემი წინადადებაა და ვფიქრობ, პოლიტიკოსებსაც მიეხმარება.

**"24საათი": თქვენთან შეხვედრის შემდეგ ვალერი ლოშჩინინმა მეტად მკვახე განცხადება გააკეთა, რომ დარეგულირების პროცესში აუცილებლად უნდა ვკითხოთ აზრი მესამე მხარეს - აფხაზეთსო. როგორ კომენტარს გაუკეთებთ რუსი დიპლომატის ამ განცხადებას, რითიც, ფაქტობრივად, რუსეთმა აღიარა, რომ მოლაპარაკებები ჩიხშია?**

-ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში მესამე მხარე არ არსებობს. აფხაზეთი ერთ-ერთი მთავარი მხარეა! აქედან უნდა ამოვიდეთ და ამით უნდა დავიწყოთ. ჩვენ, საქართველოს ხელისუფლებამ ყველაფერი არ გავაკეთეთ იმისათვის, რომ ეს კონფლიქტი არ ყოფილიყო. ჩვენ უნდა გავთავისუფლდეთ იმ აგრესიულობისაგან, რაც ომის მერე დაგვრჩა. ჩვენ დარეგულირების პროცესი ისტორიულ სიბრტყეში უნდა დავაბრუნოთ და ვიყოთ გულახდილები! უნდა ვთქვათ, რომ საქართველოს სახელმწიფოებრიობის შექმნა დაიწყო აფხაზეთიდან, 1921 წელს, როცა საქართველო დამოუკიდებელი გახდა და აჭარაცა და აფხაზეთიც საკუთარი სურვილით შევიდნენ საქართველოს შემადგენლობაში - ავტონომიური რესპუბლიკების სტატუსით. ჩემი პირადი დაკვირვებით, დღევანდელი კონფლიქტი არა ქართულ-აფხაზურია, არამედ ეს გახლავთ დაპირისპირება თბილის-სოხუმს შორის. ზოგიერთი ახალგამომცხვარი პოლიტიკოსი ამტკიცებს, რომ აჭარასა და აფხაზეთში შენელებული მოქმედების ნაღმებია ჩადებული, რომ ეს საბჭოთა ხელისუფლების მიერაა ჩაფიქრებული. არ არის მართალი. მაშინ არ იყო საბჭოთა ხეოლისუფლება და არც რუსეთი არ ერეოდა აფხაზეთისა და აჭარის გადაწყვეტილებებში. ისინი საკუთარი სურვილით შევიდნენ დემოკრატიული საქართველოს შემადგენლობაში. ჩვენ ამ პოლიტიკიდან ამოვედით. დღეს კი, ის, რაც თბილისში აფხაზეთის ხელისუფლების პარალელური სტრუქტურების მოქმედებით ხდება, ხელს უშლის მოლაპარაკებების პროცესს. ასეთ ვითარებაში აფხაზები არ გვენდობიან. როცა ჩვენ საქართველოს კონსტიტუციით ვაუქმებთ აფხაზეთის სტატუსს, მიუტევებელ შეცდომას ვუშვებთ. ადრინდელ კონსტიტუციაში ჩაწერილი იყო, რომ აფხაზეთი და აჭარა ავტონომიური სოციალისტური სახელმწიფოებია საქართველოს შემადგენლობაში. ვნახოთ, როგორი ტრანსფორმირება განიცადა ამან უკანსკნელი 12 წლის მანძილზე? გამსახურდიამ სოციალისტური მოაშორა და დარჩა ავტონომია. ნუ დაგვავიწყდება 1995 წლის მოვლენებიც. აი, ამ არასწორმა ნაბიჯებმა მიგვიყვანეს აქამდე, გაართულეს პროცესი. და დღეს, როცა თბილისში პარლამენტი აფხაზეთის ავტონომიის სტატუსის აღდგენაზე განცხადებებს აკეთებს, ანგარიშს არ უწევს, რომ ეს უაღრესად საშიშია. ჩვენ ვიცნობთ დიტერ ბოდენის ფორმულას და ახლა ამ წინადადების შეტანა საქართველოს პარლამენტის მხრიდან მორიგი დაძაბულობის მომტანია ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირებაში. ჩვენი ბლოკი დღეს ამ წინადადებას პარლამენტში მხარს არ დაუჭერს. სწორედ ეს თამაში და ასეთი გაუთავებელი დესტრუქციული ნაბიჯები აფერხებენ კონფლიქტის საბოლოო დარეგულირებას.



*ასლან აბაშიძის პრესკონფერენცია იტარ-ტასში*
ITAR-TASS



www.24hours.ge 24 B

# დღეს მეოთხედფინალებია

## ინგლისი - ბრაზილია

შიძუკა ეკოპას სტადიონი, 21 ივნისი, 11.30 საათი

**მათი ბალანსი**

ინგლ. მოგება 3 ფრე 8 ბრაზ. მოგება 9

**უკანასკნელი სამი შეხვედრა**

1995: ინგლისი 1-3 ბრაზილია 1997: ბრაზილია 1-0 ინგლისი 2000: ინგლისი 1-1 ბრაზილია

**პირველი ეტაპის შედეგები**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 1-1 | შვედეთი | ბრაზილია | 2-1 | თურქეთი |
| ინგლისი | 1-0 | არგენტინა | ბრაზილია | 4-0 | ჩინეთი |
| ინგლისი | 0-0 | ნიგერია | ბრაზილია | 5-2 | კოსტა-რიკა |

**მეორე ეტაპი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 3-0 | დანია | ბრაზილია | 2-0 | ბელგია |

ჩემპიონატი ციფრებში — მეტოქის კარში / საკუთარ კარში — თვითოეულ მატჩში

| ინგლისი (მეტოქის კარში) | ინგლისი (საკუთარ კარში) | | ბრაზილია (მეტოქის კარში) | ბრაზილია (საკუთარ კარში) |
|---|---|---|---|---|
| 5.5 | 4.75 | დარტყმა | 8 | 5.25 |
| 3.75 | 5.0 | კუთხური | 5.5 | 7.25 |
| 1.0 | 2.5 | გაფრთხილება | 1.25 | 1.25 |
| 13.5 | 16.75 | ჯარიმა | 12.75 | 15.25 |
| 43% | | ბურთის ფლობა | 54% | |

ბომბარდირები: ბექჰემი, კემპბელი, ფერდინანდი, ჰესკი ოუენი 1

გაფრთხილება: კემპბელი, ა. კოული, ჰესკი, მილსი 1

ბომბარდირები: რონალდო 5

გაფრთხილება: კაფუ, ედმილსონი, ჟუნიორი, რონალდინიო 1

Source: FIFA © GRAPHIC NEWS

## გერმანია - აშშ

ულსანის სტადიონი, 21 ივნისი, 16.30 საათი

**მათი ბალანსი**

გერ. მოგება 4 ფრე 0 აშშ-ს მოგება 2

**უკანასკნელი სამი შეხვედრა**

1999: აშშ 3-0 გერმანია 1999: გერმანია 0-2 აშშ 2002: გერმანია 4-2 აშშ

**პირველი ეტაპის შედეგები**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 8-0 | ს. არაბეთი | აშშ | 3-2 | პორტუგალია |
| გერმანია | 1-1 | ირლანდია | აშშ | 1-1 | კორეა |
| გერმანია | 2-0 | კამერუნი | აშშ | 1-3 | პოლონეთი |

**მეორე ეტაპი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 1-0 | პარაგვაი | აშშ | 2-0 | მექსიკა |

ჩემპიონატი ციფრებში — მეტოქის კარში / საკუთარ კარში — თვითოეულ მატჩში

| გერმანია (მეტოქის კარში) | გერმანია (საკუთარ კარში) | | აშშ (მეტოქის კარში) | აშშ (საკუთარ კარში) |
|---|---|---|---|---|
| 7 | 3 | დარტყმა | 6 | 8.5 |
| 5.5 | 2 | კუთხური | 3.75 | 6.5 |
| 3.25 | 2.75 | გაფრთხილება | 2.25 | 3 |
| 21.5 | 18.5 | ჯარიმა | 16.75 | 19 |
| 49% | | ბურთის ფლობა | 46% | |

ბომბარდირები: კლოზე 5

გაფრთხილება: რამელოვი 1 წითელი; ჰამანი, ციგე, ბალაკი 2 შნაიდერი, ბაუმანი, იანკერი, კანი 1

ბომბარდირები: დონოვანი, მაკბრაიდი 2

გაფრთხილება: ჰეიდუკი 2; აგუსი, ბიზლი, ბერჰალტერი, ფრიდელი, მასტროენი, პოუპი, ვოლფი 1

Source: FIFA © GRAPHIC NEWS

დერეკ ფოლი
იაპონია კორეიდან
სპეციალურად
"24 საათისათვის"

წლევანდელ ჩემპიონატზე დევიდ ბექჰემი ყველაზე ცნობილი ინგლისელი ვარსკვლავის სტატუსით ჩავიდა. ჟღერდა ოუენის სახელიც. თუმცა, სინამდვილეში ნაკრების ერთ-ერთ წამყვან ძალად, ჩემპიონატში ინგლისის ჩართვის დღიდან, ნიკი ბატი იქცა. ის ამ ფუნქციას ბრაზილიასთან მატჩშიც იტვირთებს და, მეტოქის დამარცხების შემთხვევაში, ფავორიტის გვირგვინსაც ის დაიდგამს.

ნიკი ბატი? რა თქმა უნდა, ის. "მანჩესტერ იუნაიტედის", მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული კლუბის ნახევარდაცვა ხომ ამავე დროს ახალი ტალანტების საბადოც არის.

ყველაგან, ჟენევის ტბიდან დაწყებული, ჩინეთის სადგურით დამთავრებული, სმენიათ ბექჰემის, როი კინის, ხუან სებასტიან ვერონის, რაიან გიგზის და დიეგო ფორლანის შესახებ. თუმცა, კიდევ არის ორი არანაკლებ საჭირო ფეხბურთელი – პოლ შოლსი და ნიკი ბატი, რომლებიც მოედნის ცენტრში ითამაშებენ, ბექჰემს კი მარჯვენა ფრთაზე გადასწევენ.

არც შოლსი და არც ბატი ახალი სახეები არ არიან. ორივე 27 წლის არის, ორივეს საკმაოდ მდიდარი გამოცდილება აქვს. თუმცა, ბატზე მეტად ყურადღების ცენტრში ყოველთვის შოლსი იდგა ხოლმე. "დიახ, თანაგუნდელების ფონზე, ხალხი ჩემზე ნაკლებად ლაპარაკობს", - აღიარებს თავად ბატიც.

ეს ასეც იყო ჩემპიონატამდე. ბოლო ათი წლის განმავლობაში კლუბმა ის მხოლოდ 230-ჯერ გამოიყენა. მას ოლდ ტრაფორდზე ყოველ სეზონში საშუალოდ ორი გოლი გააქვს, ანუ, არც ისე ბევრი, შინ კი კვირაში 25 ათასი ფუნტი სტერლინგი მიაქვს. ბატის ჩრდილში ყოფნის მიზეზი "მანჩესტერ იუნაიტედში" როი კინის ყოფნაა. თუმცა, თავმდაბალი ბატი ვერც ამ პრობლემას ხედავს. "როი კინი პირველი ფეხბურთელია და "მანჩესტერ იუნაიტედშიც" სიტუაცია აბსოლუტურად უპრობლემოა", - განმარტავს ის.

დღეს ბატზე უკვე მთელი ბრიტანეთი ლაპარაკობს. ფანებსაც, კომენტატორებსაც და მთლიანად მედიასაც მასზე აბოდებს, განსაკუთრებით კი არგენტინასთან მატჩის შემდეგ. თავად ვარსკვლავი სიტუაციას ასე ხსნის: "ნუ იტყვით, რომ დიდებას მხოლოდ ამ ერთი მატჩის გამო მივაღწიე. ახლა კარგი თამაშით საზოგადოება სულ უნდა ვკვებო", - გეგმავს ბატი.

ერთი სიტყვით, ფეხბურთელი ცდილობს, რომ სიტუაციას სენსაციურობის ელემენტები მოაცილოს და ამის დასამტკიცებლად მშობლების კომენტარსაც იშველიებს. როცა არგენტინასთან მატჩის შემდეგ მას შინ დაურეკავს (დიახ, ბატი ზუსტად ასეთი ტიპის ბიჭია - მშობლებს ყურადღებას და მზრუნველობას არ აკლებს), მშობლებს უთქვამთ: "შვილო, ყველაფერი ნორმალურად ჩაატარე".

მისტერ და მისის ბატების ეს ნათქვამი კიდევ ერთხელ ამტკიცებს იმას, რომ ინგლისის ნაკრების ნახევარმცველი ჩუმი ადამიანია, კამერის წინ კოპწიაობას, ურჩევნია, საქმის კეთებით გამოიჩინოს თავი.

თუმცა, რაც უნდა იყოს, მშობლების ეს შეფასება ძალზე მშრალია. ბატი ხომ უკვე ინგლისის ნაკრების გმირია. თანაგუნდელების მსგავსად, ისიც ხვდება, რომ დღეს გადამწყვეტი ბრძოლა ელის. "ჩვენ, ინგლისელები, ზოგჯერ საკუთარ შესაძლებლობებს სათანადოდ არ ვაფასებთ. ხშირად ვასკვნით, რომ სხვა ქვეყნები გვჯობია. ინგლისს ის გამორჩეული სტილურობა აკლია, რაც სამხრეთამერიკელებს აქვთ, მაგრამ ჩვენი უპირატესობა ჩვენი ეთიკაა და ესეც კმარა".

ბატი კი ერთი ტრივიალური შემთხვევის გამო დაადგა დიდების გზას: თავიდან გუნდის ხელმძღვანელობამ ბატს ლივერპულელი სტივენ ჯერარდი არჩია. თუმცა, ჯერარდი ტრავმის გამო ნაკრებში ვერ მოხვდა. შვედეთთან მარცხის შემდეგ კი სვენ გორან ერიქსონმა თავის ბიჭებს თვალი გადაავლო და არჩევანი სწორედ ნიკი ბატზე შეაჩერა – არგენტინის წინააღმდეგ მატჩში მას შანსი მისცა.

"ამაზე უკეთ ინგლისისთვის არასდროს მითამაშია", - აღიარებს ბატი. ჩემი აზრით, მას იქვე შეეძლო დაემატებინა, რომ ასე კარგად, მთელი საერთაშორისო კარიერის განმავლობაში, ინგლისის ნაკრების 95 პროცენტს არ უთამაშია.

"თავდაჯერებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. თუ საკუთარ ძალებში მე თვითონ არ ვიქნები დარწუნებული არც სხვა ირწმუნებს", - ასკვნის ბატი, - "ვიცი, რომ უნარიანი ვარ და იმედია, ამას ჩემი თამაშით ვამტკიცებ კიდეც".

ერთი სიტყვით, ბრაზილიელებთან თამაში ბატს სწორედ ეს თვითრწმენა სჭირდება. "ჩვენ ბრაზილიის ნაკრების არ გვეშინია. გვესმის, ვის წინააღმდეგაც ვთამაშობთ და, მთავარია, მათი ფორვარდების შეჩერება შევძლოთ. უნდა გამოვიყენოთ ის მომენტი, როცა ბრაზილიელები მოდუნდებიან და სწორედ მაშინ ავფეთქდეთ. ბრაზილია საფეხბურთო სამყაროში ერთ-ერთი უდიდესი სახელია, მაგრამ მათი დამარცხების შანსი მაინც გვაქვს", - ამ სიტყვებით ემზადება ბატი დღევანდელი თამაშისთვის.

# „ყველაფერი ლოგიკურია"

## სიომა ბარქაია, დემიკო ლოლაძე და გურამ დურგლიშვილი მსოფლიოს ჩემპიონატს აანალიზებენ



სიომა ბარქაია

ალეკო კარტაშიანის ფოტო

**გუშინ, გაზეთ "24 საათის" საპრესკონფერენციო დარბაზმა ლეგენდარულ ქართველ ფეხბურთელს სიომა ბარქაიას, ქართული ფეხბურთის მემატიანეს დემიკო ლოლაძეს და საქართველოს მინი-ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს გურამ დურგლიშვილს უმასპინძლა.**

**ჩვენი სტუმრები წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონატზე, მონაწილე გუნდებზე, მსაჯებზე და შესაძლო ფინალისტებზე საუბრობენ:**

*24 საათი:* წლევანდელი ჩემპიონატი ფავორიტების მარცხით გამოირჩევა.

*სიომა ბარქაია:* "რას ნიშნავს ფავორიტი? თუ ვერ იგებ, ფავორიტიც არ ყოფილხარ. ტრაპატონი ამბობდა, რომ იტალია მსოფლიო ჩემპიონი გახდებოდა, ტოტი კი ტურნირის საუკეთესო მოთამაშის წოდების მიღებას აპირებდა. კორეასთან მატჩმა დაგვანახა, რომ თვით ასეთი უმაღლესი დონის მწვრთნელები და ფეხბურთელები ცოტა მოკრძალებულნი და თავშეკავებულნი უნდა იყვნენ. კორეელებმა იტალიას დამსახურებულად მოუგეს, მათ ამ მატჩში თავისი მებრძოლი სულითა და შემართებით მიაღწიეს გამარჯვებას."

*24 საათი:* არგენტინაზე რას იტყვით?

*სიომა ბარქაია:* არგენტინის ნაკრები მე პირადად საერთოდ არ მინახავს.

*გურამ დურგლიშვილი:* ეს საერთოდ გაუგებარია. ქვეყანა რომელსაც ჰყავს ისეთი მწვრთნელები როგორებიც არიან მენოტი, ბილარდო, კუპერი და იმდენი მაღალი კლასის ფეხბურთელი, რომ 4 თანაბარი სიძლიერის გუნდის დააკომპლექტება შეუძლია, ჯგუფიდან ვერ გადის. ამ წარუმატებლობას მწვრთნელს ვაბრალებ.

ან კიდევ საფრანგეთის ნაკრები ავიღოთ, ეს ხომ ...

*დემიკო ლოლაძე:* ხომ არის, რომ ადამიანს ერთგვარი წინათგრძნობა აქვს. საფრანგეთზე რატომღაც გული მიგრძნობდა, რომ ვერ მოიგებდა. არა ის, რომ სენეგალი გაიმარჯვებდა, არამედ ის, რომ საფრანგეთი წააგებდა. სამსახურშიც კი დავდე სანაძლეო და მართალი აღმოვჩნდი. მერე მეუბნებოდნენ ტოტალიზატორზე მაინც გეთამაშაო (იცინის). საფრანგეთის მარცხს მოსალოდნელი იყო. ამ გუნდმა ამოწურა თავისი შესაძლებლობა, მათ მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატი მოიგეს. წელს კი იგივე შემადგენლობით გაემგზავრნენ ტურნირზე, შემადგენლობა კი 4 წლით დაბერდა. თუმცა სენეგალმა დაგვანახა, რომ საფრანგეთთან მოგება არა მარტო ფრანგების ბრალი, არამედ თვით აფრიკელების დამსახურებაც იყო, სენეგალის ნაკრები ძალიან კარგი, ძლიერი გუნდია.

*24 საათი:* ბევრი უკმაყოფილოა აზიური გუნდების წარმატების გამო. კარგია თუ არა ეს თანამედროვე ფეხბურთისათვის?

**სიომა ბარქაია: "თუ ვერ იგებ, ფავორიტიც არ ყოფილხარ"**

*დემიკო ლოლაძე:* შესანიშნავია, როგორ შეიძლება აქ ორი აზრი იყოს. მაგრამ ფიფას დამსახურება აქ ნაკლებად არის. ბოლო დროს ბევრს საუბრობენ ტოტალიზატორების ჩარევაზე. ეს არაფერ შუაშია, ყველაფერი ლოგიკური იყო. თუმცა არგენტინის ასეთ მარცხს არ ველოდი, ეგ ვერ გამოვიცანი.

*გურამ დურგლიშვილი:* აზიელების ასეთ წარმატება მათ დისციპლინას და მოწესრიგებულობას ვაბრალებ. ვერავინ დამაჯერებს, რომ ეს გუნდები იგივე დონის ფეხბურთს თამაშობენ, როგორც ვთქვათ ინგლისელები, მაგრამ მათი ცხოვრების სტილისგან და დისციპლინისგან გამომდინარე წარმატება ლოგიკურია.

*სიომა ბარქაია:* გახსოვთ ალბათ, ფეხბურთელებში ადრე ასეთი გამოთქმა არსებობდა: "Порядок и дисциплина бют класс", ასეა ალბათ. იტალიი ნაკრებს 23-ვე ფეხბურთელი ვარსკვლავი ჰყავს. გახსოვთ ვინმეს თუნდაც ერთი კორეელის გვარი. მხოლოდ კლასი არ არის საკმარისი.

*დემიკო ლოლაძე:* კორეის ნაკრებმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მახდინა. ვერ ვიტყვი, რომ ამ გუნდის გულშემატკივარი ვარ, მაგრამ შთაბეჭდილება ნამდვილად დიდია, განსაკუთრებით იტალიასთან მატჩის შემდეგ.

სხვა გუნდებზე კი შემდეგს ვიტყოდი. ფრანგებმა მთლიანად უნდა შეცვალონ შემადგენლობა, მათ ახალი სისხლი სწირდებათ. რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ ფიგუს სიძლიერეზე, ამჟამინდელი პორტუგალიის ნაკრები ვერაფერს მიაღწევს, მათაც დიდი რეფორმები აქვთ ჩასატარებელი. იგივეს ვიტყვი იტალიაზეც და არგენტინაზეც

*24 საათი:* მსაჯებზე რას იტყვით?

*სიომა ბარქაია:* კორეის შემთხვევაში ეს სავსებით გასაგებია. ის, რომ მასპინძლებს ეხმარებიან, აღარ უნდა გაგვიკვირდეს. მეგონა იაპონელებსაც შეუწყობდნენ ხელს თურქების წინააღმდეგ, მაგრამ კოლინამ ძალიან სამართლიანად იმსაჯა იმ შეხვედრაში.

*დემიკო ლოლაძე:* წლევანდელი მსაჯობა საერთოდ ცალკე საუბრის თემაა. იმ დღეს 1966 წლის ჩემპიონატის ფინალურ მატჩს ვადევნებდი თვალს. იმ შეხვედრაში მსაჯის მიერ დაშვებული შეცდომაზე დღემდე ლაპარაკობენ, ახლა კი თითო თამაშში უამრავ ლიაფსუსს უშვებენ მსაჯები. შეცდომები ნამდვილად ძალიან ბევრია.

*სიომა ბარქაია:* განსაკუთრებით გვერდითა მსაჯები სცოდავენ.

*გურამ დურგლიშვილი:* ტოტალიზატორების გავლენაზე საუბარი ჩვენში ძალიან მოხშირდა. ამა თუ იმ მატჩის შედეგს ხშირად ტოტალიზატორის ჩარევას აბრალებენ. არა მგონია, მხოლოდ ჩვენთან ფიქრობდნენ ასე. მგონია, რომ ასეთი აზრი საზღვარგარეთაც არის. მსაჯების შეცდომებსაც ბევრი ამას აბრალებს. ფეხბურთი ცოტა არ იყოს სხვა გზით წავიდა.

**დემიკო ლოლაძე: "ყველაფერი ლოგიკური იყო"**

*სიომა ბარქაია:* ალბათ ტოტალიზატორებმაც იქონიეს თავისი უარყოფითი გავლენა დღევანდელ ფეხბურთზე.

გაგრძელება B2 გვერდზე

ანონსი

# უდიდესი მოვლენის მოლოდინში

## ბრაზილია - ინგლისი

ᲡᲐᲕᲐᲠᲐᲣᲓᲝ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲔᲑᲘ

**ბრაზილია:** *მარკოსი, როკეჟუნიორი, ლუსიო, ედმილსონი, რობერტო კარლოსი, კაფუ, ჟილბერტუ სილვა, ჟუნინიო, რონალდინიო, რივალდო, რონალდო*

**ინგლისი:** *სიმენი, მილსი, ფერდინანდი, კოული, კემპბელი, ბექჰემი, ბატი, სქოულზი, სინკლერი, ოუენი, ჰესკი*

ნაპოლეონის ეს სიტყვები, რომლებიც იმპერატორმა ლაიფციგის ბრძოლის წინ წარმოთქვა, ინგლის-ბრაზილიის მეოთხედფინალური მატჩის ანონსისთვისაც გამოდგება. წმინდა სატურნირო თვალსაზრისის გარდა, ეს შეხვედრა სხვა რამეებითაცაა დამაინტრიგებელი. ეს არის სამხრეთამერიკული და ევროპული ფეხბურთის, საუკეთესო თავდასხმისა და საუკეთესო დაცვის, ინდივიდუალისტებისა და გუნდის დაპირისპირება.

ბრაზილიის ნაკრები ერთადერთი გუნდია ტურნირზე, რომელმაც ყველა მატჩი მოიგო, თანაც, ძირითად დროში. მან ადვილად დაიბრუნა ტურნირის უმთავრესი ფავორიტის სტატუსი, თუმცა, ეს შემფასებელთა დამსახურება უფროა, ვიდრე თავად ბრაზილიელებისა. თუ შედეგების მიხედვით ვიმსჯელებთ, ბრაზილიელებს, მართლაც, ვერავინ უნდა შეუშალოს ხელი, მაგრამ, მათი თამაშის შემხედვარეს, სხვა აზრიც გიტრიალებს თავში. ეჭვიც კი შეიძლება შეგეპაროს: მართლა 2002 წელია თუ 1970. თავდამსხმელთა ნაკლებობას ისინი არასოდეს განიცდიდნენ, მაგრამ სკოლარის გუნდის შეტევა იმავე წუთს ცხრება, როგორც კი ევროპულ დაცვას წააწყდება. თურქებთან და ბელგიელებთან მატჩმა ნათლად წარმოაჩინა სამხრეთამერიკელთა ხარვეზები, რომლებთან შეგუებაც, გულშემატკივრებისგან განსხვავებით, სპეციალისტებს გაცილებით უჭირთ.

"175 მილიონი ბრაზილიელი მწვრთნელი", როგორც ერთხელ კარლოს ალბერტო პარეირამ თქვა, ფრიად უკმაყოფილო იყო სკოლარის გადაწყვეტილებით, მუნდიალზე არ წაეყვანა კაშკაშა ვარსკვლავი ფორვარდები. მისი გადაწყვეტილება ევროპაშიც უკვირდათ. ამას ემერსონის ტრავმაც დაემატა, არადა, დღევანდელ ნაკრებს სწორედ ემერსონის დარი ფიგურა აკლია ყველაზე მეტად. ცალკეულ ფიგურათა თამაში, მართლაც, საამო საცქერია, მაგრამ ბრაზილიელებს, უბრალოდ, ჯერ არ ჰყოლიათ იმ დონის მოწინააღმდეგე, რომელიც მათ მიახვედრებდა ჩემპიონატის მთავარ არსს – ეს გუნდების შეჯიბრებაა და არა ცალკეული ვარსკვლავებისა.


REUTERS


REUTERS

ინგლისელებმა პირველი ორი ეტაპი ცოტა სხვაგვარად – გარეგნული ეფექტების გარეშე გადალახეს. სვენ გორან ერიქსონმა თავისი გუნდი სხვათაგან ინგლისური რაციონალიზმით გამოარჩია, დაცვა კი ასეთი საიმედო არასოდეს ყოფილა. ერთადერთი გაშვებული გოლი, ისეთ მეტოქეებთან ჭიდილში, როგორებიც არიან არგენტინა, შვედეთი, ნიგერია და დანია, ამის ნათელი დადასტურებაა. ცენტრალური მცველების ტანდემი ფერდინანდ-კემპბელის შემადგენლობით საუკეთესოა თავის ამპლუაში, ისევე, როგორც რივალდო-რონალდოს დუეტი თავდასხმაში.

უნივერსალური ახსნა ფავორიტთა კრახისა, თითქოს ისინი გადატვირთული კალენდრის გამო გამოეთიშნენ ასპარეზობას, ინგლისის ნაკრებსაც ეხება, თუმცა, წლევანდელ მუნდიალზე ინგლისელებს დაღლილობა ნაკლებად ეტყობათ. გადაღლილი ფეხბურთელები ვერ მოახერხებდნენ იმ ჯგუფიდან გასვლას, რომლიდანაც ინგლისელები გავიდნენ, იმ დროს, როცა ბურთის ფლობის მაჩვენებელი დანიელებს თითქმის ორჯერ უკეთესი ჰქონდათ. ისიც აღსანიშნავია, თუ როგორ გადაკეთეს ინგლისელებმა ფლანგები, არადა, დანიელთა კოზირი სწორედ ფლანგებიდან შეტევა იყო. დღევანდელ მატჩში მთავარი მოვლენები, ალბათ, ფლანგებზე განვითარდება. ბექჰემის წინააღმდეგ რობერტო კარლოსი ითამაშებს. არც რონალდო და რივალდო ამბობენ ხოლმე უარს ფლანგებიდან შეტევაზე, ამას დაუმატეთ ეშლი კოული, დენი მილსი და კაფუ და, თავადაც დარწმუნდებით, მთავარი მოვლენები სად დატრიალდება.

საოცარია, მაგრამ ინგლისს ცოტა ვინმე თუ მიიჩნევს ფავორიტად, რაც, ერიქსონის თქმით, ინგლისელთა წისქვილზე ასხამს წყალს. მეორე ნომრის როლი, ამ შემთხვევაში, შვედს იმ ერთ-ერთ ფაქტორად მიაჩნია, რომელიც მეტოქის დამარცხებას შეუწყობს ხელს, თანაც, ძირითად დროში და არავითარ შემთხვევაში - პენალტების სერიაში. 1990, 1996 და 1998 წლებში განცდილი ფიასკო დიდხანს ემახსოვრებათ ინგლისელებს.

# რუბიკონის გადალახვა გერმანულად

## გერმანია - აშშ

ᲡᲐᲕᲐᲠᲐᲣᲓᲝ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲔᲑᲘ

**გერმანია:** *კანი, ფრინგსი, ლინკე, მეტცელდერი, ციგე, შნაიდერი, ჰამანი, რამელოვი, ნოივილი, კლოზე*

**აშშ:** *ფრიდელი, ჰეიდუკი, მასტროენი, პოუპი, სანე, ბისლი, ობრაიენი, რეინა, მატისი, დონოვანი, მაკბრაიდი*

როცა აზიური მუნდიალის უდავო ფავორიტები – არგენტინა, საფრანგეთი, ბრაზილია თუ იტალია, ჩემპიონატზე დიდი ხმაურითა და ამბიციებით მიეგზავრებოდნენ, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი, დღეისთვის კი, ცოტა არ იყოს, დეგრადირებული გერმანიის ნაკრები მოკრძალებულად ემზადებოდა მეოთხე ტიტულის მოსაპოვებლად. გერმანელები ხმამაღალი განცხადებებისგან თავს იკავებდნენ და მხოლოდ იმას ამბობდნენ, რომ მუნდიალზე თავს არ შეირცხვენდნენ.

ასეც მოხდა. სამი ფავორიტი ნაადრევად გამოაკლდა მუნდიალს, გერმანელები კი, რომელთა წარმატებისა არავის სჯეროდა, უპრობლემოდ მივიდნენ მეოთხედფინალმდე. აი, აქ კი ბუნდესნაკრებს უკვე სერიოზული გამოცდა ელის. 1990 წლის იტალიის მსოფლიო ჩემპიონატის მერე, როცა ფრანც ბეკენბაუერის, იურგენ კლინსმანის, ლოტარ მატეუსისა და რუდი ფიოლერის გუნდმა ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, გერმანიის ნაკრები მეოთხედფინალს აღარ გასცილებია. 1994 წელს გერმანელები მეოთხედფინალში ბულგარელებთან დამარცხდნენ, 1998-ში კი მათ ხორვატებთან წააგეს. მეოთხედფინალი და არც მაინცდამაინც ძლიერი გუნდები გერმანელთათვის იმ ბარიერად იქცნენ, რომელთა გადალახვაც ბუნდესნაკრებმა აქამდე ვერაფრით მოახერხა. დაირღვევა კი ეს უსიამოვნო ტრადიცია ოცდამეერთე საუკუნის პირველ მუნდიალზე?

ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნულ ნაკრებს აქამდე არასოდეს ჰქონია მუნდიალის ნახევარფინალამდე მიღწევის ასეთი შესანიშნავი შანსი. ოთხი წლის წინათ საფრანგეთში ამერიკელებმა საშინლად ითამაშეს და 32 გუნდს შორის ყველაზე უარესი შედეგი აჩვენეს. ამერიკის მაშინდელ ნაკრებს გერმანელებმა იოლად მოუგეს, ფიოლერის გუნდს იანკების ძლევა არც 2002 წელს გასჭირვებია, როცა გერმანელები და ამერიკელები ერთმანეთს ამხანაგურ მატჩში შეხვდნენ. მაგრამ ტესტ-მატჩი სხვაა და მუნდიალის მეოთხედფინალი კი - სხვა. ვერავინ იწინასწარმეტყველებს, რა მოხდება პარასკევს ულსანში - ამერიკელები მორიგ სენსაციას მოახდენენ, თუ გერმანელები დათარსულ მეოთხედფინალს გადალახავენ და მეათედ გავლენ ნახევარფინალში? ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, ფიოლერის კარგად აწყობილ გუნდს არ უნდა გაუჭირდეს ამერიკელების დაუბალანსებელი ნაკრების დაჯაბნა, მაგრამ ფეხბურთი რომ ლოგიკას ძნელად ემორჩილება?


REUTERS



REUTERS

გერმანელებისგან განსხვავებით, ამერიკელები თავისუფალი არიან ყოველგვარი ფსიქოლოგიური ზეწოლისგან. სამშობლოში მათ არავინ გაკიცხავს გერმანელებთან წაგებისთვის. ამერიკელთა პროგრამა მინიმუმი უკვე შესრულებულია. "ჩვენ თუ წავაგებთ, შინ მაინც კარგი განწყობით წავალთ. არა მგონია, გერმანელებიც ასევე კარგ გუნებაზე გაემგზავრონ სამშობლოში," - ირონიულად შენიშნავს ამერიკელთა თავკაცი ბრიუს არენა. რას ერჩი, მართალია.

გერმანიის ნაკრებს მიმდინარე მუნდიალზე ჯერ არ წაუგია. მათ თორმეტი გოლი გაიტანეს და მხოლოდ ერთი გაუშვეს. ეს მაჩვენებელი კი იმაზე მეტყველებს, რომ ბუნდესნაკრებს კარგი მეკარე და დაცვა ჰყავს. ოლივერ კანის შესაძლებლობებში, ალბათ, არავის ეპარება ეჭვი. აი, რუდი ფიოლერის დაცვა კი, ცოტა არ იყოს, მოიკოჭლებს. ის ერთადერთი გოლი, რომელიც ბუნდესნაკრებმა ირალნდიასთან მატჩში გაუშვა, სწორედ დაცვის შეცდომა უფროა, ვიდრე მეკარის. ევროპელთა ნახევარდაცვას არაფერი დაეწუნება. მიხაელ ბალაკი, ბერტ შნაიდერი, კრისტიან ციგე და დიტმარ ჰამანი მოედნის ცენტრის სრული ბატონ-პატრონები არიან და თავდამსხმელებს აქტიურად ამარაგებენ პასებით. გერმანელთა წინა ხაზი შთამბეჭდავად გამოიყურება. თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ ამ გუნდში მუნდიალის საუკეთესო ბომბარდირი მიროსლავ კლოზე თამაშობს, ყველაფერი ნათელი გახდება. კლოზეს ბომბარდირობაში ბრაზილიელი რონალდო ეცილება და, რა თქმა უნდა, ახალგაზრდა ფორვარდი ამერიკელებთან მატჩში აუცილებლად შეეცდება გოლის გატანას, რითაც თავის პირად შედეგსაც გააუმჯობესებს და გუნდსაც დაეხმარება გამარჯვების მოპოვებაში.

გერმანელები რა შემადგენლობითაც გავლენ მოედანზე, ყველასთვის მეტ-ნაკლებად ცხადია. ჯოვანი ტრაპატონისა და მარსელო ბიელსასგან განსხვავებით, რუდი ფიოლერს ასარჩევად ნამდვილად არა აქვს საქმე. მის განკარგულებაში ოცდასამი ვარსკვლავი არ არის და სწორედ ამიტომ ბუნდესნაკრებმა უკვე ოთხი ტური ჩაატარა თითქმის ერთი და იგივე შემადგენლობით. გერმანელებთან ყველაფერი რიგზეა. აი, ამერიკელები რა სტილს აირჩევენ, საკითხავი სწორედ ეს არის. როგორ ტაქტიკას გამოიყენებს ბრიუს არენა - კორეელებთან მატჩში შერჩეულ დაცვით სქემას მიანიჭებს უპირატესობას თუ პორტუგალიელებთან ნაჩვენებ შემტევ სტილს? ამას გავიგებთ პარასკევს, საღამოს, როცა კიდევ ერთი მსოფლიო ჩემპიონი შეეცდება ნახევარფინალში გაღწევას. ერთი კი ცხდია: თუ გერმანელებმა ვერც ამჯერად შეძლეს დაწყევლილი მეოთხედფინალის გადალახვა, სიურპრიზების მოყვარულთ დიდი შანსი ექნებათ, ფინალში სენეგალ-ამერიკის დაპირისპირება იხილონ.

# „ყველაფერი ლოგიკურია"

## სიომა ბარქაია, დემიკო ლოლაძე და გურამ დურგლიშვილი მსოფლიოს ჩემპიონატს აანალიზებენ

B1 გვერდიდან

*დემიკო ლოლაძე:* "Не поиман не вор" ხომ გაგიგიათ, არა მგონია სწორი იყოს ასე ხელმოსმით ყველაფერი ტოტალიზატორს დავაბრალოთ.

*24 საათი:* მეოდხედფინალურ მატჩებზე რას იტყვით?

*დემიკო ლოლაძე:* ვფიქრობ ინგლის-ბრაზილიის წყვილში გამარჯვებული უთუოდ ფინალში გავა. ამ მატჩის პროგნოზირება ძალიან ძნელია. ეს ორი ნაკრები ჩემი საყვარელი გუნდებია, პირველ რიგში ბრაზილიას ვგულშემატკივრობ, მაგრამ ვიცი, რომ თასის აღება ძალიან გაუჭირდება, ყველაფერი ხვალ გადაწყდება.

*სიომა ბარქაია:* მეც ბრაზილიის გულშემატკივარი ვარ. მაგრამ წლევანდელი ნაკრები, ალბათ, ჩამოუვარდება თავის წინამორბედებს. ადრე მათ 11-ვე ფეხბურთელი ვარსკვლავი ჰყავდათ, 11-ვე დიდ ფეხბურთს თამაშობდა. წელს კი ბრაზილიელებს ფაქტობრივად 3 ფეხბურთელი ჰყავთ: რონალდო, რივალდო და რობერტო კარლოსი. სხვა დანარჩენი საშუალო დონის მოთამაშეები არიან.

*გურამ დურგლიშვილი:* ვფიქრობ ბრაზილიის ნაკრებში უდიდესი პოტენციალი დევს. ეს ბელგიასთან მატჩმაც დამანახა. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ როცა უნდათ მაშინ მოუმატებან და გაიტანენ გოლს. ბელგიის ნაკრების წინააღმდეგ თითქოსდა გაუჭირდათ, მაგრამ მეორე ტაიმში ბრაზილიელებმა 2 გოლი გაიტანეს და თამაში "გააკეთეს".

*სიომა ბარქაია:* ინგლისი ჯერჯერობით ერთადერთი ნაკრებია, რომელშიც ვარსკვლავებთან კარგად შერწყმული გუნდი დავინახე. ეს არის შეკრული გუნდი, პლიუს მაღალი დონის ვარსკვლავები. გურამმა ბრძანა, რომ ბრაზილიას როცა უნდა, მაშინ მოუმატებს. მართალია, მაგრამ მოუმატებს ისევ ის 3 კაცი, რომლებიც მე ზემოდ დავასახელე. მოუმატებს რონალდო, რივალდო, ისინი იგებენ მატჩებს, დანარჩენი კი იგივე თამაშს განაგრძობს. გუნდი არ ჩანს.

*24 საათი:* ვინ იქნება ბრაზილიის ან ინგლისის სავარაუდო მეტოქე ფინალში?

*გურამ დურგლიშვილი*: ვფიქრობ გერმანია, მათი მენტალიტეტიდან გამომდინარე. მიუხედავად იმისა, რომ უმაღლესი დონის გუნდი ნამდვილად არ არის.

*დემიკო ლოლაძე:* ესპანეთს უკვე მივეჩვიე. შევეგუე, რომ სადღაც აუცილებლად უნდა წაიბორძიკონ. ვფიქრობ, რომ კორეას აქვს ფინალში გასვლის შანსი. თუ მათ ეს შემართება და მებრძოლი სული შეინარჩუნეს რაც წინა მატჩებში გამოამჟღავნეს, მაშინ უთუოდ ფინალში გავლენ, მსაჯების დახმარების გარეშეც.

*გურამ დურგლიშვილი:* ვფიქრობ, კორეელებს შესწევთ უნარი, რომ ესპანეთის ბარიერი გადალახონ. თუმცა შესაძლოა პირიქითაც მოხდეს და ესპანელებმა იოლ გამარჯვებას მიაღწიონ.



*დემიკო ლოლაძე, სიომა ბარქაია და გურამ დურგლიშვილი*

ალეკო კარტაშიანის ფოტო

**გურამ დურგლიშვილი: "კორეელებს შესწევთ უნარი, ესპანეთს გასცდნენ"**

*სიომა ბარქაია:* არა მგონია კორეამ ფინალში გააღწიოს, და არც გერმანიის ნაკრებით ვარ აღფრთოვანებული. ეს არის საშუალო დონის, ნაცრისფერი გუნდი, თუმცა მათ მენტალიტეტს თუ გავითვალისწინებთ, ფინალში გასვლა გამორიცხული არ არის.

*დემიკო ლოლაძე:* ის კი ნათელია, რომ რაღაც დონეზე ყველამ ისწავლა ფეხბურთის თამაში. ირლანდიელებს ლიდერი აკლდათ – როი კინი, მაგრამ ეს იყო ძლიერი, მებრძოლი გუნდი. მართალია რუსებმა ვერ გაიბრწყინეს და ჩემის აზრით მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშს არ იმსახურებდნენ, მაგრამ იმ ახალგაზრდებმა, რომლებიც შეცვლაზე შემოჰყავდა რომანცევს, ჩემზე ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. საქართველოს ნაკრებს ძალიან გაუჭირდება საკვალიფიკაციო თამაშებში. არადა, ჩვენც ხომ გვინდა, ერთხელ მაინც მოვესწროთ ამ დღესასწაულს, ჩვენც ხომ გვინდა, რომ გავიხაროთ.

# რაულის ბედი გაურკვეველია



ესპანელ ექიმებს იმედი აქვთ, რომ რაულ გონსალეს ბლანკო მეოთხედფინალში შეძლებს მოედანზე გასვლას. ბოსე ანტონიო კამაჩოს კი გარისკვა არ სურს და აცხადებს, რომ თუ რაული 100 პროცენტით არ იქნება მზად, მოედანზე არ გაიყვანს.

"ეს უმნიშვნელოვანესი მატჩია, რომელშიც ყველა ფეხბურთელმა თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმი უნდა გამოავლინოს. თუ რაული ბოლომდე ჯანმრთელი არ იქნება, აზრი არა აქვს მის თამაშს. ჯობს, ამჯერად რაულის გარეშე ვცადოთ გამარჯვების მოპოვება. ნაკრებში კიდევ რამდენიმე კარგი ფორვარდია, რომელთაც ნამდვილად შეუძლიათ, მეტოქის მცველებს პრობლემები შეუქმნან. რაული კი ნახევარფინალში დაგვეხმარება", - განაცხადა კამაჩომ.

## ჰიდინკი სადოპინგო ბრალდებებს უპასუხებს

სამხრეთ კორეის ნაკრების შემყურე ბევრ სპეციალისტს არცთუ უსაფუძვლო ეჭვი გაუჩნდა კორეელების მიერ დოპინგის გამოყენების თაობაზე. ამ გუნდის უკლებლივ ყველა ფეხბურთელმა შესაშური ფიზიკური მომზადება გამოავლინა, თანაც, ისეთ მეტოქეებთან შეხვედრებში, რომლებიც თავად ითვლებიან მსოფლიო ფეხბურთის ლიდერებად ძალისმიერ დაპირისპირებასა და გამძლეობაში. მხედველობაში მაქვს პორტუგალიისა და იტალიის ნაკრები გუნდები. ერთი საგულისხმო ფაქტი: მერვედფინალური მატჩის მიწურულს, უფრო სწორად, მეორე დამატებითი ტაიმის ბოლოს, მომქანცველი 120-წუთიანი დაპირისპირებით გასავათებული იტალიელები ცდილობდნენ, დრო გაეყვანათ და პენალტების სერიამდე მიეღწიათ. ამ დროს კორეელები, თითქოს მატჩი ახალი დაწყებული ყოფილიყოს, არაბუნებრივად სწრაფად თამაშობდნენ, ბუფონის კარზე იერიში იერიშზე მიჰქონდათ და მიზანსაც მიაღწიეს.

ამიტომაც იყო, რომ გუშინ კორეელთა ჰოლანდიელ თავკაცს გუს ჰიდინგს მისი გუნდის მისამართით წამოსულ ბრალდებებზე პასუხის გაცემა მოუწია. მან უარყო ხმები იმის თაობაზე, რომ კორეელი ფეხბურთელები ორგანიზმისთვის საჭირო შინაგანი ენერგიის დამატებით რეზერვებს დოპინგის დახმარებით იღებენ.

"ჩემი ფეხბურთელები აკრძალულ პრეპარატებს არ იყენებენ. მათი საუკეთესო ფიზიკური მომზადება თავგანწირული შრომის შედეგია. ნებისმიერი, ვინც დოპინგის გამოყენებაში გვადანაშაულებს, ვალდებულია, წარმოადგინოს ამის დამამტკიცებელი საბუთი. მე პირველი მივესალმები ასეთ ადამიანს. წინააღმდეგ შემთხვევაში კომენტარს არ გავაკეთებ. მე ვამტკიცებ, რომ ჩემი მოთამაშეები ძალიან ბევრს მუშაობენ", - განაცხადა ჰიდინკმა.

მან ისიც აღნიშნა, რომ ეს ბრალდებები ყალბია, რისი დამტკიცებაც ძალზე იოლად შეუძლია. "მედიცინის დახმარებით სიჩქარის და გამძლეობის გაუმჯობესება შეუძლებელია", - აღნიშნა ჰოლანდიელმა მწვრთნელმა.

ჰიდინკის ლოგიკით, ცნობილ კანადელ სპრინტერს ბენ ჯონსონს სულ ტყუილად ჩამოართვეს ოლიმპიური ოქროს მედალი, მის ოთხწლიან დისკვალიფიკაციაზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

### მინი-ფეხბურთი

## ქართული „ოპერატიულობა"

საქართველოს ჩემპიონატი მინი-ფეხბურთში კონტროლის პალატისა და ბაღდათის "ბაასის" ფინალური სერიით დასრულდა. გამარჯვება და, შესაბამისად, ევროპის ჩემპიონთა თასზე მონაწილეობის უფლება კონტროლის პალატის გუნდმა მოიპოვა. ფედერაციის ხელმძღვანელობამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ საქართველოს ჩემპიონი ამ ტურნირზე გამგზავრებულიყო. ქართული გუნდების მთავარი პრობლემა ყოველთვის უსახსრობა იყო. ამჯერად მთავარი საფრთხე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ცალკეული ჩინოვნიკების მხრიდან შეიქმნა. მინი-ფეხბურთის ჩემპიონთა ლიგის ოფისიდან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში 7 მაისს მისული ფაქსი მინი-ფეხბურთის ასოციაციას მხოლოდ 12 ივნისს გადაეცა. და ეს მაშინ, როდესაც ჩემპიონთა ლიგაში განაცხადების შეტანის ვადა 3 ივნისს იწურებოდა. ფაქტი დამაფიქრებელია. არსებობს ორი ვარიანტი: ფედერაციამ შეგნებულად დააგვიანა ფაქსის ადრესატამდე მისვლა. და მეორე, რაც არანაკლებ საგანგაშოა: ფაქსის დაგვიანება დაუდევრობისა და არაპროფესიონალიზმის ბრალია. შეიქმნა კიდევ ერთი პრობლემა. საქართველოს მინი-ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის გურამ დურგლიშვილის სახელზე ასევე ფედერაციაში მისული ფაქსიც დაგვიანებით მიეწოდა ადრესატს. ნოემბერში იტალიის ქალაქ ფლორენციაში პირველად გაიმართება ევროპის ქვეყნების "ფუტ-ზალის" ფედერაციების საერთაშორისო კონფერენცია, რომელსაც დურგლიშვილიც უნდა დაესწროს. დღეს ყველაფერი პირადი კონტაქტებისა და ნაცნობობის წყალობით მოგვარდა. კონტროლის პალატის გუნდი თავად გაარკვევს ჩემპიონთა ლიგაში მონაწილეობის საკითხს, დურგლიშვილი კი ფლორენციაში გაემგზავრება.

## "მერცხალი" პირველ ლიგაში გადაფრინდა

თამაზ ხარაიშვილი

19 ივნისს ფოთის "ფაზისის" სტადიონზე შეკრებილი მრავალრიცხოვანი მაყურებელი თითქმის სამი საათის განმავლობაში მორიგეობით სკანდირებდა. ერთნი ვანის "სულორს" უჭერდნენ მხარს, მეორენი - ოზურგეთის "მერცხალს". სწორედ ეს ორი გუნდი ხვდებოდა ერთმანეთს ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონატის I ლიგის საგზურის მოსაპოვებლად. "სულორმა" და "მერცხალმა" წარმატებით დაამთავრეს გასული სეზონი საქართველოს ჩემპიონატის დასავლეთ რეგიონულ ლიგაში, თანაბარი ქულები დააგროვეს და მათ შორის დამატებითი მატჩი ნეიტრალურ სტადიონზე სწორედ ამიტომაც გახდა საჭირო.

მატჩის დასაწყისში ოზურგეთელთა კაპიტნის გოჩა წივწივაძის მიერ საჯარიმოდან გატანილ გოლს ვანელებმა მეორე ტაიმის დასაწყისში ასევე ზუსტი საჯარიმო დარტყმით უპასუხეს. ორივე გუნდის მცდელობის მიუხედავად, მატჩის ძირითადი დრო საყაიმო ანგარიშით - 1:1 დამთავრდა. უძლიერესი ვერც დამატებითმა დრომ გამოავლინა და საქმე პენალტებზე მიდგა. აქ კი შეხვედრის გმირად "მერცხალის" ახალგაზრდა გოლკიპერი კახა როხაძე მოგვევლინა. მან ვანელთა სამი პენალტი მოიგერია, როცა მის თანაგუნდელებს მშვიდად გაჰქონდათ პენალტები მეტოქის კარში. ოზურგეთის "მერცხალმა" პირველი ლიგის საგზური მოიპოვა.



### დაიჯესტი

#### მორენო თავს დამნაშავედ არ თვლის

მოულოდნელად ისე მოხდა, რომ მეოთხედფინალში, იტალიის ნაკრების ნაცვლად, კორეის გუნდი გავიდა. ეკვადორელი მსაჯი ბირონ მორენო უცებ გახდა სკანდალურად პოპულარული. იტალიელებმა მსაჯს ფიფაში უჩივლეს და იმას მიაღწიეს, რომ მორენოს მუნდიალი დაატოვებინეს. მართალია, თავად მორენოს მიაჩნია, რომ მუნდიალზე თავისი მოვალეობა პირნათლად შეასრულა და ფიფა მისი მსაჯობით კმაყოფილია, მაინც აშკარაა, რომ ეკვადორელის კარიერაზე იტალია-კორეის მატჩმა უარყოფითი გავლენა მოახდინა.

მორენომ თავი დამნაშავედ არ ცნო იტალიელთა წარუმატებლობაში და განაცხადა, რომ იტალიელებმა თავად ვერ შეძლეს კორეელთა დამარცხება. მორენო დარწმუნებულია, რომ ფიფა მას არ გაწირავს და 2006 წლის გერმანიის მუნდიალზეც მიიწვევს.

#### არგენტინელები მწვრთნელს არჩევენ

არგენტინის ნაკრების ამჟამინდელ თავკაცს მარსელო ბიელსას 30 ივნისს უმთავრდება კონტრაქტი, რომლის გაგრძელებასაც არგენტინის ფეხბურთის ფედერაცია აღარ აპირებს.

ევროპაში ბევრი მოელოდა, რომ "გაუჩოთა" ახალი ხელმძღვანელი მილანის "ინტერის" მწვრთნელი ექტორ რაულ კუპერი გახდებოდა, მაგრამ, როგორც ფედერაციის პრეზიდენტმა ხულიო გრონდონამ განაცხადა, ეროვნულ ნაკრებს, სავარაუდოდ, ხოსე პეკერმანი ჩაუდგება სათავეში.

ხოსე პეკერმანი ბიელსას ერთი-ერთი თანაშემწე იყო მუნდიალზე. ის ადრე ახალგაზრდულ გუნდს წრთვნიდა. სწორედ მან გაზარდა ისეთი ფეხბურთელები, როგორიც არიან ხუან პაბლო სორინი, პაბლო აიმარი, ხუან რომან რიკელმე, ხავიერ პედრო სავიოლა და ანდრეას დალესანდრო.

ხოსე პეკერმანს ჯერ ოფიციალური თანხმობა არ განუცხადებია, მაგრამ ფიქრობენ, რომ ნაკრების ხელმძღვანელი სწორედ ის გახდება და არა კუპერი, რამონ დიასი ან კარლოს ბიანკი.

#### რიოს რონალდოსთან შეხვედრა უხარია

მთელი საფეხბურთო სამყარო მოუთმენლად ელის ინგლის-ბრაზილიის მეოთხედფიანლურ მატჩს, რომელიც პარასკევს შიძუკაში გაიმართება.

ფეხბურთის მოყვარულები და სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ სწორედ ამ მატჩში გამარჯვებული იბრძოლებს ჩემპიონის ტიტულისთვის.

ინგლისელი ფეხბურთელები მოუთმენლად ელიან ბრაზილიელებთან შეხვედრას. ინგლისის ნაკრების ახლაგაზრდა მცველი რიო ფერდინანდი აცხადებს, წინასწარ ტკბება იმის წარმოდგენით, რომ მეოთხედფინალში რონალდოს წინააღმდეგ მოუწევს თამაში. "დარწმუნებული ვარ, რომ ბრაზილიელთა დამარცხება არ გაგვიჭირდება. ინგლისის ნაკრები დღითი დღე ძლიერდება. რონალდოს შეჩერება ჩვენთვის არავითარი პრობლემა არ იქნება. მე ისე მჭიდროდ ვეთამაშები, რომ ის ერთხელაც ვერ მოახერხებს ჩვენი კარისკენ დარტყმას", – დაბეჯითებით აცხადებს რიო ფერდინანდი.

#### ტრაპატონის არ ადანაშაულებენ

იტალიელებმა იმდენი მოახერხეს, რომ კორეასთან წაგება მთლიანად მსაჯს გადააბრალეს. იტალიურ პრესას ფრანგული "ეკიპიც" შეუერთდა. მან განაცხადა: იტალიის ნაკრები აუცილებლად მოიგებდა, მსაჯი მორენი რომ არ ყოფილიყო.

ყველაფერმა ამან ჯოვანი ტრაპატონის მდგომარეობა ცოტათი გამოასწორა. მართალია, იტალიაში ფიქრობენ, რომ "ტრაპი" უნდა გადადგეს და უკვე მის შემცვლელს ეძებენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იტალიის ფეხბურთის ფედერაცია მიიჩნევს, რომ კორეასთან განცდილ მარცხში ტრაპატონი დამნაშავე არ არის. ფედერაციის პრეზიდენტმა ფრანკო კარარომ ჯერ კიდევ იტალიაში დაბრუნებამდე დააფიქსირა, რომ ტრაპატონი განტევების ვაცად არ იქცეოდა. "მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი ასე სევდიანად დამთავრდა, მე მაინც მინდა, მადლობა გადაგიხადოთ გაწეული მუშაობისთვის. ეს მარცხი თქვენი ბრალი არ არის", - უთხრა კარერომ "სკუადრა აძურას" უიღბლო თავკაცს.

#### კოლინა სიფრთხილეს იჩენს

რა თქმა უნდა, ყველას აინტერესებს, რა აზრისაა ცნობილი იტალიელი რეფერი პიერ ლუიჯი კოლინა ბირონ მორენოსთან დაკავშირებულ სკანდალზე და იმ შეცდომებზე, რომლთა გამოც "სკუადრა აძურა" მუნდიალს დაემშვიდობა.

ფიფას ერთ-ერთი საუკეთესო მსაჯი ფრთხილი და თავშეკავებული აღმოჩნდა. კოლინამ განაცხადა, რომ არბიტრის შეცდომებზე ვერაფერს იტყვის, რადგან თამაში არ უნახავს. მატჩის დროს ის ავტობუსით სენდაიდან ჩიბაში მიემგზავრებოდა და არ იცის, რა მოხდა იტალია-კორეის მატჩში.

#### აპლოდისმენტები "სკუადრა აძურას"

და კიდევ ერთხელ ბედკრული იტალიელები – გუშინ, შუადღისას, დამარცხებული "სკუადრა აძურა" სამშობლოში გაემგზავრა. ინჩხონის აეროპორტში იტალიელთა გასაცილებლად უამრავი კორეელი ფანი მივიდა. კორეელი გულშემატკივრები ფეხბურთელებს ტაშით და ოვაციით შეხვდნენ. ყველაზე გულთბილად ფანებმა ალექს დელ პიერო, ალესანდრო ნესტა და ფრანჩესკო ტოტი მიიღეს.

კორეაში უკვე გავრცელდა აზრი, რომ იტალიელებს მსაჯმა წააგებინა და, რომ არა მორენო, კორეის ნაკრები მეოთხედფინალში ვერ გავიდოდა. კორეულ გაზეთ "კორეა ტაიმსში" იტალიელთა დასაცავად სტატიაც კი დაიბეჭდა, რომელშიც აღნიშნულია, რომ მორენო უსამართლოდ მოიქცა, როცა ტომაზის გოლი არ ჩათვალა.

### ახალგაზრდული თამაშები

#### ემზარ ზენაიშვილი: "დიდი მადლობა მოსკოვს"

მოსკოვში მიმდინარე გრანდიოზულ ახალგაზრდულ თამაშებს საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილიც ესწრება.

"დიდი მადლობა მოსკოვს და ქალაქის მერიას. თამაშები საოცრად მაღალ დონეზეა ორგანიზებული. ყველა ტურნირი დაძაბულად და სამართლიანი თამაშის პრინციპის დაცვით მიმდინარეობს. საქართველოს სპორტსმენები კარგად გამოდიან, რაც ჩემთვის ორმაგად სასიამოვნოა", - ზენაიშვილის ეს სიტყვები ფართოდ გააშუქა რუსულმა პრესამ.

#### ყავლაშვილის პირველი წარმატება

წარმატებული გამოდგა თინათინ ყავლაშვილის სტარტი. ჩოგბურთელთა ტურნირზე საკმაოდ ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი. ყავლაშვილის პირველი მეტოქე რუსეთის წარმომადგენელი ეკატერინე კირიანოვა გამოდგა. ქართველმა ჩოგბურთელმა კარგად ითამაშა და ორივე სეტი ერთნაირი ანგარიშით (6:4, 6:4) მოიგო. "დაძაბული თამაში გამოდგა. მეტოქე ბევრს მოძრაობდა და პირველ სეტში, განსაკუთრებით მის მოწოდებაზე, ძალიან გამიჭირდა. საბედნიეროდ, გამიმართლა."

#### ქართული სიურპრიზი

საქართველოს ხელბურთელთა ნაკრები ძალიან ძლიერ, ბ ჯგუფში, მოსკოვის, უკრაინის, ლიტვის გუნდებთან ერთად მოხვდა. რუსეთის გუნდმა უკანასკნელ შეხვედრაში იოლად დაამარცხა ლიტვა და ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა. საქართველოს ნაკრებმა, რომელსაც ჯგუფის აუტსაიდერად თვლიდნენ, მეორე ადგილისთვის პირინციპულ შეხვედრაში სამი ბურთის სხვაობით დაამარცხა რუსეთის ცენტრალური ოლქის გუნდი. საინტერესოა ტურნირის მთავარი მსაჯის გენადი ოჩერტინის კომენტარი: "სასიამოვნო მოულოდნელობად იქცა საქართველოს ნაკრების თამაში. ნამდვილად არავის ეგონა, რომ ქართველები ჯგუფიდან გასვლას შეძლებდნენ. როგორც ირკვევა, ამ ქვეყანაში ხელბურთი სწორი გზით მიდის."

#### ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

ამ სახეობაში ყურადღების ცენტრში ქართველი, თუმცა, სამწუხაროდ, რუსეთის სახელით მოასპარეზე მოჭიდავეები მოექცნენ. ყველაზე პრესტიჟულ, 100 კილოგრამ წონით კატეგორიაში ოქროს მედალი რუსეთის სამხრეთ ოლქის ნაკრების წევრმა დავით კოლაძემ მოიპოვა. კოლაძეს მედალი გადასცა ოლიმპიური თამაშების სამგზის, ევროპის 12-გზის და მსოფლიოს 9-გზის ჩემპიონმა, ლეგენდარულმა ალექსანდრ კარელინმა. მოსკოვის ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეთა ნაკრების გუნდმა დიდ წარმატებას მიაღწია. ამ გუნდის მწვრთნელი კი ვიქტორ მამიაშვილი გახლავთ.

#### ქართველების ორი ოქრო

საინტერესო გამოდგა ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა 54 კილოგრამი წონითი კატეგორიის ტურნირი. კარგად იჭიდავა საქართველოს ნაკრების ლიდერმა ზურაბ ზურაბიშვილმა, რომელმაც ყველა მეტოქეს მოუგო და ფინალში რუსეთის ცენტრალური ოლქის მოჭიდავეს პაველ სმირნოვს შეხვდა. ქართველმა ქულებით მოიგო და ოქროს მედალი მოიპოვა. მესამე ადგილზე ყაზახეთის წარმომადგენელი ბაიახმეტოვი გავიდა. 50 კილოგრამ წონით კატეგორიაში ფინალში გავიდა ვოლგისპირეთის სახელით მოასპარეზე ქართველი გიორგი ფოფხაძე, რომელმაც ქულებით წააგო მოსკოველ ბარდიშევთან. ამავე სტილის 85 კილოგრამ წონით კატეგორიაში ჩემპიონის ტიტული და ოქროს მედალი მოიპოვა საქართველოს ნაკრების წევრმა ვლადიმერ გეგეშიძემ. მან ფინალში მოსკოველ რობერტ ოვანესიანს მოუგო.

#### ჩოგბურთი

საჩოგბურთო ტურნირის მესამე დღემ მეოთხედფინალისტების ვინაობა გაარკვია. მოსკოვის სახელით მოასპარეზე ქართველმა ანა ჩაკვეტაძემ იოლად დაამარცხა ლიტველი გაიანე ვანგე (6:0 და 6:1).

საინტერესო და დაძაბული გამოდგა ერთეულთა თანრიგის შეხვედრა ქართველ თათია მიქაძესა და უკრაინელ ვიქტორია ლიტოვჩენკოს შორის. ტურნირის ყველაზე პატარა მონაწილემ, 12 წლის თათიამ პირველი სეტი 6:2 მოიგო. გადამწყვეტი გამოდგა მეორე სეტი, სადაც ქართველმა ჩოგბურთელმა ტაი-ბრეიკით 7:5 გაიმარჯვა.

#### სამბისტთა ორი ვერცხლი

სამბისტთა ტურნირის 55 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში ვერცხლის მედალი მოიპოვა ქართველმა გელა სანიკიძემ. მან ღირსეულად ჩაატარა ფინალური შეხვედრა ურალელ მამაევთან და მხოლოდ მინიმალური სხვაობით დამარცხდა. ფინალში გავიდა 63 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოასპარეზე გიორგი მჭედლიშვილი, რომელმაც გადამწყვეტი შერკინება მოსკოველ არტიომოვთან დათმო.

### უიმბლდონის ამბები

#### ტრავმირებულთა რიცხვი იზრდება

უიმბლდონის ჩოგბურთელთა ტურნირი მსოფლიოს მესამე ნომრის, საფრანგეთის ღია პირველობის ორგზის ნახევარფინალისტისა და ავსტრალიის ღია პირველობის ფინალისტის გარეშე რჩება. ტრავმირებულთა სიას ტომი ჰაასი, მარსელო რიოსი და ალექს კორეჩა დაემატნენ. სამივე სპორტსმენმა ოფიციალური განცხადება გააკეთა. გერმანელი ჰაასი ფლორიდაში, ჰოსპიტალში მკურნალობს. კორეჩა ესპანეთშია და, როგორც გაირკვა, კანის დაავადება აქვს. რიოსს კი მაისის შემდეგ მუხლის ტრავმა აწუხებს. უიმბლდონის ორგანიზატორებს სერიოზული პრობლემები ექმნებათ. როგორც ცნობილია, ვერ ითამაშებენ გორან ივანიშევიჩი, პატრიკ რაფტერი, ესპანელი კოსტა. ბრაზილიელ კუერტენს კი ამ ცოტა ხნის წინათ გაუკეთეს ოპერაცია. უიმბლდონში ვერც 2001 წლის როლანგაროს ნახევარფინალისტი სებასტიან გროსჟანი მიიღებს მონაწილეობას. სერიოზული დანაკარგი აქვს ქალთა ტურნირსაც. 1999 წლის ჩემპიონის ლინდსეი დევენპორტისა და შვეიცარიელი მარტინა ჰინგისის სახით ტურნირმა ორი აშკარა ფავორიტი დაკარგა. ტრავმის გამო ვერ ითამაშებს გამოცდილი არანტა სანჩეს ვიკარიოც.

#### საპრიზო ფონდი ცნობილია

ტურნირის ორგანიზატორებმა საპრიზო ფონდი გამოაცხადეს. მთლიანად უიმბლდონის საპრიზო ფონდმა 8 მილიონ 825 ათას 320 ფუნტი შეადგინა. კაცთა ტურნირის ერთეულთა თანრიგის გამარჯვებული 525 ათას ფუნტის მიიღებს, რაც 25 ათასით მეტია შარშანდელთან შედარებით. ქალთა შორის ჩემპიონს კი 486 ათასი ფუნტი შეხვდება. ტურნირის თითოეული მონაწილე ყოველდღიურად 165 ფუნტს მიიღებს. ორგანიზატორები ახალგაზრდა ჩოგბურთელებს ფინანსურ დახმარებას უწევენ, რაც მათთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

#### უიმბლდონის ისტორიიდან

თანამედროვე ჩოგბურთელთა დონე გათანაბრდა. აქედან გამომდინარე, ხშირია ტაი-ბრეიკი, რომელიც ყოველთვის დაძაბული და დრამატულია. უიმბლდონის ისტორიაში ტერმინი "ტაი-ბრეიკი" პირველად 1980 წელს გამოჩნდა. მაშინ ფინალში ლეგენდარული ჯონ მაკინროი და ბიორნ ბორგი შეხვდნენ. ეს შეხვედრა, სწორედ ტაი-ბრეიკის წყალობით, სამუდამოდ შევიდა ჩოგბურთის ისტორიაში. ბორგი 24 წლის იყო და თავის მეხუთე ფინალს თამაშობდა, რომელთაგან ოთხი მოიგო. მაკინროის წარმატებად კი 1977 წლის ტურნირის ნახევარფინალი რჩებოდა. გადამწყვეტი შეხვედრა ბორგისთვის ცუდად დაიწყო. მაკინროიმ პირველი სეტი იოლად, 6:1 მოიგო. მეორე სეტში კი შვედი გარდაიქმნა და ისე ათამაშდა, რომ იმ ფინალს დღესაც იხსნებენ. სეტი ბორგის გამარჯვებით – 6:4 დასრულდა. მესამეში კვლავ მაკინროიმ გაიმარჯვა – 6:3. ბოლო ორი სეტი კი ტაი-ბრეიკით დასრულდა – 6:7, 8:6 და ჩემპიონი ბიორნ ბორგი გახდა. ტაი-ბრეიკის შემოღებამ გაამართლა.

# ვინ გახდება მსოფლიო ჩემპიონი კორეა-იაპონიაში?

2002
FIFA WORLD CUP
KOREA JAPAN

ვინ გაიმარჯვებს მეოთხედფინალში: ბრაზილია თუ ინგლისი, გერმანია თუ აშშ? როგორი ანგარიშით დასრულდება მეოთხედფინალების ძირითადი დრო?

**პასუხობენ თბილისელი გულშემატკივრები**

სოციოლოგიურმა სამსახურმა "დიამ" 19-20 ივნისს სპეციალურად გაზეთ "24 საათისათვის" ჩაატარა თბილსელი გულშემატკივრების სატელეფონო გამოკითხვა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 540-მა რესპოდენტმა.

ვინ გაიმარჯვებს მეოთხედფინალურ მატჩში ბრაზილია-ინგლისი?

**ბრაზილია-64%**

**ინგლისი-36 %**

### როგორ დასრულდება ბრაზილია-ინგლისის ძირითადი დრო?

| გამოკითხულთა | | |
|---|---|---|
| გამოკითხულთა 25 პროცენტი | ინგლისი 2 | ბრაზილია 1 |
| გამოკითხულთა 6 პროცენტი | ინგლისი 1 | ბრაზილია 0 |
| გამოკითხულთა 1 პროცენტი | ინგლისი 2 | ბრაზილია 0 |
| გამოკითხულთა 36 პროცენტი | ბრაზილია 2 | ინგლისი 1 |
| გამოკითხულთა 17 პროცენტი | ბრაზილია 1 | ინგლისი 0 |
| გამოკითხულთა 9 პროცენტი | ბრაზილია 2 | ინგლისი 0 |
| გამოკითხულთა 3 პროცენტი | ინგლისი 1 | ბრაზილია 1 |
| გამოკითხულთა 2 პროცენტი | ინგლისი 2 | ბრაზილია 2 |
| გამოკითხულთა 1 პროცენტი | ინგლისი 0 | ბრაზილია 0 |

### როგორ დასრულდება გერმანია-აშშ-ს ძირითადი დრო?

| გამოკითხულთა | | |
|---|---|---|
| გამოკითხულთა 26 პროცენტი | გერმანია 1 | აშშ 0 |
| გამოკითხულთა 25 პროცენტი | გერმანია 2 | აშშ 1 |
| გამოკითხულთა 18 პროცენტი | გერმანია 2 | აშშ 0 |
| გამოკითხულთა 8 პროცენტი | გერმანია 3 | აშშ 1 |
| გამოკითხულთა 10 პროცენტი | აშშ 2 | გერმანია 1 |
| გამოკითხულთა 5 პროცენტი | აშშ 1 | გერმანია 0 |
| გამოკითხულთა 3 პროცენტი | აშშ 2 | გერმანია 0 |
| გამოკითხულთა 5 პროცენტი | გერმანია 1 | აშშ 1 |

### ვინ გახდება ჩემპიონი?

| | |
|---|---|
| ბრაზილია | 51 % |
| ინგლისი | 20 % |
| ესპანეთი | 11 % |
| გერმანია | 10 % |
| კორეა | 3 % |
| სენეგალი | 3 % |
| თურქეთი | 1 % |
| აშშ | 1 % |

## დაიჯესტი

### ბრაზილიელ ვეტერანებს თავისი გუნდის არ სჯერათ

ბრაზილიელი ვეტერანები თავისი გუნდის მიმართ სკეპტიკურად არიან განწყობილი.

1970 წლის მსოფლიო ჩემპიონი ჟაირზინიო bbc-სთვის მიცემულ ინტერვიუში აცხადებს, რომ ფეხბურთის გამომგონებლები მშვიდად გავლენ ნახევარფინალში, თუ დისციპლინირებულ ფეხბურთს ითამაშებენ. იგივე აზრს გამოთქვამს 1982 წლის ბრაზილიის ნაკრების კაპიტანი სოკრატესი. მისი ვარაუდით, ინგლისი მოიგებს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მის შემადგენლობაში დევიდ ბექჰემი ირიცხება. “ბექჰემი ნამდვილი ლიდერია. მას თამაშის წაყვანა შეუძლია. ბრაზილიას კი ასეთი ფეხბურთელი არ ჰყავს. 1994 წელს ბრაზილიელთა ლიდერი დუნგა იყო. სწორედ მისმა თამაშმა განაპირობა ბრაზილიის გამარჯვება”, – ამბობს სოკრატესი.

### ტეტრაკამპეონები ცისფერი ფორმით ითამაშებენ

ფიფა-მ დაასახელა ფორმები, რომლითაც გუნდები მეოთხედფინალში ითამაშებენ. ბრაზილია, აშშ და სამხრეთ კორეა ჩაიცვამენ ფორმას, რომლითაც გასვლით მატჩებს ატარებენ. ინგლისელები ტეტრაკამპეონებთან შეხვედრაში ტრადიციული თეთრი მაისურებითა და მუქი ლურჯი ტრუსებით შეიმოსებიან, ბრაზილიელები კი - ცისფერი მაისურებით და თეთრი შორტებით. გერმანელებს, ჩვეულებრივ, თეთრი მაისურები და შავი ტრუსები ეცმევათ, ხოლო მათ მეტოქე ამერიკელებს – მუქი ლურჯი მაისურები და თეთრი ტრუსები. ესპანელები კორეას ტრადიციული წითელი მაისურებით და მუქი ლურჯი შორტებით დაუპირისპირდებიან, ხოლო აზიელები თეთრ მაისურებსა და წითელ შორტებს მოირგებენ. სენეგალი-თურქეთის შეხვედრაში ყველაფერი ჩვეულებრივ მოხდება. აფრიკელები თეთრ ფერებში გამოვლენ, თურქები კი - წითლებში.

### ნობი სტაილზი: „ინგლისი ჩემპიონი გახდება„

1966 წლის მსოფლიო ჩემპიონი ნობი სტაილზი მიიჩნევს, რომ ფეხბურთის გამომგონებელთა დღევანდელი თაობის ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონატის მოგება ხელეწიფება. “მათ ისეთივე გუნდური სულისკვეთება აქვთ და ისეთივე პატივისცემით ეპყრობიან თავიანთ მწვრთნელს, როგორც ჩვენ - დიდ ალფ რამსეის. “მანჩესტერ იუნაიტედის” ყოფილი ნახევარმცველი დარწმუნებულია თავის პროგნოზში. სტაილზი აცხადებს, რომ, როგორც 1966 წელს, ახლაც ფეხბურთელებს, რომლებიც ნაკრებში ბოლო მომენტში მოხვდნენ, გადამწყვეტი როლის შესრულება შეუძლიათ. “ჯეფრი ჰერსტი, ალან ბოლი და მარტინ პიტერსი მოვიდნენ არსაიდან. იგივე მოუვიდათ ნიკი ბატს, დენი მილზს და ტრევორ სინკლერს, რომლებმაც ტრავმირებული სტივენ ჯერარდი და გარი ნევილი შეცვალეს”, – ამბობს ინგლისელი.

## ტოტალიზატორი "ტოტო - 2000"

### ცოცხალი

ingl isi - brazil ja — 21/06 — 1130

| kodi | pozicia | Sedegebi | | |
|---|---|---|---|---|
| 501 | Itaimis Sedegi | 1<br>265 | X<br>160 | 2<br>235 |
| 502 | vin daiwyebs | 1<br>190 | | 2<br>190 |
| 503 | pirvel auts moawvdis | 1<br>190 | | 2<br>190 |
| 504 | pirvel kuTxurs moawvdis I taimSi | 1<br>180 | | 2<br>180 |
| 505 | pirvel kuTxurs moawvdis II taimSi | 1<br>180 | | 2<br>180 |
| 506 | pirveli moxvdeba TamaSgareSi | 1<br>190 | | 2<br>190 |
| 507 | pirveli dajarimdba | 1<br>190 | | 2<br>190 |
| 508 | karSi dartymebis raodenoba | 10da nak<br>180 | 11--12<br>300 | 13da meti<br>180 |
| 509 | metjer daartyams karSi | 1<br>180 | Tanabrad<br>300 | 2<br>180 |
| 510 | kuTxurebis raodenoba | 10da nak<br>180 | 11<br>350 | 12da meti<br>180 |
| 511 | met kuTxurs moawvdis | 1<br>180 | Tanabrad<br>350 | 2<br>180 |
| 512 | meti kuTxuri taimebSi | I taimi<br>190 | Tanabrad<br>350 | II taimi<br>170 |
| 513 | TamaSgare mdg.raodenoba | 5 da nak<br>195 | 6<br>350 | 7 da meti<br>165 |
| 514 | metjer moxvdeba TamaS.mdgom | 1<br>180 | Tanabrad<br>300 | 2<br>180 |
| 515 | jarimebis raodenoba | 35 da nak<br>185 | 36-37<br>350 | 38 da meti<br>175 |
| 516 | metjer dajarimdeba | 1<br>180 | Tanabrad<br>500 | 2<br>180 |
| 517 | I yviTels baraTs miiRebs | 1<br>180 | | 2<br>180 |
| 518 | met yviTels baraTs miiRebs | 1<br>180 | Tanabrad | 2<br>180 |
| 519 | yviTeli baraTebis raodenoba | 3 da nak<br>190 | 4<br>300 | 5 da meti<br>170 |
| 520 | wiTeli baraTi | ki<br>300 | | ara<br>115 |
| 521 | penali | ki<br>300 | | ara<br>115 |
| 522 | I Secvlas gaakeTebs | 1<br>180 | | 2<br>180 |
| 523 | I Secvla taimebSi | I taimi<br>250 | Sesvenebaze<br>220 | II taimi<br>170 |
| 524 | I gols gaitans | 1<br>190 | | 2<br>170 |
| 525 | vin gaitans | orive<br>160 | | erTerTi<br>190 |
| 526 | I taimSi gatanili golebi | 1da nak<br>115 | | 2da meti<br>200 |
| 527 | golebis raodenoba | 0-1<br>300 | 2-3<br>170 | 4-6<br>300 |
| 528 | meti goli taimebSi | I taimi<br>300 | Tanabrad<br>280 | II taimi<br>190 |
| 529 | I goli gava | 1-30wT.<br>175 | 31-90wT.<br>180 | ar gava<br>550 |

germania - aSS — 21/06 — 1630

| kodi | pozicia | Sedegebi | | |
|---|---|---|---|---|
| 531 | Itaimis Sedegi | 1<br>185 | X<br>170 | 2<br>305 |
| 532 | vin daiwyebs | 1<br>190 | | 2<br>190 |
| 533 | pirvel auts moawvdis | 1<br>190 | | 2<br>190 |
| 534 | pirvel kuTxurs moawvdis I taimSi | 1<br>165 | | 2<br>195 |
| 535 | pirvel kuTxurs moawvdis II taimSi | 1<br>165 | | 2<br>195 |
| 536 | pirveli moxvdeba TamaSgareSi | 1<br>190 | | 2<br>190 |
| 537 | pirveli dajarimdba | 1<br>190 | | 2<br>190 |
| 538 | karSi dartymebis raodenoba | 10da nak<br>180 | 11--12<br>300 | 13da meti<br>180 |
| 539 | metjer daartyams karSi | 1<br>140 | Tanabrad<br>300 | 2<br>220 |
| 540 | kuTxurebis raodenoba | 10da nak<br>180 | 11<br>350 | 12da meti<br>180 |
| 541 | met kuTxurs moawvdis | 1<br>150 | Tanabrad<br>350 | 2<br>210 |
| 542 | meti kuTxuri taimebSi | I taimi<br>190 | Tanabrad<br>350 | II taimi<br>170 |
| 543 | TamaSgare mdg.raodenoba | 5 da nak<br>195 | 6<br>350 | 7 da meti<br>165 |
| 544 | metjer moxvdeba TamaS.mdgom | 1<br>170 | Tanabrad<br>300 | 2<br>190 |
| 545 | jarimebis raodenoba | 35 da nak<br>185 | 36-37<br>350 | 38 da meti<br>175 |
| 546 | metjer dajarimdeba | 1<br>190 | Tanabrad<br>500 | 2<br>170 |
| 547 | I yviTels baraTs miiRebs | 1<br>185 | | 2<br>175 |
| 548 | met yviTels baraTs miiRebs | 1<br>195 | Tanabrad | 2<br>165 |
| 549 | yviTeli baraTebis raodenoba | 3 da nak<br>200 | 4<br>300 | 5 da meti<br>160 |
| 550 | wiTeli baraTi | ki<br>300 | | ara<br>115 |
| 551 | penali | ki<br>300 | | ara<br>115 |
| 552 | I Secvlas gaakeTebs | 1<br>180 | | 2<br>180 |
| 553 | I Secvla taimebSi | I taimi<br>250 | Sesvenebaze<br>220 | II taimi<br>170 |
| 554 | I gols gaitans | 1<br>160 | | 2<br>200 |
| 555 | vin gaitans | orive<br>165 | | erTerTi<br>185 |
| 556 | I taimSi gatanili golebi | 1da nak<br>115 | | 2da meti<br>200 |
| 557 | golebis raodenoba | 0-1<br>300 | 2-3<br>170 | 4-6<br>300 |
| 558 | meti goli taimebSi | I taimi<br>300 | Tanabrad<br>280 | II taimi<br>190 |
| 559 | I goli gava | 1-30wT.<br>175 | 31-90wT.<br>175 | ar gava<br>600 |

## ტოტალიზატორი "კოპა"

### ცოცხალი

| ბრაზილია - ინგლისი | | | | 11:30 |
|---|---|---|---|---|
| კოდი | ნომინაცია | 1 | X | 2 |
| 400 | ვინ დაიწყებს თამაშს | 1.90 | | 1.90 |
| 401 | 1 აუტი | 1.90 | | 1.90 |
| 402 | 1 კუთხური | 1.70 | | 1.80 |
| 403 | 1 შეცვლა | 1.80 | | 1.80 |
| 404 | 1 გოლი | 1.70 | | 1.80 |
| 405 | 1 გაფრთხილება | 1.75 | | 1.75 |
| 406 | კუთხურების რაოდენობა | 10და ნაკლ.- 2.00 | ზუსტად 11- 3.50 | 12და მეტი- 1.80 |
| 407 | ბარათების რაოდენობა | 4და ნაკლ.- 1.90 | ზუსტად 5- 3.00 | 6და მეტი- 1.90 |
| 408 | რომელ წუთზე გავა 1 გოლი | (1-30)- 1.80 | | (31-90)- 1.70 |
| 409 | გოლების რაოდენობა * | (0-1) 2.80 | (2-3) 1.80 | (4-6) 3.00 |
| 410 | ვინ გაიტანს * | ორივე 1.60 | | ერთ-ერთი 1.90 |
| 411 | რონალდო * | გაიტანს 2.10 | | ვერ გაიტანს 1.45 |
| 412 | ოუენი * | გაიტანს 2.20 | | ვერ გაიტანს 1.40 |

| გერმანია - ა.შ.შ. | | | | 16:30 |
|---|---|---|---|---|
| კოდი | ნომინაცია | 1 | X | 2 |
| 420 | ვინ დაიწყებს თამაშს | 1.90 | | 1.90 |
| 421 | 1 აუტი | 1.90 | | 1.90 |
| 422 | 1 კუთხური | 1.65 | | 1.85 |
| 423 | 1 შეცვლა | 1.80 | | 1.80 |
| 424 | 1 გოლი | 1.55 | | 1.95 |
| 425 | 1 გაფრთხილება | 1.75 | | 1.75 |
| 426 | კუთხურების რაოდენობა | 10და ნაკლ.- 1.90 | ზუსტად 11- 3.50 | 12და მეტი- 1.90 |
| 427 | ბარათების რაოდენობა | 4და ნაკლ.- 1.90 | ზუსტად 5- 3.00 | 6და მეტი- 1.90 |
| 428 | რომელ წუთზე გავა 1 გოლი | (1-30)- 1.75 | | (31-90)- 1.75 |
| 429 | გოლების რაოდენობა * | (0-1) 2.90 | (2-3) 1.80 | (4-6) 2.90 |
| 430 | ვინ გაიტანს * | ორივე 1.70 | | ერთ-ერთი 1.80 |
| 431 | კლოზე * | გაიტანს 2.10 | | ვერ გაიტანს 1.45 |

| ჯგუფური ცოცხალი 2 თამაშში | | | 21/06 | 11:30 |
|---|---|---|---|---|
| კოდი | ნომინაცია | 1 | X | 2 |
| 433 | კუთხურები 2 თამაშში | 21და ნაკლ.- 1.90 | ზუსტად 0- 0.00 | 23და მეტი- 1.90 |
| 434 | ბარათები 2 თამაშში | 9და ნაკლ.- 2.00 | ზუსტად 0- 0.00 | 11და მეტი- 1.80 |
| 435 | გოლები 2 თამაშში | 4და ნაკლ.- 1.75 | ზუსტად 0- 0.00 | 5და მეტი- 1.75 |

| ჯგუფური ცოცხალი 4 თამაშში | | | 21/06 | 11:30 |
|---|---|---|---|---|
| კოდი | ნომინაცია | 1 | X | 2 |
| 436 | კუთხურები 4 თამაშში | 41და ნაკლ.- 1.90 | ზუსტად 0- 0.00 | 43და მეტი- 1.90 |
| 437 | ბარათები 4 თამაშში | 20და ნაკლ.- 2.00 | ზუსტად 0- 0.00 | 22და მეტი- 1.80 |
| 438 | გოლები 4 თამაშში | 9და ნაკლ.- 1.80 | ზუსტად 0- 0.00 | 11და მეტი- 2.00 |

### მსოფლიო ჩემპიონატი

| კოდი | თარიღი | დრო | წყვილი | 1 | X | 2 | 1X | X2 | 12 | 2.5> | ბურთ | 2.5< |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 001 | 21-06-2002 | 11:30 | ბრაზილია-ინგლისი | 2.40 | 2.90 | 2.90 | 1.31 | 1.45 | 1.31 | 1.75 | 2.5 | 1.75 |
| 003 | 21-06-2002 | 16:30 | გერმანია-ა.შ.შ. | 1.75 | 3.00 | 4.50 | 1.11 | 1.80 | 1.26 | 1.70 | 2.5 | 1.80 |
| 005 | 22-06-2002 | 11:30 | ესპანეთი-კორეა | 2.00 | 2.90 | 3.60 | 1.18 | 1.61 | 1.29 | 1.75 | 2.5 | 1.75 |
| 007 | 22-06-2002 | 16:30 | თურქეთი-სენეგალი | 2.60 | 2.80 | 2.60 | 1.35 | 1.35 | 1.30 | 1.80 | 2.5 | 1.70 |

### ბომბარდირი

| კოდი | ფეხბურთელი | კოეფიციენტი |
|---|---|---|
| 1000 | რონალდო | 1.60 |
| 1001 | კლოზე | 2.80 |
| 1002 | რივალდო | 6.00 |
| 1003 | რაული | 12.00 |
| 1004 | მორიენტესი | 12.00 |
| 1005 | ოუენი | 50.00 |
| 1006 | დიოპი | 50.00 |
| | | |

გადაბმის გარეშე

### ჩემპიონი

| კოდი | ნაკრები | კოეფიციენტი |
|---|---|---|
| 1500 | ბრაზილია | 3.00 |
| 1501 | ესპანეთი | 4.00 |
| 1502 | ინგლისი | 4.00 |
| 1503 | გერმანია | 5.00 |
| 1504 | კორეა | 12.00 |
| 1505 | თურქეთი | 15.00 |
| 1506 | სენეგალი | 15.00 |
| 1507 | ა.შ.შ. | 20.00 |

გადაბმის გარეშე

**თუ ბომბარდირად დასახელდა რამდენიმე ფეხბურთელი კოეფიციენტი იყოფა ფეხბურთელების რაოდენობაზე**

# ტეფლონის დონის აღსასრული

## გარდაიცვალა ამერიკის მთავარი მაფიოზი

მელორ სტურუა
საკ. კორ. აშშ

*გაგრძელება. დასაწყისი იხ. "24 საათი", N17-18.*

ჯონ გოტის პანაშვიდი ჩატარდა ქვინსში, სამგლოვიარო სახლ "პაპავერო"-ში. ცერემონია გრძელდებოდა რამდენიმე საათი. მთელი მაფიოზური სამყაროს Who's Who გამოცხადდა ამ შენობაში, რათა პატივი მიეგოთ ჩვენგან უდროოდ წასული "ნათლიისათვის". ყვავილების მაღაზიების მეპატრონეებს საკუთარი ხელით მიჰქონდათ "პაპავერო"-ში გვირგვინები, უფრო სწორად, ხელოვნების ნიმუშები - ყვავილებისგან გაკეთებული ორმეტრიანი სიგარები (გარდაცვლილს უყვარდა კონტრაბანდული ჰავაიური კარგი სიგარა), მარტინის ბოკლები, ასევე ყვავილებისგან (გარდაცვლილს უყვარდა კარგი აპერიტივი დახვეწილი ტრაპეზის შემდეგ), ცხენების ყვავილოვანი ფიგურები (მას უყვარდა დიდ თანხებზე თამაში დოღის დროს) და სხვა ყვავილოვანი შედევრები - გოტის ცხოვრების დიდი გზის სხვადასხვა ეტაპის, გემოვნებისა და გატაცების გამომხატველი ქმნილებები.

პირველის ნახევარზე მოვიდა "თეთრი ყვავი" - გოტის ქალიშვილი ვიქტორია, ცნობილი ჟურნალისტი და მწერალი. მას თან ახლდა რამდენიმე სოლიდური ჯენტლმენი ძვირფას ორბორტიან კოსტუმებში; მასიური ქვედა ყბით, გულმოდგინედ გადავარცხნილი თმით და ფლორიდული ფერით ისინი, თითქოს კლონირებულნი, მამამისის ზუსტ ასლს წარმოადგენდნენ. არამაფიოზურ ცნობილ პირებს შორის გამოირჩეოდა ჩაკ ზიტო - "ჯოჯოხეთის ანგელოზების" ნიუ-ორკული ფილიალის პრეზიდენტი და ციხის შესახებ გადაღებული ტელესერიალ "ოზ"-ის გმირი.

სამგლოვიარო სახლის სამლოცველოში იყო ისეთივე სიჩუმე, როგორც კოსმოსში. გოტის ნეშტი განისვენებდა ამაღლებულ ადგილას, კათოლიკური წესის მიხედვით, დახურულ კუბოში. კუბოს წინ იდგა რიგი ძვირფასი სავარძლებისა გარდაცვლილის ოჯახის წევრებისა და მაფიოზური ოჯახების თავკაცებისათვის. კუბოს უკან მოლბერტზე დამაგრებული პორტრეტიდან იღიმებოდა გოტი. როგორც კი სამგლოვიარო პარტერის ყველა სავარძელი დაიკავეს, აბრეშუმის კოსტიუმში გამოწყობილი ათლეტური აღნაგობის ახალგაზრდა, ბრიოლინიანი გადავარცხნილი თმით, მიუახლოვდა რეპორტიორებს და ხმადაბლა, მუქარის ტონით უთხრა:

- ახლა დაიწყება პანაშვიდი მხოლოდ ოჯახის წევრებისა და ახლო მეგობრებისათვის. გთხოვთ, დატოვოთ სამლოცველო. გთხოვთ, გააკეთოთ ეს გარდაცვლილისადმი პატივისცემის ნიშნად.

რეპორტიორები საკუთარი სურვილის წინააღმდეგ დაემორჩილნენ, გარდაცვლილის მიმართ პატივისცემის ნიშნად. და, განსაკუთრებით, საკუთარი უსაფრთხოების მიმართ პატივისცემის ნიშნად...

"პაპავერო"-ს წინ შეგროვილი ბრბო ერთობოდა სახელების გამოცნობით Who's Who...

უკვე ბინდდებოდა, როდესაც გოტის დიდი ხნის ადვოკატი ბრუს კატლერი სამლოცველოდან ხალხთან გამოვიდა და თქვა:

- მისტერ გოტი ჩვენთან არის. ჩვენთან არის მისი სული. მას რომ შეეძლოს ახლა წარდგეს ჩემთან ერთად თქვენს წინაშე, ის აუცილებლად გეტყოდათ თქვენ ყველას: "ჰელოუ!" ახლა ის ამას აკეთებს ჩემი მეშვეობით: "ჰელოუ, მეგობრებო!"

განგსტერის ადვოკატი აბსოლუტურად მართალი იყო, როდესაც ამბობდა, რომ გოტის სული ჩვენთან არის. ეს სული უკვდავია. გოტის საქმე ცოცხლობს და იმარჯვებს იმის მიუხედავად, რომ თემიდამ ჩაამწყვდია იგი ციხეში. აქ ძალაუნებურად გახსენდება ძველთაძველი ანეკდოტი ხრწნად კაპიტალიზმზე მისი დამაგვირგვინებელი აკორდით: "სამაგიეროდ, რა სურნელია"...

რომ არ ყოფილიყო ჯონ ჯოზეფ გოტი, უპრიანი იქნებოდა მისი გამოგონება. კაცმა რომ თქვას, გამოიგონეს კიდევაც. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია: ეს, "ნათლიებიდან" ყველაზე უნიჭო ამერიკული მაფიის მთელი ისტორიის მანძილზე, იყო იმავდროულად ყველაზე პოპულარული. როგორც განგსტერი, იგი არაფრად ვარგოდა. გფბ-ს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის ნიუ-იორკის განყოფილების ყოფილი დირექტორი რონალდ გოლდსტოკი ამბობს: "როგორც ბოსი, უარესი წარმოუდგენელია, მისი წყალობით გამბინოს ოჯახი დაიშალა. მაგრამ პარადოქსის ახსნა მდგომარეობს იმაში, რომ ცხოვრებაში უვარგისი განგსტერი იყო დიდი მსახიობი, და იმავე ცხოვრებაში თამაშობდა განგსტერის როლს! მას სავსებით შეეძლო სასიკვდილო სარეცელზე გაემეორებინა რომაელი იმპერატორის ნერონის მიერ თვითმკვლელობის წინ ნათქვამი სიტყვები: "რა მსახიობი კვდება ჩემში!" იმ პოლიციელის სიტყვებით, რომელიც გოტის დიდხანს დასდევდა: "გოტი თავის პერსონას "კოზა ნოსტრა"-ზე მაღლა აყენებდა. ის დარწმუნებული იყო, რომ ვერც ერთი სასამართლო მას ვერ გაასამართლებდა, რამეთუ ის იყო ჯონ გოტი, იმპერატორი".

გოტი, თითქმის - ღმერთი, მართლაც გამოიგონეს თვითონ ამერიკელებმა, თითქოს ინვესტირება მოახდინეს მასში თავიანთი ფანტაზიების, ილუზიების და წარმოდგენებისა იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს იდეალური განგსტერი, მაფიის იდეალური "ნათლია". ლიტერატურამ და კინომ შექმნეს ეს კრებითი სახე და გოტიც ძერწავდა თავის თავს ამ სახის მიხედვით - მიმზიდველ თავზეხელაღებულს, რომელიც შეიძლება ერთდროულად გიყვარდეს (შენი სიამოვნებისთვის) და ვერ იტანდე (სულის გადასარჩენად), აღტაცებული იყო (სულის სიღრმეში) და შეაჩვენებდე (მისსავე ზედაპირზე).

გოტი იყო შეუდარებელი. ის გამოიყურებოდა, ლაპარაკობდა, იქცეოდა, როგორც ჰოლივუდის განგსტერი. ის იყო მეტი, ვიდრე რეალობა; მეტი, ვიდრე თვით ცხოვრება, როგორც თქვა მისმა მეზობელმა. საზოგადოებამ შექმნა გოტი, მაგრამ მოკლა მხოლოდ გოტი-ადამიანი, და არა გოტი-ლეგენდა. ლეგენდა ისევ ცოცხლობს და ისევ იმარჯვებს. შეიძლება შეწყდეს ცხოვრება, მაგრამ არა - ცხოვრების წესი, იგი დაკანონებულია სამუდამოდ. და არა მარტო გიგანტურ მავზოლეუმებში ნიუ-იორკის სასაფლაოებზე, არამედ ამერიკელი მარკ ზახაროვების, პიუზოების, კოპოლების და სხვათა ქმნილებებში.

გოტის გარდაცვალებიდან მეორე დღეს "ნიუ-იორკ ტაიმს"-ში გამოჩნდა სტატია - ორი მწერლის, ჯერი კაპეჩის და ჯინ მასტინის, მონანიება. პირველის კალამს ეკუთვნის წიგნი "მაფიის ვარსკვლავი - ჯონ გოტის ისტორია", მეორისას - წიგნი "გოტი - აღზევება და დაცემა". და აი, რას წერს ეს დუეტი: "ჩვენ, მწერლები და ჟურნალისტები, ეჭვსგარეშეა, დამნაშავენი ვართ ამაში (გოტის პიროვნების კულტის შექმნაში - მ.ს.). ის იყო მშვენიერი მასალა თხრობისათვის. მაგალითად, მისი წინამორბედის პოლ კასტელანოს მკვლელობა 1985 წელს. მაფიის ბოსს კლავენ ნიუ-იორკის ცენტრში საშობაო ვაჭრობის დროს. მყიდველები ტყვიებს ემალებიან. ორიოდე დღის შემდეგ ამ მკვლელობაში ეჭვმიტანილი, ანუ მისტერ გოტი, თავდაჯერებული მანერებით გამოცხადდება სასამართლოზე და ცბიერი ხმით აცხადებს, რომ ის ბოსია მხოლოდ სახლში ცოლთან და შვილებთან. ის წარმოადგენდა, თამაშობდა განგსტერს, და ამისათვის ჩვენ ის გვიყვარდა... 1987 წელს ის აღმოჩნდა მაფიის ბოსებიდან ერთადერთი, ვინც ხელიდან გაუსხლტა მართლმსაჯულებას რეკეტის საქმესთან დაკავშირებით. ძველი, ჩუმჩუმელა მაფიოზები გაასამართლეს და მიუსაჯეს პატიმრობის ასასი წელი, ხოლო ახალგაზრდული, ყბედი გოტი აღმოჩნდა ჟურნალ "ტაიმსის" გარეკანზე. ერთი წლის შემდეგ კი გამოვიდა მასზე დაწერილი წიგნი. ძალიან მოეწონა თავისი ფოტოგრაფია წიგნის სუპერგარეკანზე და თავის კაბინეტში კედელზე ჩამოკიდა. ის გადაღებულია ტიპიურ განგსტერულ კოსტუმში, სახეზე ირონიული ღიმილით, ცალი ხელი ჯიბეში ჩაუყვია, თითქოს ეს-ეს არის, იარაღს ამოიღებს. 1990 წელს ის ისევ გამარჯვებული გამოდის მანჰეტენის სასამართლოდან, გამოდის, როგორც ვარსკვლავი პრემიერის შემდეგ, მიდის პირდაპირ კლუბში და ზეიმზე რეპორტიორებსაც ეპატიჟება. ყველაფერი ეს სპექტაკლია, წარმოდგენა... და ბოლოს, დგება დასასრული, რაც არ უნდა წინააღმდეგობა გავუწიოთ მას. დიახ, ის იყო ბოროტმოქმედი, ის იყო განწირული დასაღუპავად. ჯონ გოტიმ ყველაზე უკეთ იცოდა ეს. მაგრამ ის განაგრძობდა თამაშს".

ასე ჟღერს გოტის ორი ლიტერატურული ტრუბადურის მონანიება "ნიუ-იორკ ტაიმსში". ადვილი შესამჩნევია, რომ მონანიების ნაცვლად გამოუვიდათ ნეკროლოგ-პანეგირიკი. მაგრამ, ვიხსენებ რა ქრისტეს და მარიამ მაგდალინელს, მე არ ვაპირებ კრიტიკის ქვების სროლას ჩემი ამერიკელი კოლეგების ჯერი კაპეჩის და ჯინ მასტინის მისამართით. მე ხომ თვითონაც არ ვარ უცოდველი.

... მრავალი წლის წინ, როდესაც ჯერ კიდევ "იზვესტიის" კორესპონდენტი ვიყავი ნიუ-იორკში, გადავწყვიტე, ჩემი უმცროსი ვაჟის დაბადების დღე აღმენიშნა რესტორანში ოჯახთან ერთად. და ჩემი ბანალური წინადადების წინააღმდეგ გამოთქმულ მოსაზრებებს გამარჯვებული იერით დავახვედრე შეკითხვა:

- იცით კი, სად მიმყავხართ?

- მაინც, სად?

- "პატარა იტალიაში", კლუბ-რესტორან "რეივენანტში".

და რადგან ეს სახელწოდება არავის არაფერს ეუბნებოდა, დავამატე:

- ეს ის ადგილია, სადაც მაფიის ბოსები იკრიბებიან.

ვაჟიშვილი მაშინვე აღფრთოვანდა, მეუღლემ კი გააპროტესტა და ბრალი დამდო გონიერების სიმცირეში. თუმცა კონფლიქტი დემოკრატიული მეთოდით გადაწყდა - კენჭისყრის გზით. ჩვენ გავემართეთ "რეივენანტისკენ". ბოროტმოქმედთა ეს ბუდე მდებარეობს ე.წ. "პატარა იტალიის" ცენტრში - ასე ჰქვია ნიუ-იორკის კვარტალს, რომელიც XX საუკუნის დასაწყისიდან ძალიან შეიყვარეს იტალიელმა იმიგრანტებმა. ის კარგად არის ცნობილი ნიუ-იორკისა და შეერთებული შტატების ფარგლებს გარეთაც კი - ჰოლივუდის განგსტერული ფილმების წყალობით, მათ შორის - ფილმ "ნათლიითაც". თვით კლუბ-რესტორანი არაფრით არ არის გამორჩეული - ნახევრად ბნელი, სიღრმეში ბილიარდის მაგიდებით. იტალიური აქ კიანტის მოწნული ბოთლები, ოფიციანტები და სამზარეულოა.



სალვატორე გრავანო — განგსტერი-იუდა

როდესაც რესტორანში შევედით, დარბაზი თითქმის ცარიელი იყო. ეს სიცარიელე და სიჩუმე ავისმომასწავებლად მოგვეჩვენა. დავიკავეთ მაგიდა ფანჯარასთან და შევეცადეთ, თავი თავისუფლად გვეგრძნო. მაგრამ, მოგეხსენებათ, შიშს დიდი თვალები აქვს და ჩვენ მოახლოებული ოფიციანტის გამოხედვაშიც შიში დავინახეთ. მისი თვალები თითქოს გვეუბნებოდა: "აქ რა ეშმაკმა მოგიყვანათ? განა არ იცით, აქ ვისი ბუდეა?" ჩვენ, ცოტა არ იყოს, ნერვიულად ჩავიკითხეთ მენიუ და დავიწყეთ ლოდინი. ოფიციანტი აშკარად არ ჩქარობდა შეკვეთილი სადილის მოტანას. ჩემმა პატარა ვაჟმა ვერ გაუძლო მოწყენილობას და დაიწყო სირბილი მაგიდებს შორის. რაღაც მომენტში ის მიუახლოვდა ერთადერთ დაკავებულ მაგიდას, სამზარეულოში შესასვლელთან ახლოს. მაგიდა, რომელსაც რამდენიმე სოლიდური მამაკაცი უსხდა, გადატვირთული იყო ბოთლებით, სწორედ ისე, როგორც ქართულ დუქანში. მიუხედავად ამისა, ეს მამაკაცები ძალიან თავშეკავებულად ისხდნენ, იტალიური ემოციურობის გარეშე, და რაღაცაზე დინჯად საუბრობდნენ.

სუფრის თავში მჯდომმა ახალგაზრდა კაცმა, ასაკისთვის შეუფერებლად ჭაღარა თმით, დაუძახა ბიჭუნას, რაღაც უთხრა, ლოყაზე ხელი მოუთათუნა, მისცა დიდი წითელი ვაშლი და გამოუშვა. მთელი ამ პატარა სცენის განმავლობაში მე და ჩემი ცოლი კიდევ უფრო დავიძაბეთ. ჩემმა ვაჟმა მოირბინა ჩვენთან და ნადავლით თავი მოიწონა, ჩვენგან კი საყვედური მიიღო, თუმცა, რა თქმა უნდა, ვერ მიხვდა - რატომ.

- მაგრამ მე ხომ ვუთხარი ბიძიას "Thank you"?

ბოლოს და ბოლოს გამოჩნდა ჩვენი ოფიციანტიც და ჩვენც, თუმც უკვე დაკარგული მადით, ძალდატანებით შევუდექით სადილობას. ვჭამდით სწრაფად, ჯარისკაცებივით. მალე მე მოვითხოვე ანგარიში.

- უკვე გადახდილია, - მიპასუხა ოფიციანტმა და თავი პატივისცემით გადაიქნია მაგიდასთან მსხდომი კაცებისკენ.

სხვა არაფერი დამრჩენოდა, უნდა ავმდგარიყავი და ჟესტებით გადამეხადა მადლობა. გადავწყვიტე, მათ მაგიდას არ მივახლოვებოდი, რათა არ გამომეწვია "მეგობრული ურთიერთობების" შემდგომი განვითარება. ჩემი ჟესტის საპასუხოდ ფეხზე წამოდგა სწორედ ის მამაკაცი, რომელმაც ვაშლი მისცა ჩემს შვილს. იგი საოცრად ჰგავდა ჩვენს გენერალურ მდივანს - ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს, მაგრამ არა რეალურს, არამედ ისეთს, როგორსაც "ოგონიოკის" გარეკანზე გამოსახავდნენ ხოლმე რაიმე თარიღთან დაკავშირებით. მხოლოდ ეს იყო - ამ კაცს არ ეცვა მარშლის საპარადო მუნდირი, მოფენილი ყველანაირი ვარსკვლავითა და ორდენით. მას ეცვა მდიდრული ორბორტიანი კოსტუმი, ერთადერთი მორთულობა იყო ჰალსტუხისფერი ცხვირსახოცი გულისჯიბეში.

როგორც კი გონებაში დავაფიქსირე უცნობის მსგავსება ბრეჟნევთან, ძალაუნებურად გავუღიმე და შიშმაც გამიარა.

- ვინ არის? - ვკითხე ჩვენს ოფიციანტს.

- ო, ეს თვით დონ გოტია! - მიპასუხა ოფიციანტმა და მის ხმაში აღტაცებამ გაიჟღერა...

გოტის დაკრძალვის დღეს გადავწყვიტე, ისევ ვწვეოდი "რეივენანტს" ე.წ. "პატარა იტალიაში". ამჯერად მარტო ვიყავი. მართალია, ძალიან დიდი ხანია აქეთ არ გამევლო, მაგრამ აქაურობას კარგად ვიცნობდი. თუმცა რესტორანს ვერაფრით ვერ მივაგენი. იძულებული გავხდი, გამვლელისთვის მეკითხა.

- თქვენ ხომ სწორედ მის წინ დგახართ. ამ შენობაში ორი-სამი დღის წინ გაიხსნა ეს ახალი ბუტიკი "ემი გეი"...

ბუტიკი იმ რესტორნის ადგილას, სადაც ოდესღაც გოტი და სალვატორე გრავანო, მომავალი განგსტერი-იუდა, აწყობდნენ თავიანთ სისხლიან გეგმებს. ნუთუ მართლაც ერთი ნაბიჯია დიდებულიდან სასაცილომდე? რატომაც არა? დიდებული და სასაცილო, ისევე, როგორც აღზევება და დაცემა - ერთი მედლის ორი მხარეა. გოტის შემთხვევაში კი - მითუმეტეს. მისი მედლის ორივე მხარე ყოველთვის იყო დიდი განგსტერული სპექტაკლი, ნიღბებიანი კარნავალი. მაფიის მეფე შიშველი იყო მხოლოდ გადატანითი მნიშვნელობით. პირდაპირი მნიშვნელობით კი ის იყო კარგად შეფუთული, როგორც ბრეჟნევი "ოგონიოკის" ოფიციალურ პორტრეტზე.

აი, რატომ შეიძლება, რომ გოტის ჭეშმარიტ მავზოლეუმად ჩაითვალოს სწორედ ბუტიკი "ემი გეი" (რომელიც, ბედის ირონიით, ზუსტად მისი გარდაცვალების დღეს გაიხსნა) და არა გრანიტი და ბრინჯაო წმ. იოანეს სასაფლაოზე ქვინსში.

*ნიუ-იორკი, მინეაპოლისი*
*ივნისი, 2002 წელი.*




REUTERS

ამბები

## ბრედ პიტს აღარ კოცნიან

მეუღლის, ჯენიფერ ანისტონის გულის გასახეთქად, ბრედ პიტმა რამდენიმე კვირაა წვერი მოუშვა. მიზეზი ის გახლავთ, რომ ფილმში The Last Man ის მფრინავს თამაშობს, რომელსაც მეორე მსოფლიო ომის დროს უცხო მხარეში დამალვა უწევს და, ცხადია, პირს ვერ იპარსავს. "ძალიან ვიტანჯები," განაცხადა მსახიობმა, "ჯენიფერი აღარ მკოცნის და სულმოუთქმელად ველი, როდის მორჩებიან წვერიანი სცენების გადაღებას."

## რას გვანან პოლიტიკოსი ქალები

ჟურნალ "მარი კლერის" მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგად აღმოჩნდა: გერმანელების 68 პროცენტი თვლის, რომ პოლიტიკოსი ქალები ძირითადად თაგვებს გვანან; 80 პროცენტს მიაჩნია, რომ პოლიტიკოსი ქალი პოლიტიკით უნდა იყოს დაკავებული და არა საკუთარი გარეგნობით; გამოკითხულთა ნახევარმა განაცხადა, თავსაც რომ მიხედონ, ურიგო არ იქნებაო. პოლიტიკოს მამაკაცებს საერთოდ არაფერი უთქვამთ, ეტყობა, მაინც ეშინიათ პოლიტიკოსი ქალების რისხვის.

## Silver-Hill-ის ახალი პაციენტი

გაზეთი The Advocate of Stamford იტყობინება, რომ 53 წლის ბილი ჯოელი კონექტიკუტის საუკეთესო ფსიქიატრიულ კლინიკაში, Silver-Hill-ში იწყებს ნარკომანიისაგან მკურნალობას. უწინ ეს კლინიკა უკვე მასპინძლობდა მერაია ქერის, მაიკლ ჯექსონს და ლაიზა მინელის.

თავისი პრობლემების მოგვარებას ჯოელი ათი დღე მოუნდება. როგორც გაირკვა, ამ ნაბიჯის გადასადგმელად ის მრავალი კვირის განმავლობაში ემზადებოდა.

ბოლო დროს ვარსკვლავის სამარცხვინო სენის ამბავი უკვე სალაპარაკო გახდა. მისი ერთ-ერთი გამოსვლის შემდეგ New York Times-მა აღნიშნა, რომ "აშკარად ხველების საწინააღმდეგო წამალზე ძლიერი რამ ჰქონდა მიღებული".

## დედა მარტინა

45 წლის ყოფილმა ჩოგბურთელმა, მარტინა ნავრატილოვამ, ლონდონში BBC–ს მოახსენა, რომ ამ ასაკში საკუთარი შვილი აღარ ეყოლება, მსოფლიოში კი მრავალი ბავშვი იზრდება უსახლკაროდ, მშობლების გარეშე. "ხუთი წლის ბავშვებს ვიშვილებ, და-ძმას ან ორ დას. კარგი, მხიარული დედა ვიქნები."

ბრწყინვალე კარიერის გამო ნავრატილოვას შვილის გასაჩენად არ ეცალა. გარდა ამისა, მან უკვე მრავალი წლის წინათ განაცხადა თავისი ლესბური მიდრეკილების შესახებ. ამჟამადაც, მისივე თქმით, ძალიან ბედნიერია თავის მშვენიერ ქალბატონთან ერთად, უბრალოდ მისი ვინაობის შესახებ საუბარი არ სურს.

## ჯეი ლო ელტონ ჯონით დაინტერესდა

ჯენიფერ ლოპესმა ელტონ ჯონთან თანამშრომლობა მოისურვა. მომღერლის თქმით, მათი დუეტი შევა მორიგ ალბომში, რაზეც ლოპესი პროდიუსერებთან ერთად გაცხარებული მუშაობს.

"მე ვესაუბრე სერ ელტონ ჯონს და იმედი მაქვს, ყველაფერი გამოგვივა. როგორც მითხრა, ელტონმა მას მოსწონს ჩემი მუსიკა, მე კი, მისი შემოქმედების დიდი თაყვანისმცემელი ვარ". ლოპესმა აღიარა, რომ მისი წინა ალბომები ნაჩქარევად გამოვიდა; იგი აღარ აპირებს შეცდომის გამეორებას და ახალ ალბომზე მუშაობას იმდენ დროს მოანდომებს, რამდენიც დასჭირდება.

## Guns N„Roses ინტიმარს არ იტეხს

შემორჩა თუ არა Guns N'Roses თაყვანისმცემლები, რომლებიც მოულოდნელად ელიან ჯგუფის ახალ ალბომს, ძნელი სათქმელია. კიდევ წელიწადნახევარი და მუსიკალური საზოგადოება ალბათ თანამედროვე მუსიკის ისტორიაში ყველაზე დროში გაწელილი ალბომის დასრულებას აღნიშნავს. Guns N'Roses-ის მორიგი ალბომის, Chinese Democracy-ის შესახებ პირველი შეტყობინებები 1993 წელს გაკეთდა. ამის შემდეგ მუსიკოსები პერიოდულად აცნობებდნენ ფანებს ალბომზე მუშაობის განახლების შესახებ. შესაბამისად, ხშირად ცვლიდნენ ნამუშევრის გამოსვლის ვადებს.

იმისათვის, რომ მუსიკალურმა სამყარომ არ დაივიწყოს ძველი კერპები, ჯგუფს შემორჩენილი ერთადერთი დამაარსებელი, ექსელ როუზი დროდადრო გამოანათებს ხოლმე სცენაზე. წელს კი, მუსიკოსმა გადაწყვიტა დიდი საგასტროლო ტურნე მოაწყოს. Guns N'Roses აზიიდან დაიწყებს: ჰონგ-კონგისა იაპონიის შემდეგ მუსიკოსები პატივს დასდებენ ევროპელ მსმენელს; ევროპაში ისინი მხოლოდ ორ ქვეყანაში, ბელგიასა და ინგლისში გამოვლენ. შემოდგომაზე იგეგმება მათი ტურნე ამერიკის შეერთებულ შტატებში.

## სტივენ სიგალმა მაფიოზები ამხილა

მას შემდეგ, რაც ბოევიკების გმირს, სტივენ სიგალს სასამართლოში გამბინოს ცნობილი მაფიოზური კლანის წინააღმდეგ მოუწია ჩვენების მიცემა, მსახიობი შეშინებულია. დონ გოტის გარდაცვალების შემდეგ ამერიკის ამ უმსხვილეს კრიმინალურ ოჯახს ყოფილი ბოსის ძმა, პიტერ გოტი ჩაუდგა სათავეში.

სიგალმა სასამართლოს მოუყვა, როგორ აშანტაჟებდნენ მაფიოზები ორი წლის განმავლობაში და თითოეული ფილმიდან შემოსავლის ნაწილს სთხოვდნენ. ამასთანავე, მსახიობმა მაფიასთან კავშირში ამხილა ყოფილი პროდიუსერი და მისი საქმიანი პარტნიორი, ჯულიუს ნასო. შეგახსენებთ, ნასომ სიგალის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა და კომპენსაციის სახით 60 მილიონი ამერიკული დოლარი მოსთხოვა იმის გამო, რომ მსახიობმა არ ითამაშა ოთხ კინოსურათში მისივე ბუდისტი მოძღვრის რჩევის გამო.

სასამართლო პროცესის დასრულებამდე ჯერ კიდევ დიდი დრო დარჩა.

## „პეპერსების„ ვოკალისტის კრიმინალური ისტორია

ყველაფერი ასე იწყება. დილით, ლოს-ანჟელესის ცენტრში Red Hot Chili Peppers-ის ვოკალისტი ტაქსში ჯდება და აღმოაჩენს, რომ მძღოლი მისი ჯგუფის ფანია. კერპის მოულოდნელი სტუმრობით აღფრთოვანებული მძღოლი ემოციებს ვერ თოკავს, ბოლო ხმაზე უწევს ფლეერს, სადაც ჯგუფის ახალი ალბომი, By The Way ჟღერს და სიჩქარეს უმატებს.

ენტონი კიდისი გადახტომას ლამობს, მაგრამ მანქანის კარები დაბლოკილია. ერთადერთი იმედი მობილურია, რომელიც მანქანის უეცარი დამუხრუჭების შემდეგ ხელიდან უვარდება. კიდისი სასოწარკვეთილია, როგორ გათავისუფლდეს მანიაკისგან? მოიფიქრებს და პეიჯერით შეტყობინებას უგზავნის ფლის (ჯგუფის ბასისტი). ფლი ამ დროს ზანტად საუზმობს გიტარისტ ჯონ ფრუშიანტთან ერთად. პირველ წერილზე ისინი ხალისით აქებენ მეგობრის ფანტაზიას, მაგრამ მეორე შეტყობინების მიღებისას ხვდებიან, რომ ენტონი არ ხუმრობს.

ამის შემდეგ მოქმედება ისე ვითარდება, როგორც კინოში - ფლი და ჯონი სხდებიან მანქანაში და შველიან მეგობარს. ერთგული მეგობრებისთვის უშვებენ ფეირვერკებს, ამ დროს კი ქალაქის მეორე მხარეს ტაქსს აჩერებს ჯგუფის დრამერი, ჩად სმიტი...

საშიში არაფერია, ასეთია "პეპერსების" ახალი კლიპის სიუჟეტი. სიმღერის სახელწოდებაა By The Way, რომელიც იმავე სახელწოდების ალბომში შედის. ალბომის პრეზენტაცია ევროპაში ცხრა ივლისს გაიმართება.

# „ჩემი იურა გამიცოცხლა... მადლობელი ვარ„...

## მოსკოვში აწვიმს წერეთლის ჯამბაზს, რომელიც ნიკულინის სახეს ატარებს

რუსუდან ნიკურაძე

საკ. კორ. მოსკოვში

მოსკოვის ხელისუფლების დავალებითა და საკუთარი გულის კარნახით რუსეთის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტმა და ცნობილმა მონუმენტალისტმა ზურაბ წერეთელმა "ცვეტნოი ბულვარზე" მდებარე ცირკის შენობის წინ მორიგი ქმნილება დადგა, რითიც კიდევ ერთხელ "გაახარა" მისდამი სკეპტიკურად განწყობილი მოსკოველები.

თავის დროზე მოსკოვ-მდინარის შესართავთან პეტრე დიდის მონუმენტის აღმართვას ახალგაზრდა გალერისტის მარატ გელმანის საპროტესტო აქციების მთელი სერია უძღოდა. გელმანმა წერეთელს სისხლი გაუშრო, მაგრამ ვერ მოერია. იმიტომ კი არა, რომ ბატონმა ზურაბმა ჭირვეულ მარატს დიდსულოვნებით აჯობა. ამბობენ, ცნობილ სკანდალისტ-გალერისტს მოსკოვში დიდი სახელოსნოც აჩუქა და ისე გააჩუმაო. თუმცა, ეს მხოლოდ ბოროტი ხმებია - წერეთლის გულღია ნატურისათვის თანამდევი.

ზურაბ წერეთლის დაუცხრომელი ტალანტი ძველებურად მოსკოვის ხელისუფლების სამსახურშია. პრაქტიკაში ეს შემდეგნაირად გამოიყურება - ბატონ ზურაბს ერთნაირად სწყალობს რუსეთისა და მოსკოვის ხელისუფლება. და რადგანაც მოსკოველი ქალბატონების გულთამპყრობელია, შესაბამისად ყურადღებით ანებივრებს ვიცე-პრემიერი ვალენტინა მატვიენკოც. იური ლუჟკოვისა და რუსეთის რეგიონების გუბერნატორების წერეთლისადმი კეთილგანწყობაზე არაფერს ვამბობ.

როცა იური ნიკულინის ხსოვნისადმი მიძღვნილი შადრევანი იხსნებოდა, ღონისძიებაზე დამსწრე ცნობილი კომედიური მსახიობის მეუღლე ცრემლებს ღვრიდა. მადლობის ტექსტი დაახლოებით ისე ჟღერდა,როგორც ეს "არაჩვეულებრივ გამოფენაშია" - "ჩემი სავლე გამიცოცხლე და აწი რაღა მომკლავსო"...

ცირკის წინ მდებარე სკვერში დასასვენებელი მწვანე ზოლის ფარგლებში ჩადგმული შადრევანი წერეთლის სტილშია შესრულებული .კონსტრუქცია იმეორებს მოქანდაკის ადრეული შემოქმედების ჩვენთვის ასე ცნობილ და მშობლიურ დეტალებს.ამიტომ დღეს ყველა ქართველს ეამაყება მისი ნებისმიერი ქმნილება, განსაკუთრებით მოსკოვში აღმართული -"რა შეჭამეს ეს წერეთელი, ამდენი რამე გაუკეთა მოსკოვს, მეტი რაღა უნდათო," - ჩურჩულებდნენ შადრევნის გახსნაზე მოსული ჩვენი თანამემამულეები. მათ შორის იყო საქართველოს ელჩი რუსეთის ფედერაციაში, ჩვენი დიპწარმომადგენლობის კულტურული სექტორი, იმ დღეებში მოსკოვში მყოფი ჯუმბერ პატიაშვილი და ძალიან ბევრი ცნობილი ქართველი, ერთი სიტყვით,დღევანდელი მოსკოვური დიასპორის ნაღები..



იური ლუჟკოვი და ზურაბ წერეთელი გამოფენის გახსნაზე

REUTERS

რუსებს კი მობეზრდათ წერეთლის მსუყე და მდიდრული მონუმენტალიზმი, ბრინჯაოს არშიებში ჩასმული ლითონი და სხვა მეტალი. მეტი ნამდვილად აღარ უნდათ, წერეთლის არაფერი აღარ უნდათ, მაგრამ სანამ იური ლუჟკოვი მერიაში ზის, ჩვენს მონუმენტალისტს ვერავინ ავნებს. რუსეთის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტს ღმერთმა ულევი ენერგია მისცეს და, კიდევ ბევრჯერ დაბოლმავს მომთხოვნელ და პრეტენზიულ მოსკოველ პუბლიკას, მათ შორის ჟურნალისტებსაც, რომლებიც მადლობას, რატომღაც ირონიული პასკვილების წერას ამჯობინებენ.

სხვა საქმეა, რამდენად სჭირდება იგივე მოსკოვს დღეს ეს გაუთავებელი "ფონტანკები", ოქროს თევზები, რუსებისათვის მათივე ხასიათის შემახსენებელი ოქროსთევზიანი დათვები - წერეთელს არაფერი არ ეშლება და შიგადაშიგ ორი მეზობელი ერის ისტორიულ მეგობრობაზე საუბრითაც არ იღლება. პოლიტიკური კონიუნქტურის ტრადიციის ერთგულება ზურაბ წერეთელს სრულიად არ სჭირდება, რადგანაც უამისოდაც მთელი მისი შემოქმედება ზედმეტად კრიტიკულ შემფასებელს ხელებს ჩამოაყრევინებს. რკინის ქალამნებს ჩაიცვამს, პრეზიდენტს ყაზანში გაჰყვება და იქ აჩუქებს ღვთისმშობლის ხატს. ასე რომ, იკითხონ გელმანებმა და სხვა ჯურის მოსკოველმა პროვოკატორებმა, მათ შორის ჟურნალისტებმაც, თორემ წერეთლის სანთელსაკმეველი მუდამ მიგნებულ კარზე ინთება...

"ცვეტნოი ბულვარზე" ახალი შადრევან-კომპოზიცია ცირკის არენას წარმოადგენს, რომლის ცენტრშიც ერთთვლიან ველოსიპედზე ამხედრებული კლოუნის უზარმაზარი ბრინჯაოს ჯამბაზია - ქოლგით ხელში. ქოლგიდან წყლის 120 ჭავლი გადმოდის. წერეთელმა კომპოზიციის მშენებლობაში გამოიყენა სპეციალური მოჭიქული გრანიტი. შადრევნის კომპლექსზე მოსკოვის ბიუჯეტიდან 140 მილიონი რუბლი დაიხარჯა. მთელი ეს კომპლექსი კი, სპეციალისტების სიტყვით, მოსკოვის წრიული ავტოტრასის უნიკალურ საპარკე ხელოვნების სისტემაში ორგანულად ეწერება. ბულვარზე ბოლო დროს 100-მდე წაბლისა და ცაცხვის ხეც დარგეს. ამ კომპლექსისათვის 50 მილიონი რუბლი გამოიყო. მისი საზეიმოდ გახსნა სექტემბერში, მოსკოვის დღისათვის არის ნავარაუდევი.

წერეთლის შადრევნის გახსნაზე მოსულმა იური ლუჟკოვმა თქვა, რომ წერეთლის ეს ახალი ნამუშევარი "ჩვენს ბავშვობასთან მიახლოების კიდევ ერთი ნაბიჯია, სიკეთისა და სილამაზის გზაზე". ცნობილმა რუსმა მხატვარმა ილია გლაზუნოვმა წერეთელს გულისამაჩუყებელი მადლობა გადაუხადა: "30 წელია შენს შემოქმედებას ვიცნობ და მეამაყება, რომ რუსეთის მონუმენტალური ხელოვნებისათვის ასე ერთგულად ირჯები".

არის თუ არა ბრინჯაოს ჯამბაზი იური ნიკულინი? ალბათ არის ,რადგანაც კომპოზიციის გახსნას დიდი მსახიობის მეუღლეც ესწრებოდა.

# სპილბერგის ანტიგლობალური მანიფესტი

## ფილმი, სადაც მოქმედება ნახევარი საუკუნის შემდეგ ხდება

**რეჟისორი:** სტივენ სპილბერგი;
**მთავარ როლებში:** ტომ კრუზი, კოლინ ფარელი, სამანტა მორტონი, პიტერ სტორმერი, მაქს ფონ ზიუდოვი

სტივენ სპილბერგის ახალი ფილმი, "უმცირესობის აზრი" (Minority Report), რომელიც ფილიპ დიკის მოთხრობის მიხედვითაა გადაღებული (ასევე მისი ნაწარმოებების მიხედვით გადაღებულია ისეთი კლასიკური სურათები, როგორებიცაა "გაიხსენო ყველაფერი", "სამართებლის პირზე მორბენალი"), კრიტიკამ მის ყველაზე პოლიტიზირებულ ნამუშევრად მიიჩნია.

ფილმზე მუშაობა 1998 წელს დაიწყო. ფუტურისტული ბოევიკის შესაქმნელად (ფილმში მოქმედება 2054 წელს ხდება), სპილბერგმა სოციოლოგების, ფუტუროლოგებისა და მეცნიერების სხვა შესაბამისი დარგების სპეციალისტები შეკრიბა. სწავლულებმა სპილბერგს კონსულტაციები ჩაუტარეს თემაზე, თუ როგორ შეიძლება გამოიყურებოდეს ვაშინგტონი ნახევარი საუკუნის შემდეგ.

მსხვილბიუჯეტიანი ფილმით დაინტერესდნენ მსოფლიოს წამყვანი ფირმების სარეკლამო აგენტები. სპილბერგის დახმარებით კორპორაციებს გადასარევი შანსი გაუჩნდათ, საკუთარ პროდუქციას 50-



სტივენ სპილბერგი და ტომ კრუზი გადაღებაზე

წლიანი რეკლამა გაუკეთონ. "ნოკიამ" ორი მილიონი დოლარი დახარჯა ხუთი სახის ტელეფონის სარეკლამოდ; "ლექსუსმა" ფილმისთვის საგანგებოდ გამოუშვა ორი ავტომობილი: პოლიციური "მეგ-ლევი", რომელსაც შენობის კედლებზე ასვლაც კი შეუძლია და ფუტურისტულ-სპორტული "ლექსუს-ეს-სი 430", რომელიც ნიუ იორკული ავტო-შოუს მიხედვით, უახლოესი მომავლის მოდელი იქნება.

ფილმში კარგად ჩანს სპილბერგის პესიმისტურად დანახული მომავალი. მისი წარმოდგენილი მომავლის ვაშინგტონი მფრინავი პოლიციური ავტომანქანების დიდი მოედანია. ესაა ქალაქი, სადაც პირად თავისუფლებას ხელისუფლება აკონტროლებს, ამისთვის შექმნილია ბიზნესის მშვიდობიანობისა და დაცვის სამსახურები; მთავარი გმირი (მას ტომ კრუზი თამაშობს), პოლიციის დეტექტივი, ჯონ ანდერტონი, ხელმძღვანელობს ქვეგანაყოფს, რომელიც გაუხსნელ დანაშაულებზე მუშაობს. ცნობებს ამ საქმეების შესახებ იგი სამი მუტანტისგან იღებს – ამ ნარკომან საშინელ ქმნილებებს შეუძლიათ უცხო ადამიანების ჩაფიქრებული საშინელი მკვლელობების გამოცნობა. იურიდიული სისტემა კი, უფლებამოსილია დააპატიმროს და გაასამართლოს ყველა, ვინც კრიმინალს დაგეგმავს. მათი დაპატიმრებისა და გასამართლების გადაწყვეტილება კი მას შემდეგ მიიღება, რაც ორი ან სამი წინასწარმჭვრეტის აზრები დაემთხვევა.

სისტემა უშეცდომოდ მუშაობს. ანდერტონის განყოფილების წყალობით კი, მკვლელობების რაოდენობა 99,8 პროცენტით შემცირდა. მაგრამ, ერთხელაც ანდერტონი თავად აღმოჩნდება მსხვერპლი. საკუთარი ინფორმატორებისგან შეიტყობს, რომ იგი უცხო ადამიანის მკვლელობას ჩაიფიქრებს.

აშშ-ს თავდაცვის სისტემის უპრეცედენტო მოდელის გამო სპილბერგის ახალ ნამუშევარს კრიტიკოსებმა ასეთი შეფასება მისცეს: "ეს არის დიდი რეჟისორის ყველაზე პოლიტიკური ფილმი". რაც მთავარია, თავად რეჟისორი ამ შეფასებას არ უარყოფს.

# „მკვდარი სულების„ თანამედროვე ინტერპრეტაცია

ნინო პირველი

11 სექტემბერს ნიუ იორკსა და ვაშინგტონში განხორციელებულ ტერორისტულ აქტებს რამდენი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, ჯერაც არ არის დადგენილი. ამერიკელებისათვის ეს დღე ეროვნული უბედურების სიმბოლოდ იქცა, ხალხი ძრწოლვით საუბრობს ტერაქტის შესახებ, მაგრამ თურმე ისეთი ადამიანებიც არსებობენ, რომელთაც ნაციონალური ტრაგედიის თავის სასარგებლოდ გამოყენება შეუძლიათ.

ნიუ იორკის სასამართლო 34 წლის ჰონგკონგელი სტივენ ჩინ ლენგის საქმეს იხილავს, რომლემაც 11 სექტემბრის უბედურობით უსირცხვილოდ ისარგებლა და გადაწყვიტა, თავი დაღუპულად გამოეცხადებინა. ძველ თანამშრომლებს და ნაცნობებს ისე დამაჯერებლად უმტკიცებდა, დაღუპულის ძმა ვარ და ერთმანეთს ძალიან ვგევართო, რომ საბოლოოდ მიზანს მიაღწია და ყველა დააჯერა, რომ სტივენ ჩინ ლენგი სავაჭრო ცენტრის აფეთქებისას დაიღუპა, თავად კი გარდაცვლილის ძმა იყო. ჰონგკონგელმა თაღლითმა ყალბი ცნობის გაკეთებაც შეძლო, რომლის მიხედვითაც მისი ძმა უოლ სტრიტის ერთ-ერთ კომპანიაში მუშაობდა. ამ კომპანიამ, რომელიც სავაჭრო ცენტრის ბოლო სართულზე მდებაროებდა, 11 სექტემბერს დაახლოებით 650 თანამშრმელი დაკარგა.

ლენგი სასამართლოზე თავს იმით იმართლებდა, რომ ვალებისა და გადასახადებისაგან უნდოდა გათავისუფლება. ჰონგკონგელი თაღლითობაში ადრეც იყო შემჩნეული. 2001 წლის გაზაფხულზე ის ყალბი პასპორტის გამო დააპატიმრეს და ფულადი ჯარიმის გადახდის შემდეგ გაუშვეს.

თუ სასამართლომ სტივენ ჩინ ლენგი დამნაშავედ ცნო მრავალჯერად თაღლითობაში, მას 45-წლიანი თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

# ზაფხული მათი ნეოკლასიკური მღელვარებისა

## სან-ფრანცისკოს ბალეტი თბილისში - ჯორჯ ბალანჩინიდან უილიამ ფორსაიტამდე

დავით ბუხრიკიძე

სან-ფრანცისკოს ბალეტის თერთმეტი მეტნაკლებად ელვარე ვარსკვლავი გუშინ ღვთისა და Contemporary dance-გან მივიწყებულ ქართველ მაყურებელს კამერულ ზეიმს სთავაზობდა. ზეიმი როგორი გამოვიდა, სხვა საკითხია, მაგრამ ფაქტია, რომ მაყურებელმა თანამედროვე ამერიკული და ევროპული ქორეოგრაფიის მცირე სერიალი მშვიდად შეირგო. ყველაფერი, რაც ამერიკელებს სურდათ ეჩვენებინათ და რაც ჩვენ, თითქოს, გავიგეთ – ეს იყო სხეულების ნეოკლასიკური მღელვარება ჯორჯ ბალანჩინიდან უილიამ ფორსაიტამდე... "თავხედი" ნაჩო დუატოსა და სან-ფრანცისკოელთა "მამის", ჰელგი ტომასონის ჩათვლით.

მაღალი "შტილის" გასანეიტრალებლად დავძენთ, რომ კონცერტს თან ახლდა გარკვეული პროზაულობაც, რაც ურიცხვი დუეტების მონაცვლეობაში გამოიხატებოდა. ბუნებრივია, სპექტაკლის ელვარება უკეთესია, ვიდრე საკონცერტო ნომრები ან თუნდაც ხუთწუთიანი პადე-დე. მაყრებელმა იხილა მრავალტნჯული "გედების ტბის" ჯორჯ ბალანჩინისეული ფრაგმენტი, სტენტონ უელჩის მგრძნობიარე ქორეოგრაფია თუ ნაჩო დუატოს ავანგარდული ჟესტებითა და ფრანც შუბერტის პასაჟებით შეკმაზული ნომრები.

მაყურებელს ეყო სინდისიც და გამძლეობაც, რომ მისთვის უცნობი და რთული ქორეოგრაფიისათვის ბოლომდე კეთილსინდისიერად ედევნებინა თვალი. თანამედროვე ამერიკული ბალეტი ინტერნაციონალური შემდაგენლობითა და მარგი ქმედების საკმაოდ მაღალი კოეფიციენტით, ცდილობდა იმის დამტკიცებას, რომ თანამედროვე ქორეოგრაფია უფრო რაციონალისტურია, ვიდრე დავიწყებული გრძნობები. მართალია, ამის შესახებ ოპერის დირექტორმა ზურაბ ლომიძემ არ გაგვაფრთხილა, მაგრამ გვითხრა, რომ ამერიკის საელჩოს დიდად მადლობელია. გასაგებია, რომ "ასეთი დღესასწაულისათვის."

თავად ამერიკის ელჩმა რიჩად მაილსმა განაცხადა, რომ "ამერიკა-საქართველოს ურთიერთობები პოლიტიკის, განათლების თუ ეკონომიკის სფეროში, ამჯერად კულტურით დაგვირგვინდა." ნაღების შემადგენლობა მერყეობდა პარტიული ელიტიდან სნობ "კულტურისტებამდე"; ლევან მამალაძიდან - იგნასიო ირიბარენამდე. ვერ გეტყვით, რამდენად გაისიგრძეგანეს ზემოხსენებულებმა ბალანჩინის ნეოკლასიკურობა ან ფორსაიტის ასკეტიზმი, თუმცა ფაქტია, რომ ხმაურიანი "ბრავო" დროდადრო სწორედ პარტერიდან ისმოდა.

მაყურებელთა აღქმის "გრადუსი", შეიძლება ითქვას, უფრო მეტი იყო, ვიდრე თავად მოცეკვავეთა ემოციურობა. მაგრამ ეს ნაკლი არ არის, ეს უბრალოდ თანამედროვე ქორეოგრაფიაში არსებული სიტუაციის კონსტატაციაა. მშრალი და ტექნიკურად სრულყოფილი ჟესტები უფრო მეტყველია, ვიდრე კლასიკის წინაშე მოწიწება. სრულყოფილება იმაშია, რომ მოცეკვავეებმა და ქორეოგრაფებმა უკეთ იციან რა დროს რა ჟესტი უფრო ჭრის; რა მოძრაობა როგორ კვალს ტოვებს მაყურებლის მეხსიერებაში. სწორედ ამის გათვალისწინებით შეიძლება ავხსნათ ის რაციონალიზმი, სიზუსტე და სიმწყობრე, რითაც სან-ფრანცისკოელი ვარსკვლავები გამოირჩევიან. მათი ელვარება განსხვავებულია, მაგრამ ამ ელვარებას თავისი კვალი აქვს, რომელსაც არა მხოლოდ მაყურებელი, არამედ პროფესიონალებიც გრძნობენ. ერთ-ერთმა ყოფილმა მოცეკვავემ განგვიცხადა: "სრულყოფილების მიუხედავად, მათი სხეულებიდან ეროტიკა და ემოცია არ ჟონავს." პატივცემულ და ცნობილ მოცეკვავეს მხოლოდ შევახსენებთ, რომ დღეს ქორეოგრაფიაში ეროტიკაც და ემოციაც სწორედ რაციონალიზმს ემორჩილება. ვაზროვნებ - მაშასადამე ვგრძნობ – მაშასადამე ვცეკვავ. ამ პრინციპით შეიძლება ავხსნათ არა მხოლოდ მოცეკვავეთა სრულყოფილი ტექნიკა, არამედ წარმოდგენილი ქორეოგრაფიაც. ჩვენთვის უცნაური და უცხო.

ჩვენი აზრით, სან-ფრანცისკოელ მოცეკვავეებს თამამი ავანგარდი უფრო უხდებათ, ვიდრე "პაჩკასავით" გახევებული კლასიკა; უფრო შიშველი ფეხის გულები, ვიდრე გაცვეთილი პუანტები; თავშეკავებული ასკეტიზმი და არა დაშაქრული გრძნობები. თუმცა ეს კერძო სულისკვეთებაა და სულაც არ არის მკითხველისთვის სავალდებულო. თანამედროვე ქორეოგრაფთა გვარების ვრცელი უსტარი მხოლოდ იმას გვავალდებულებს, რომ დროის ზიგზაგებს შევხედოთ როგორც აუცილებლობას, და არა როგორც გაყინულ ესთეტიკურ ახირებას.


ბესო გულაშვილის ფოტო

# რეპორტაჟის ხელოვნება

## გოგი ცაგარელი - ქართული ფოტოხელოვნების დიკენსი

ვერა ნეფარიძე

მეგობარი უფრო მეტი ჰყავს გოგი ცაგარელს თუ შემოქმედების თაყვანისმცემელი – ამ ამოცანის ამოხსნას გუშინ შევეცადე, "ქარვასლაში", სადაც თანამედროვე ქართული ფოტოხელოვნების ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ავტორის ნამუშევრების გამოფენა გაიხსნა. გოგის "რეპორტაჟის" სანახავად საგამოფენო დარბაზში ხუთის ნახევრიდან (გამოფენა ხუთ საათზე უნდა გახსნილიყო) დაიწყო საზოგადოებამ შეკრება. ეს არცაა გასაკვირი, გოგის სამსახურების ცვლას ერთი უდაოდ დიდი უპირატესობა აქვს, სწრაფად იზრდება იმ ადამიანთა რაოდენობა, ვისაც გოგი ცაგარელის ნიჭის დაფასება შეუძლია.

თუკი ვინმეს გადაჭარბებულად მოეჩვენება გოგი ცაგარელის საუკეთესო ქართველ ფოტოხელოვანად აღიარება, იმაში მაინც არ შეიტანს ეჭვს, რომ გოგი საუკეთესოა რეპორტაჟულ ფოტოგრაფიაში და ალბათ, არამარტო ქართულ სივრცეში. ამიტომაცაა იგი ნებისმიერი ორგანიზაციის სასურველი თანამშრომელი, იქნება საინფორმაციო სააგენტო, გაზეთი, ჟურნალი თუ კორპორაციული გამოცემა.

იმის მიუხედავად, რომ თავად არასდროს უფიქრია ფოტოგრაფობა, ოცდაათ წელს გადაცილებული იყო, როდესაც ხელოვნების ამ სახეობამ გაიტაცა, თუ რამდენად სერიოზულად, ამაზე საუბარს მგონი, აზრი არ აქვს. მისი პროფესიონალიზმი არ განისაზღვრება მოწყობილი პერსონალური თუ ჯგუფური გამოფენების რაოდენობით. თავად არის ასეთი, არ უყვარს ხალხის შეწუხება. ასეთი სურვილი უფრო სხვებს უჩნდებათ. ასე იყო ცაგარელის პირველ გამოფენებზე – 1986-1993 წლებში; ცაგარელის მესამე პერსონალურს ოთხი წლის წინათ "ძველმა გალერეამ" უმასპინძლა, მაშინ გოგი "საქართველოს გაზეთში" მუშაობდა და გამოფენის მოწყობაც გაზეთის რედაქციამ ითავა; საბედნიეროდ, ასე გრძელდება დღესაც, როდესაც გოგი ცაგარელი კომპანია "ჯეოსელის" თანამშრომელია – გამოფენის ორგანიზება და მცირე კატალოგის დაბეჭდვაც ამ კომპანიის დახმარებით გახდა შესაძლებელი.

"გოგი ჩვენს შორის ყველაზე ინტელიგენტი ფოტოგრაფია", – გულწრფელად თქვა "ქარვასლაში" გამოფენის გახსნაზე ქართული ფოტოგრაფიის კიდევ ერთმა მეტრმა, იური მეჩითოვმა და ნათქვამის დასადასტურებლად ასეთი დეტალი მოიყვანა – "ერთხელ ჩემთან ნამცხვარი არ ჭამა, ხელები არ დამიბანიაო".

უყურებ მის, ერთი შეხედვით ძალიან უბრალო, ჩვეულებრივ ცხოვრებისეულ კადრებს და ძალიან გეცნობა, იმიტომ, რომ ყოველდღიურია, იქნებ ყოველ წუთსაც ხედავ, მაგრამ ვერ ამჩნევ. აღარაფერს ვამბობ ისეთ თემებზე, რაზეც გოგი ცაგარელი სიამოვნებით მუშაობს. "ქარვასლაში" გამოფენილი ნამუშევრები არ არის არც თემატურად და არც ქრონოლოგიურად შერჩეული. აქ გაერთიანებულია სხვადასხვა დროს გადაღებული ცალკეული ფოტოები (ქუჩაში, საბილიარდოში) და სხვადასხვა თემატური სერიები ("სამხედრო ურთიერთობები", "ქალაქის კომპოზიცია", "კომუნისტური დღესასწაულები"). მართალია, თემის მიუხედავად ყველა მათგანს ავტორის პროფესიონალური ხედვა ატყვია, მაგრამ მაინც შესამჩნევია, რომ გოგი ცაგარელის საყვარელი თემა ომია. კარგად მახსოვს, როგორ წუხდა ჩეჩნეთის ომის დროს, როდესაც სამსახურეობრივი მოვალეობა არ აძლევდა საშუალებას ყოფილიყო მოვლენების ეპიცენტრში. გოგის ძალიან უყვარს ომში მუშაობა ალბათ იმიტომ, რომ ადამიანი ომში შიშვლდება, ადამიანი კი გოგის შემოქმედების მთავარი გმირია. ამიტომ უწოდა კატალოგისთვის შედგენილ დახასიათებაში ბიძინა მაყაშვილმა გოგი ცაგარელს დიკენსი ფოტოგრაფიაში. გოგი ცაგარელის ფოტოარქივი აფხაზეთის, სამაჩაბლოს, თბილისის ომების არაჩვეულებრივ რეპორტაჟებს ინახავს; გადაღებული აქვს ჩერნობილის ატომური ტრაგედია, საბჭოთა ჯარების ავღანეთიდან გამოსვლა, ყარაბახის კონფლიქტი. "ქარვასლის" ერთი საგამოფენო დარბაზი საკმაოდ მცირეა ამ ყველაფრის საჩვენებლად, მაგრამ ეს სრულიად საკმარისია იმისთვის, რათა დარწმუნდე, რომ რეპორტაჟი კიდევ ცალკე ხელოვნებაა ფოტოგრაფიაში. მითუმეტეს მაშინ, როდესაც ამას გოგი ცაგარელი აკეთებს.


*გოგი ცაგარელი, მასპინძელი ლიკა მამულაშვილი და იური მეჩითოვი გამოფენაზე*

იური ლობოდინის ფოტო

# ლიტერატურას ათვალიერებენ, მეცნიერებას კი წაკითხვის გარეშე თარგმნიან

## წიგნის ფესტივალი. დღე მეორე

მადი სერებრიაკოვა

დღეს, რედაქციაში ერთმა კოლეგამ მითხრა, ბოლო ორი წელია წიგნის ბაზრობაზე უფრო მნიშვნელოვანი მოვლენა ჩემთვის არაფერიაო. წიგნები კარგია, მაგრამ ცოტა მაინც გამიკვირდა - ამ ქვეყანაზე ამდენი კარგი სანახაობაა და წიგნის ბაზარი რაღა უბედურებაა-თქო, ბოლოსდაბოლოს წიგნია, წასაკითხად იწერება და არა გამოსაფენად. საქმის ვითარების ბოლომდე გამოსარკვევად ფილარმონიას მივაკითხე, ოთხი საათიც ვიყურყუტე და ძველი თუ ახალი წიგნების თვალიერების გარდა, რამოდენიმე პრეზენტაციასაც შევესწარი.

ყველაფერი ასი წლის უნახავი მეგობრებითა და ლიტერატურული "ბომონდით" დაიწყო. ვინც კი თბილისში კითხვა და, განსაკუთრებით კი, წერა იცოდა - ყველა იქ დამხვდა. მიუხედავად იმისა, რომ ავტორიტები მიკროფონს ჩასძახოდნენ საქართველოში ცოტა რომანი იწერება, უფრო ცოტა კი ითარგმნებაო, - მე მაინც მომეჩვენა, რომ წიგნის დაწერა თუ არა, თარგმნა მაინც მოუსწრია უკვე ჩვენი ქვეყნის მოქალაქეთა დიდ უმრავლესობას.

სწორედ იმ დროს პიტერ ბერკის "ისტორია და სოციალური თეორიის" ქართული თარგმანის პრეზენტაცია დაიწყო. ჩემი ყურადღება მწერალი ჩუქჩას შესახებ გავრცელებული ანეკდოტის - "Чукча не читатель, Чукча - писатель"-ის თანამედროვე ვერსიამ მიიპყრო: მთარგმნელმა დაიჟინა "წიგნი არ წამიკითხავს, მხოლოდ ვთარგმნეო". წიგნის წაკითხვა ვერ მოვასწარი და როგორ შედეგებს იძლევა თარგმნა კითხვის გარეშე - ჯერ არ გამომიცდია, მაგრამ პრეზენტაციაზე გამომსვლელებმა ისეთი ხოტბა შეასხეს, რომ ვიფიქრე - ამ კაცს რომ წაეკითხა და ისე ეთარგმნა, ხომ მთლად გადარევდა ხალხსმეთქი. მერე ამ წიგნს მოწყურებული იმდენი ადამიანი ჩამოთვალეს ისტორიკოსებიდან - კულტუროლოგებამდე, რომ თავს უფლება მივეცი, სიტყვაზე დამეჯერებინა.

ბერკის პრეზენტაციის მერე, ორგანიზატორებმა ცოტა გასეირნების საშუალება მოგვცეს. სანახავი იმდენი იყო, ერთი საათი როგორ გავიდა, ვერ შევამჩნიე: "წიგნები მრავალ ენაზე, იქ იაფია ყველაზე". ამასობაში ნაბოკოვის გახმაურებული "ლოლიტას" ქართული თარგმანის პრეზენტაციაც დაიწყო. აბა, "ლოლიტას" რაღა წარდგენა უნდოდა, მაგრამ მჭევრმეტყველების ჭია გამომსვლელებმა მაინც გაახარეს. ლევან ბრეგაძემ და ზაზა შათირიშვილმა ორმაგ დედანსა და თარგმანის განსაკუთრებულობაზე ისაუბრეს. მათ სამართლიანობას ალბათ თარგმანის წაკითხვისას უფრო შევაფასებთ, ვიზუალურად კი წიგნი არცთუ ურიგოდ გამოიყურება.

ფილარმონიაში შეკრებილი მწიგნობარი საზოგადოება დაშლას არც ამის მერე აპირებდა: ყველა დღის მოვლენას - "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის" წიგნების პრეზენტაციას ელოდა, მით უმეტეს, რომ აქ ქართული ლიტერატურული ჰიტ-პარადების უდავო ლიდერის - აკა მორჩილაძის (იგივე გიო ახვლედიანის) არახალი, მაგრამ წიგნად პირველად გამოსული რომანიც უნდა წარმოედგინათ.

ბაკურ სულაკაურმა, რომელიც თვითონ წარმოადგენდა საკუთარ გამოცემულ წიგნებს, მორჩილაძე ბოლოსთვის შემოინახა. თუმცა, ასეთი ფანდების საჭიროება ნაკლებად იყო: ალეკო შუღლაძე, რომელიც ჯერ კიდევ მისი პერფორმანს-არტისტული წარსულიდან ახსოვთ, უკვე საკმაოდ აღიარებულ მწერლად შეგვიძლია მივიჩნიოთ და მისი "სამსარას" ფრაგმენტებიც არაერთხელ გამოქვეყნდა ლიტერატურულ პრესაში.

მეორე რომანი, რომელიც გუშინ "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ" წარმოადგინა ილია ბაბუნაშვილის "ეზ ეზუნავორანი" იყო. სათაური უკვე წიგნის რეკლამაა - საკუთარი სახელია ასეთი. მოქმედი გმირები კი, უკვე საკმაოდ ცნობილი ლიტერატურული გმირების გარდა (მაგალითად აკა მორჩილაძის რომანებიდან), გურჯიევი და სტალინიც არიან. ყველა ერთად კი, რაღაც ჩახლართული მკვლელობის საქმეებს არჩევენ. თუმცა, დაწვრილებით მის შესახებ რეცენზენტები გეტყვიან.

აკა მორჩილაძის დაპირებული ახალი რომანი "შენი თავგადასავალი" გახლდათ. მისი ფრაგმენტები მანამდე ლიტერატურულ პრესაშიც დაბეჭდილა, თუმცა წიგნის სახით გამოცემამადე რომანმა გარკვეული ცვლილებები განიცადა. არ მკითხოთ, მაინც ვის თავგადასავალს მოგვითხრობსო - აკაკი წერეთლის რომ არა - ამას წყალი არ გაუვა. აკა მორჩილაძე ბაკურ სულაკაურმა სიტყვაძუნწობაშიც დაადანაშაულა, მაგრამ აკამ ბრალდება იოლად აიცილა: "ბევრს ვინც ლაპარაკობს, სქელსქელ წიგნებს ვერ დაწერსო".

აი, ასეთი და ბევრი კიდევ განსხვავებული ამბავი ტრიალებს წიგნის ფესტივალზე, რომელიც 22 ივნისამდე გასტანს. ხვალ, განსაკუთრებულ მოლოდინს 15 საუკეთესო ქართული მოთხრობის პრეზენტაციას უკავშირებენ, თუმცა ერთ-ერთი "საუკეთესოს" ავტორი ჩიოდა - ხვალ ბრაზილია თამაშობს და ვაითუ პრეზენტაცია "ჩაგვივარდესო". მაგრამ გუშინდელი ხალხმრავლობისა და ზეაწეული ატმოსფეროთი თუ ვიმსჯელებთ, არა მგონია წიგნის ფესტივალს მსმენელ-მაყურებელი მოაკლდეს. აი, მკითხველს რაც შეეხება - ამაზე, ალბათ, ბაზრობაზე გაყიდული წიგნების რაოდენობის მიხედვით ვიმსჯელებთ.


*ილია ბაბუნაშვილი, გიო ახვლედიანი, ალეკო შუღლაძე, ზაზა ბურჭულაძე და „ლოლიტას" გამომცემელი ლაშა ბერაია.*

ლევან ხერხეულიძის ფოტოები

# დინოზავრი ზიპო სასამართლოში

"ზიპოს" სანთებელების მწარმოებელი ფირმა "უოლტ დისნეისა" და კომპანია ABC-ს უჩივის. ფირმის წარმომადგენლების განმარტებით, "დისნეიმ" მათი საავტორო უფლებები დაარღვია, როცა მულტფილმების ერთ-ერთი გმირი, დინოზავრი, ზიპოდ მონათლა. "ზიპო" ჩვენი სავაჭრო ნიშანია ჯერ კიდევ 1932 წლიდან, როცა ფირმის დამფუძნებელმა ჯორჯ ბლეისდელმა პირველი წყალგაუმტარი სანთებელა გამოუშვა", - აცხადებს "ზიპოს" პრეზიდენტი გრეგორი ბუთი, - "ანუ, ეჭვგარეშეა, რომ "ზიპოზე" ყველანაირ საავტორო უფლებას ვფლობთ". ამ განცხადებებზე "უოლტ დისნეისა" და ABC-ის წარმომადგენლები კომენტარს არ აკეთებენ. ბუნებრივია, საკუთარი თავის დასაცავად ვერაფერს ამბობს ვერც აყალმაყალის მთავარი გმირი, დინოზავრი ზიპო. ის მულტფილმების მინი-სერიალის, "დინოტოპიას" პერსონაჟია, რომელიც მწერალ ჯეიმს გარნის მოთხრობების მიხედვით არის შექმნილი. "ზიპო" და მისი ნათესავი დინოზავრები დინოტოპიას გამოგონილ სამყაროში შეხმატკბილებით ცხოვრობენ ადამიან მეგობრებთან ერთად.

არანაკლებ საინტერესო "პერსონაჟია" მეორე "ზიპოც". პენსილვანიური ფირმა უკვე წლებია, ამზადებს ქარგამძლე სანთებელებს, რომელთა ჩაქრობაც, უბრალოდ, შეუძლებელია. "ზიპომ" სახელი მეორე მსოფლიო ომის დროს გაითქვა, როცა მას რეკლამას აშშ-ს სამხედროები უწევდნენ. დღეს კი, მხოლოდ შტატებში, ზიპოს სანთებელებს ოთხ მილიონამდე კოლექციონერი აგროვებს. ეს მოდური ატრიბუტი რვაასამდე ფილმშია "გადაღებული".



REUTERS




## იაპონური კროსვორდი



# TV პროგრამა 21 ივნისი

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 ფიფქია
08.00 კურიერი
08.55 სერიალი "სიყვარულის სახელით"
09.50 კომუნიკატორი
10.40 ბრენდაიზერი
11.10 სერიალი "ოცნების კოშკები"
12.00, 15.00 კურიერი
12.15 მულტსერიალი
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ.ფილმი
17.05 დოკ.ფილმი
18.00, 21.00, 01.50 კურიერი
18.20 ბრენდაიზერი
18.55 კუსტოს წყალქვეშა მოგზაურობა
19.50 სერიალი "ოცნების კოშკები"
22.00 სერიალი "პოლტერგეისტი"
22.50 კურიერი
00.05 მხ.ფ. "შუშის სახლი" მთ.როლებში: ლილი სობისკი, დაიან ლეინი
02.00 მხ.ფ. "შავი წვიმა" მთ.როლებში: მაიკლ დუგლასი, ენდი გარსია
00.40 მხ. ფილმი "შურისძიება". მთ. როლებში კევინ კოსტნერი, ენტონი ქუინი.

### პირველი არხი

07.30 ალიონი
09.45 მულტსერიალი "პაპირუსის თავგადასავალი"
10.10 სერიალი "ძილის წინ"
10.30 "მსოფლიოს ველური ბუნება"
11.20 ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალური მატჩი
13.30 მხ. ფილმი "ფერმა მესეს საიდუმლო"
14.45 ფრანგული პროგრამა "გემრიელად მიირთვით ბავშვებო"
15.00, 20.00, 22.50 მოამბე
15.15 "ენა დედაა ერისა"
15.35 50-50 16.20 ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალური მატჩი
18.30 ტელესერიალი "გოგონები ქარში"
19.20 ჯანმრთელობა
19.40 ბასტი-ბუბუ
21.00 ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალური მატჩი (ვიდეოჩანაწერი)
23.35 ტელესერიალი "ძილის წინ"
23.55 დოკ.სერიალი "მეოცე საუკუნე"
00.15 ვიდეოპატრული
00.25 სატელევიზიო სპექტაკლი "სახრჩობელაზედ"

### მეორე არხი

19.00 ფეხბურთი.
21.00 აფხაზეთის ტელევიზია
21.30 დღესასწაულის მიწა
22.00 "მოამბე" მეორე არხზე
22.10 მხ. ფილმი "განკითხვის :ამი" (მე-2 ნაწილი)

### ევრიკა

10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 "ვესტი"
10.15, 21.30 მუსიკალური ტაიმ-აუტი
10.45, 22.40 პროგრამა "მსოფლიო სპორტი"
11.45 მუსიკალური კოლაჟი
12.25 სალონი
14.00 ექიმი გვირჩევს
18.30 რუსული ენის ტელეგაკვეთილი
19.00 ინგლისური ენის ტელეგაკვეთილი
19.30 გადაცემა "მომავალი"
20.00 ახალი ქსლეგბი
21.40 კრიმინალი, პოლიცია, საზოგადოება
23.40 ძველი კინოკლასიკა მხატვრული ფილმი "შესანიშნავი შვიდეული"

### იბერია

მიმდინარეობს არხის რეორგანიზაცია
08.00, 20.00 ანონსი, მულტფილმი
08.15, 20.15 ალსავალი
08.20, 10.05, 11.55, 20.20, 22.05, 23.55 მუსიკა
08.25 მხ.ფ. "სკოლის შემდეგ"
10.15 მხ.ფ. "უჩინარი მწვერვალი"
20.25 მხ.ფ. "საყვარელი"
22.15 მხ.ფ. "კრიმინალით მოვაჭრე"

### პირველი სტერეო

07.15 "მორწმუნის ძლევამოსილი ხმა"
08.00 მუსიკალურ-გასართობი პროგრამა "ტოროლა"
11.00 "მუსიკალური ათეული" განმეორებით
11.45 "ჩაძირობანა" განმეორებით
13.30 მხ. ფილმი
15.10 მუსიკა
17.25 "სწ.მედია" მხ.ფ. "ერთ მშვენიერ დღეს"
19.00 მუსიკა
20.00 მო
22.00 რუსული ათეული
23.00 "პაპარაცები"
00.00 "ბრავო" მხ.ფ. "ჯოჯოხეთიდან". მთ. როლებში ჯონი დეპი, აიან ჰოლმი
01.40 "ღამურა" მხ.ფ. "მეოთხე ანგელოსი"
03.35 ნონ-სტოპი

### კავკასია

12.00 მხ.ფ. "ჯაშუში რომელსაც ვუყვარვარ"
14.00 მხ.ფ. "სასიკვდილო იარაღი 4"
16.00 დოკ. ფილმი
17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს"
17.15 მხ.ფ. "ჩემი ძვირფასი ჰიტლერი"
19.20 სპექტრი
21.00 დოკ. ფილმი
21.50 მხ. ფილმი "მუნრეიკერი"

### მეცხრე არხი

09.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღის ამბები"
09.20 მულტფილმი "ალექსი" მე-14 სერია
09.50 მხ.სერიალი "ჰორასი და თინა" მე-14 სერია
10.20 მხ. ფილმი "მოხეტიალენი"
12.20, 13.25, 15.30, 17.20, 18.50, 20.20, 21.20, 23.50, 00.20 მუსიკა
12.30, 13.35 დოკ. ფილმი "მაგია - წარსული აწმყო"
14.45, 21.30 მთავარი თემა
15.45 მხ. ფილმი "კავკასიელი ტყვე"
17.45 მულტფილმი "ალექსი" მე-15 სერია
18.20 მხ.სერიალი "ჰორასი და თინა" მე-15 სერია
19.00 დისქავერი
19.30 მუსიკალური გადაცემა "ბელისიმო"
20.00 ლიმონი და ლიმონათი
21.10 მულტფილმი: ტომი და ჯერი
22.15 მხ.ფ. "მზის დევნაში" რეჟ. ჩარლზ ვენგენიზი მთ.როლში ჰოლი ბერი

### აჭარის ტელევიზია

09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
09.30 "მსოფლიოს თასი-2002"
09.40 კომედია "ლ-9"
11.20 დოკუმენტური ფილმი
12.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება
12.15 "მსოფლიო კინოს კლასიკა" "სიკვდილზე ცივი სიყვარული"
13.40 სათავგადასავლო ფილმი "თავზე ხელაღებულთა კუნძული"
16.15 მულტფილმი "მეფე-ლომი"
17.40 კომედია "აგენტი მინი კაბაში"
19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი"
19.30 "მზე აქ შემიჩერებია"
19.40 ქართული ფილმი "შერეკილები"
20.55 მსოფლიო ხელოვნების დიდოსტატები "პიკასო"
22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
23.00, 01.00 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე
23.05 "პრესდაიჯესტი"
23.15 "ექსკლუზივი"
23.45 "მსოფლიოს თასი-2002"
01.05 თრილერი "მოკლე ვადა"
03.30 თრილერი "ქილერი-2"

### VII არხი

09.00 ანონსი
09.05 ამინდის პროგნოზი
09.10 აფიშა
09.20 მუსიკალური ტაიმაუტი
09.35 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
09.50 "აჩიკუდა"
10.15 "სახლიდან გაუსვლელად"
10.30 მოკლედ... სპორტი
10.35 მუსიკალური ტაიმაუტი
11.15 მულტსერიალი
11.30 მოკლედ... ტექნიკის სიახლეები
11.40 მუსიკალური გიორითმი
12.00 დოკ.ფ. "ბრძოლა წესების გარეშე"
12.20 დისნეი და მისი მეგობრები
12.40 "სახლიდან გაუსვლელად"
13.10 სპორტი
13.25 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
18.10 პრესა
18.25 სპორტული ინფორმაცია
18.35 "სახლიდან გაუსვლელად"
18.50 მუსიკალური ტაიმაუტი
18.55 მოკლედ... ტექნიკის სიახლეები
19.00 "აჩიკუდა"
19.30 მოკლედ... საინფორმაციო გამოშვება
19.45 მუსიკალური ობიექტივი - სტუმარი
20.35 მოკლედ... ასტროლოგიური პროგნოზი
20.40 მსოფლიო ჩემპიონატის მიმოხილვა
21.35 მოკლედ...სპორტი
21.40 დოკ.ფ. "ბრძოლა წესების გარეშე"
22.00 "პერიფერია"
22.10 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
22.20 "კინოკლუბი" - მხ.ფილმი "სახელმწიფოს ღირსება" .
00.15 პრესის მიმოხილვა
00.30 მოკლედ...საინფორმაციო გამოშვება
00.40 "სახლიდან გაუსვლელად"
00.55 მუსიკალური გიორითმი -ალსუ
01.20 მხ.ფ.ჟანრებში - მხ.ფ. "სხოვრება ნაგავია"
02.45 პრესის მიმოხილვა

### ОРТ

07.00 "Доброе утро".
10.00, 13.35, 16.00, 19.00 Новости.
10.15, 19.25 сериал "СЕМЕЙНЫЕ УЗЫ"
11.10, 15.40 Ералаш
11.20 ФУТБОЛ. 1 ФИНАЛА.
14.00 х.ф."УКАЗУЮЩИЙ ПЕРСТ"
15.00 "Серебрянный шар". Е. Урбанский.
16.15 Мульсериал "Кошки-мышки"
16.45 Что да как.
17.00 Сериал "ЗИМНЯЯ ВИШНЯ"
18.00 Большая стирка
20.25 Док. детектив. "Троянский конь".
21.00 Поле чудес.
22.00 Время.
22.35 Василий Рогов снимается в кино.
23.45 "Другое Время" Церемония открытия 24-го Московского кинофестиваля.
00.25 "Другое время". Программа М. Леонтьева.
01.10 Чемпионат мира по футболу.
02.15 х.ф. "ТВОИ ДРУЗЬЯ И СОСЕДИ".

### РТР

06.50, 07.50, 08.50, 09.50, 19.20, 21.35, 00.20 Вести-Москва
07.00, 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.30, 21.00 Вести.
07.10 "Православный календарь".
07.15, 08.30 Семейные новости
07.25, 09.10 Дежурная часть
07.30, 19.10 Афиша
07.40, 23.45 Дорожный патруль
08.10 Экспертиза РТР
08.20 Национальный доход
08.25 Вести-спорт
08.40 "Пролог" часть 1-я.
09.15 Мусульмане.
09.40 "Пролог" часть 2-я.
10.10 Сам себе режиссер.
11.00 Сериал "ВЕЧНЫЙ ЗОВ"
12.20 х.ф. "КОГДА ВСЕ СВОИ"
13.40 Новая "Старая квартира"
14.30 Сериал "СИБИЛЛ".
15.20 Сериал "дикий ангел"
16.20 ФУТБОЛ, 1/4 ФИНАЛА.
18.50 Док. фильм "Уничтожить путем сожжения".
19.50 Сериал "комиссар рекс"
20.50 Спокойной ночи, малыши!
21.55 х.ф."ШТЕМП"
23.50 х.ф."СПАУН" (США).
01.45 Дневник чемпионата мира по футболу.

### НТВ

07.05 Утро на НТВ
09.50 х.ф. "ПОЛИЦЕЙСКИЕ. ОПЕРАЦИЯ "ЖИВОДЕР"
11.00, 13.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00, 01.00 Сегодня.
11.25 Совершенно секретно
12.20 "Растительная жизнь".
13.20, 16.40, 19.40 Криминал
13.30 х.ф. "ФРОНТ В ТЫЛУ ВРАГА" 1-я с.
15.05 х.ф. "ФРОНТ В ТЫЛУ ВРАГА" 2-я с.
17.30 х.ф. "НА УГЛУ, У ПАТРИАРШИХ"
18.45 Внимание: розыск!
20.40 "Свобода слова"
22.10 Криминальная Россия.
23.30 фильм "СЕМЕЙСТВО БЛЮЗ ПОД ПРИКРЫТИЕМ"
01.30 "Все сразу!" ночные развлечения
02.00 фильм "ДИКИЕ ИГРЫ".

TV პროგრამები მოგვაწოდა სააგენტო "ინფოზავრმა"

მისამართი: ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული. ტელ: 32 23 71
იბეჭდება გამომცემლობა "სამშობლოს" სტამბაში